# საერთო გაზეთი

№04 (188) ● 1-7.II, 2012 წელი ● ოთხშაბათი ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი


# biZina ivaniSvilis Riawerili barak obamas


A14 The Washington Post

Georgia AT THE Crossroads

Dear President Obama,

The end of 2011 marked the 20th Anniversary of the collapse of the Soviet Union. Twenty years ago, Georgia got a chance to restore its statehood on the principles of liberal-democracy and to join the free world.

Bidzina Ivanishvili

09:36 31.01.2012
[The Washington Post]

**ძვირფასო პრეზიდენტო ობამა,**

2011 წლის დასასრულს საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წელი შესრულდა. ოცი წლის წინ საქართველოს გაუჩნდა შანსი ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღედგინა და თავისუფალ სამყაროს მიერთებოდა.

არავის ჰქონდა ილუზია, რომ ეს უმტკივნეულო და მარტივი პროცესი იქნებოდა. თუმცა 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ ბევრ ადამიანს, ჩემი ჩათვლით, გაუჩინა იმის იმედი, რომ საქართველო პლურალისტური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის და თავისუფალი, ღია საზოგადოების შენების გზას დაადგებოდა.



**ჩვენი მოლოდინები დაიმსხვრა, როდესაც 2007 წლის მოწმენი გავხდით: სასტიკად დარბეული მშვიდობიანი მომიტინგეები, შტურმით აღებული და დახურული დამოუკიდებელი ტელეკომპანია, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, პოლიტიკური ოპოზიციის „რუსეთის აგენტებად“ შერაცხვა, და მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილის მიერ პირველ ტურში მოპარული არჩევნები.**

**ბოლო წვეთად იქცა უგუნური ჩართვა 2008 წლის აგვისტოს ომში, რომელიც იმით დასრულდა, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.**

შედეგად, „ვარდების რევოლუციიდან“ რვა წლის შემდეგ ჩემი ქვეყანა, სულ რაღაც რამდენიმე წარმატებით, კვლავ ერთპარტიული ავტორიტარიზმისა და რეალური დემოკრატიის გზაჯვარედინზეა. პოსტრევოლუციურ წლებში მიღწეული პროგრესი ეკონომიკური ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული რეფორმის, ეფექტური სამთავრობო სტრუქტურების, წვრილმანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით გაფერმკრთალდა პლურალისტური პოლიტიკური სისტემისა და კანონის უზენაესობის დეფიციტით.

პირიქით, ჩვენ მივიღეთ სუპერცენტრალიზებული, ფაქტობრივად, ნეობოლშევიკური მართვის სტილი, რომელმაც თავისი თავი დიდი ხნის წინ ამოწურა, და ხელს უშლის არა მხოლოდ ქვეყნის განვითარებას, არამედ საკუთარ მიღწევებსაც საფრთხეს უქმნის.

საქართველოს მმართველი ელიტის პოლიტიკისადმი ჩემი დამოკიდებულების მიუხედავად, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი იმ ფაქტის მიმართ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ამ კვირაში თეთრ სახლშია მიწვეული.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ოფიციალურ ვიზიტს სამი წელი დასჭირდა. ვიცით, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, ადამიანის უფლებებისა და საკუთრების უფლებების დაუცველობა, თავდასხმები და მუდმივი კამპანია პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, პოლიტიკური ზეწოლა მედიასა და ბიზნესზე, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილების არაოფიციალურად და გაუმჭვირვალედ მიღების სტილი და ელიტური კორუფცია ჩვენს მდგომარეობას აზიანებს.

**მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ საქართველო, რომლის წინაშეც უამრავი საფრთხეა, არ უნდა დაისაჯოს მისი მმართველი ელიტის შეცდომებისთვის და ეს არის ის, რასაც გულისხმობს ასევე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა. შესაბამისად, სწორედ მაშინ, როდესაც ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი, საქართველოს ყველა ჭეშმარიტმა მეგობარმა ინტენსიური დიალოგის გზით უნდა დაარწმუნოს პრეზიდენტი სააკაშვილი უარი თქვას ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დარჩენის მცდელობისგან, რაც საქართველოსთვის შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.**



ჩვენ ვიცით, რომ ამერიკელების მხარდაჭერა საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ არ ნიშნავს მხოლოდ კონკრეტული ლიდერის ან პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველ ხალხს, ყველა სხვა ხალხის მსგავსად, აქვს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლება. მაგრამ საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის მხარდაჭერის გარეშე ეს ოცნება ვერ განხორციელდება. ის, რომ ეს ასეა, ჩვენ შარშან დეკემბერში გამოვცადეთ, როდესაც შეერთებული შტატების საელჩომ თბილისში გამოაქვეყნა განცხადება ქართული საარჩევნო სისტემის, პოლიტიკურ პარტიებზე კანონისა და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხარვეზების შესახებ.

ჩვენთვის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები საქართველოში გარდამტეხი მომენტია. ჩვენ გვჭირდება ანგარიშვალდებული მთავრობა, მთავრობა, რომელსაც, როგორც გარე, ასევე შიდა ლეგიტიმაცია გააჩნია; პროგნოზირებადი და სანდო პარტნიორი ჩვენი დასავლელი მოკავშირეებისთვის. ჩვენ გვჭირდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა, უკიდურესი სიღატაკის დაძლევა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარება და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია შეერთებულ შტატებს და საქართველოს შორის, უმნიშვნელოვანესია საქართველოს დღევანდელი უსაფრთხოებისთვის და მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. ეს ჩემს ქვეყანას როგორც პოლიტიკური, ასევე მორალური თვალსაზრისით პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა იყოს ღირსი და შეძლოს ეს პარტნიორობა. ასეთი ღირსეული პარტნიორობის შედეგია ქართული დანაყოფების გაგზავნა ავღანეთში – აუცილებელი მსხვერპლი, რომელიც ჩემმა ქვეყანამ გაიღო გლობალური უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის; მეორე მხრივ, ასეთი პარტნიორობა უნდა გამორიცხავდეს პოლიტიკურ და სამხედრო შეცდომებს საქართველოს მთავრობის მხრიდან, რადგან ჩვენ ნატოში გაწევრიანებისკენ მივისწრაფვით.

**საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, მე და ჩემი პოლიტიკური პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სრულად განვახორციელებთ საქართველოს მიერ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და ჩამოვაყალიბებთ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას.**

ამიტომ, ჩვენ ვარწმუნებთ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს და მთელ დემოკრატიულ თანამეგობრობას, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ქვეყნის სვლა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და იმავდროულად, გამოიყენონ ყველა შესაძლო რესურსი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად ჩვენი მოქალაქეებისთვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

ყველა ქართველი იმედოვნებს, რომ ეს ვიზიტი ხელშესახებ წარმატებას მოუტანს საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნის გზაზე. და ამით ჩვენი ოცნებაც ასრულდება.

**ბიძინა ივანიშვილი,**
**საქართველო**

# `velodebiT samarTlian arCevnebs da xelisuflebis oficialurad gadacemas~

## obamas diplomatiuri lafsusebi da saakaSvilis savaWro naxtomebi



### ხელისუფლების 20-თეთრიანი მათხოვრობის ფონზე

ქართველებს ახალი სადებატო თემა გამოუჩნდათ: წლის მოვლენა – ობამა-სააკაშვილის ოფიციალური შეხვედრა. მიშას ტელევიზიები რა პოზიციას დაიჭერენ და რა კომენტარებს გააკეთებენ, ზუსტად ვიცით. მედიასივრცეში მათი საპირწონე მხარე არ არსებობს და ბუნებრივია, დატვირთვა სოციალურ ქსელებზე გადავიდა. იქ კი დიდი აყალმაყალია ატეხილი. ყველა თავის პოზიციას იცავს და საკუთარი არგუმენტი გააჩნია. მთავარი ფრაზაა: „ველოდებით სამართლიან არჩევნებს და ხელისუფლების ოფიციალურად გადაცემას“. ეს სურვილი ობამამ ჟურნალისტებთან საუბრისას პრესკონფერენციაზე გამოთქვა. ფრაზას ყველა სათავისოდ იყენებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამაზე ღიად და ამაზე მეტს ამერიკის დელიკატური პრეზიდენტი ვერაფერს იტყვის.

ძალიან საინტერესო კომენტარს აკეთებს ქალბატონი **სალომე ზურაბიშვილი:**

– სამწუხარო ის არის, რომ არაფერი იცვლება, გინდა მოსკოვში და გინდა, ვაშინგტონში დადიოდნენ ჩვენი მეთაურები. აგრძელებენ იმათ ენაზე ლაპარაკს (თარჯიმნები გამოილია, თუ მეტიჩრობა ჭარბობს, ენა კარგად ვიციო) მადლობების და „თავის ქნევის“ გარდა, არაფერი უთქვამს „მაღალს“! ამდენი ხანი ელოდა ამ თუთხმეტ წუთს, რამდენი ლობისტის თანხები დაიხარჯა და რა??? მონური კომპლექსი რა ძლიერი ყოფილა, გინდა ჩრდილოეთით იყურებოდე, გინდა დასავლეთით... ამაში ჩანს, ვისი გაზრდილია მიშა და ედიკა რომ მისი მაგალითის მიმცემია!

ობამამ, სამაგიეროდ, თავისი თქვა – დიპლომატიური რევერანსების მიღმა: – იმედია, ვნახავთ, ამ ყველაფრის გაგრძელებას „ფორმალური ხელისუფლების გადაცემით“-ოოოოო! ისე, ერთხელ კი შეეშალა და ინსტიტუციების გაძლიერებაზე რომ ლაპარაკობდა, რუსეთი ახსენა და შემდეგ გაასწორა, საქართველოოო... „ლაპსუს ლინგუი“ ყოველთვის ბევრის მთქმელია .....!

### ეკონომიკური წიაღსვლები გაგანია არჩევნების დროს

ხელისუფლების შეფასებები, ნაცტელევიზიების დახმარებით, შეხვედრის დასრულებისთანავე მოვისმინეთ. მიუხედავად მათი დიდი მონდომებისა და ასეთ საქმეებში გამოცდილებისა, ბევრის თქმა მაინც ვერ შეძლეს, რადგან სათქმელი არაფერი იყო. პრეზიდენტების შეხვედრა სულ თხუთმეტ წუთს გაგრძელდა და რამდენი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა შეიძლებოდა ამ მოკლე დროში, ისედაც გასაგებია. მთავარ თემად ნაცტელევიზიებმა ამერიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობა განსაზღვრეს. ოფიციალური ინფორმაციით, ლიდერებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, საქართველოს კონტრიბუცია ავღანეთის ოპერაციაში და აშშ-ისა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა განიხილეს.

თურმე, ბოლო პერიოდში ამერიკა-საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა და პრეზიდენტმა ობამამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ პოტენციურ შეთანხმებას ორმხრივად მომგებიანი უწოდა. ეს პერსპექტივა რომ დიპლომატიურ ლაქლაქს არ სცილდება, სადავო არ არის. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ამერიკა ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს შორის მეშვიდე ადგილზეა. მასთან ვაჭრობის მოცულობა ქვეყნის საერთო სავაჭრო ბრუნვაში 4 პროცენტს არ აღემატება. რაც მთავარია, ეს მოცულობა შარშან მკვეთრად შემცირდა და თითქმის განახევრდა. იმავე სტატისტიკის თანახმად, ამერიკიდან იმპორტის წილი ბოლო ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად, არ შეცვლილა და 3,5 პროცენტის გარშემო ტრიალებს. რაც შეეხება ექსპორტს, აქ მკვეთრი კლებაა. 2010 წლის მაჩვენებელი იყო 11,5 პროცენტი, 2011 წელს კი – 6,6 პროცენტი. კონკრეტულად, რის ხარჯზე მოხდა ეს ვარდნა, ჯერ უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ ამერიკაში ქართული პროდუქციის შესყიდვაზე თავს არ იკლავენ.

გასაყიდი და წასაღები არაფერი გვაქვს და ახლა ამნაირ ქვეყანას გინდა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი დაუწესე და გინდა, საბაჟო გასასვლელები მოუშალე საერთოდ, ერთი ოხერია. ისე, სად ნახა ობამამ გაზრდილი სავაჭრო ბრუნვა და პოტენცია, არ ვიცით. ალბათ, წინა საღამოს „რუსთავი-2“-ს უსმინა, მეორე დღეს კი – საქართველოს პრეზიდენტს.

ამერიკასთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის აბსურდულობას ექსპერტებიც ხაზს უსვამენ. ექსპერტი **დავით ნარმანია** აცხადებს, რომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ექნება, რადგან დღეისათვის საქართველოში ეროვნული წარმოება განვითარებული არ არის, საექსპორტო პროდუქციის არარსებობის გარეშე კი ამ შეთანხმებისგან სარგებელს ვერ მივიღებთ.

აქვე ორი სიტყვით იმ ხბოს აღტკინების შესახებ, რაც ჩვენს პრეზიდენტს დაემართა, ობამას შეთავაზება რომ მოისმინა: **– ძალზე მნიშვნელოვანია პრეზიდენტ ობამას განცხადება იმის შესახებ, რომ ის მზად არის, მხარი დაუჭიროს ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ ფორმატს. უნდა გვესმოდეს, რომ უახლოეს წლებში ამას საქართველოს ეკონომიკისთვის წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამერიკას თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უახლოეს მოკავშირეებთან აქვს გაფორმებული და ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა, ეს ძალზე სერიოზული ეკონომიკური ნახტომის საფუძველი იყო.**

ჩვენ კი გვესმის ამ განცხადების მნიშვნელობა, მაგრამ პრეზიდენტს თუ ესმის, რა სჭირს ხელისუფლებას, რომელიც იძულებულია, ოცოცი თეთრი ამოაცალოს საკუთარ მოქალაქეებს ჯიბიდან და მარჩენალდაკარგულ ბავშვებს ათი ლარი ჩამოაჭრას ოფიციალური დახმარებიდან?! არა გვგონია, რადგან ფაქტები საპირისპიროს ამტკიცებს.

### რა სარგებელს ელის ხელისუფლება?

არა გვგონია, ის წვრილმანი მამაძაღლობები, რაც ხელისუფლებამ ახალი წლიდან წამოიწყო, საკუთარი ჯიბეების გასასქელებლად სჭირდებოდეს. არა იმიტომ, რომ პატიოსანი ხალხია და არ იკადრებენ. უბრალოდ, ამდენისთვის არ შეიწუხებენ თავს. ისედაც მილიონები მიაქვთ სახლში. საქმე ის არის, რომ ბიუჯეტს მეტი აღარ შეუძლია და ხელისუფლებას და მოსახლეობას ყველა საჭიროებას ველარ უკმაყოფილებს. ესენიც საკუთარ ჯიბეებს ხომ არ მოაკლებდნენ? ადგნენ და, მოსახლეობიდან დაიწყეს იმ ბიუჯეტის შევსება, რაც ძალიან აუცილებელია იმავე მოსახლეობისთვის.

ხელისუფლების გამათხოვრების კიდევ ერთი მაგალითია ის, რომ სოციალურად დაუცველ არასრულწლოვანებს, რომლებიც ისედაც მათხოვრულ სოციალურ პენსიას ღებულობენ, ანუ არ ჰყავთ მარჩენალი, ახალი წლიდან ჩამოაკლეს 10-10 ლარი. როგორც „ლიბერთი ბანკში“ განმარტავენ, ამ თანხას ხელისუფლება ბავშვთა დაზღვევისკენ მიმართავს. სავარაუდოდ, დაზღვევა, ისე როგორც პენსიონერებთან, სექტემბრიდან დაიწყება. მანამდე რისთვის გროვდება ჩამოჭრილი თანხები, არავინ უწყის. წინა წლის მიწურულს, ერთი თვის განმავლობაში, მთავრობამ ლაპარაკით აიკლო სატელევიზიო სივრცე, რომ 370 ათას პენსიონერთან ერთად დაზღვევას 250 ათასი 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვი მიიღებდა. მაშინ პრემიერი გილაური აცხადებდა, რომ ცვლილება, 2012 წლის ბიუჯეტის პროექტში შედის და გაზრდილი ბიუჯეტის პროექტი განსახილველად პარლამენტს უახლოეს დღეებში წარედგინებაო. თუ გაზრდილი ბიუჯეტია და მილიარდებს ვეღარ ითვლით, თქვე დალოცვილებო, 5 წლის ზემოთაც დააზღვიეთ ბავშვები და უმამო ობლებს 10 ლარს ნუ წაართმევთ. ან იქნებ გეკითხათ მათი მშობლებისთვის, რა ურჩევიათ, ის ათი ლარი თუ ვირტუალური დაზღვევა.

კიდევ ერთი სახელისუფლებო მაქინაცია წყლის გადასახადს ეხება. თელასმა ამ თვეში ძალიან დააგვიანა გადასახადის ქვითრების ჩამორიგება. თელასი, რომელიც ერთ დღეს არ გაპატიებს არც ერთი გადასახადის გადაუხდელობას, მეორე კვირაა იცდის და ვერ არიგებს ქვითრებს, რადგან რეესტრი ჯერ ბოლომდე ვერ ჩამოყალიბებულა.

**მანანა გეგიძე**

---

## გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს ლაშა ნადარეიშვილს

**ძმაო ლაშა,**

**ერთი უსიამოვნო ამბავი უნდა გაცნობო: „ასინეთას კანტორის“ თანამშრომლები აპირებენ „ასავალ-დასავალი“ და „საერთო გაზეთი“, ანუ შენ და მე, ერთმანეთს დაგვაჯახონ და ამ მიზნით ახალი ჭორის გავრცელება დაიწყეს.**

**რა შინაარსისაა ეს ჭორი, ამას მაშინ გეტყვი, როცა პირადად შევხვდებით, ახლა კი იმის თქმაღა შემიძლია, რომ დაახლოებით ვიცი, ვინ არიან ამ უბადრუკი ჭორის მთხზველები. ისიც ვიცი, რა სახელწოდების ქვეშ მოქმედებს მათი ახლადგამომცხვარი „კანტორა“ და რა ბინძურ ინფორმაციებს ფანტავენ წაღმა-უკუღმა, რათა ადამიანები ერთმანეთს წაჰკიდონ და გადაამტერონ.**

**გარწმუნებ, შორს არ არის ის დრო, როცა ამ ბინძურ ზრახვებს ფარდა აეხდება და მათ ნამდვილ სახეს ნიღბის გარეშე დაინახავს ქართველი საზოგადოება.**

**ძმაო ლაშა, დარწმუნებული ვარ, ამ წვრილფეხა პროვოკატორებსა და ავანტიურისტებს, თუ ისინი შენთან გამოჩნდებიან და შენს შეცდომაში შეყვანას გაბედავენ, ისეთ პასუხს გასცემ, რაც ჩვენს ოცდაათწლიან უხინჯო მეგობრობას შეეფერება.**

**კეთილი სურვილებით –**

**ვახტანგ ხარჩილავა**

---

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

*გვესაუბრება მსახიობი და რეჟისორი **სოსო ჯაჭვლიანი:***

**— ბატონო სოსო, გუშინ, როცა დაგირეკეთ ინტერვიუზე შესათანხმებლად, ნახევარი კილოგრამი დემოკრატია მაქვს მხოლოდ ნაპოვნიო მითხარით. დანარჩენი კილოგრამები სად არის?**

— დილით რომ ავდგები, ისეთ ინფორმაციებს ვიგებ კილოგრამები ხან იწევს, ხან იმატებს. ყველაზე ცუდია, როცა ადამიანი გაურკვევლობაშია. მერაბ კოსტავამ თქვა — დაჭრილი როცა ვიყავი, მაშინ ყველაზე თავისუფალი ვიყავიო. ეს, ერთი თვე საკუთარ თავზე მეც გამოვცადე და მართლაც იმდენად კარგად ვიყავი შინაგანად, ვერ აგიღწერთ, არადა ვშიმშილობდი. 2012 წელი მძიმე იქნება, დიდი და პატარა პრობლემა გლობალური არ არსებობს, ზოგისთვის მილიონი შეიძლება ლარი იყოს, ამიტომ ქართველებმა, ჩვენ ჩვენი ქეთო ვიტიროთ, ჩვენს საქმეს მივხედოთ. ფაქტია, გაჩნდა დიდი იმედი, რომელსაც უნდა მოვეფეროთ, პატარა ბავშვივით მოვუაროთ, რათა არ შესცივდეს. ქართველმა ხალხმა ეს იმედი უნდა გამოზარდოს, მერე ააღზევოს. ხალხის შეკვეთა ასეთია — მას არ აინტერესებს პოლიტიკოსების კინკლაობა, მათ უნდათ ჯოხს ყველამ ერთ მხარეს მოჰკიდოს ხელი და რაც მოსაცილებელია და არ მოგვწონს, მოვიცილოთ. ერთმანეთს თუ დაერიენ და ლანძღეს, ასე საერთო საქმე — ქართული ოცნება არ ასრულდება. კარგი იქნებოდა სახალხო კრება ქართული ოცნებით.

**— თქვენ ხალხის შეკვეთა ახსენეთ. ეს შეკვეთა ჯერჯერობით არ სრულდება და ალბათ ამიტომაც ბოლო დროს საზოგადოება გაღიზიანებულია.**

— დიახ, სასტიკი გაღიზიანება შეიმჩნევა ხალხში. ჯერ კიდევ, 26 მაისს ჩემი თვალით ვნახე, როგორი კივილ-წივილით, თმების თრევით, ჩაყარეს მანქანაში ღირსეული ქალბატონები ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ბურჯანაძე იმიტომ, რომ ხოცვა-ჟლეტა ატყდა. ეს უკომპრომისო ბრძოლა იყო. ამიტომ ვამბობ ახლა ერთმანეთთან ჩხუბის დრო არ არის. ნუ ვეცდებით, სხვისი საქმის გაკეთებას ერთმანეთში ქიშპობისა და კონკურენციის გამო. ხალხი უკმაყოფილოა ოპოზიცია ერთმანეთთან გაუთავებლად საქმეს რომ არჩევს და ამ დროს ქვეყნის საქმე გვერდზე რჩება. აქ იცი როგორი სიტუაციაა — მე შაირი არ მინდოდა შენ ამტეხე ძალადაო. სახალხო კრება პირველი მიესალმა ქართულ ოცნებას და მზად ვართ, საიდანაც დარტყმა წამოვა ყოველი მხრიდან ავეფაროთ.

# ar wamoegoT provokaciaso, rom gveubnebian, aba, daCinCluleebma viaroT?!

**— რა არის ხალხის ოცნება?**

— ხალხის ოცნება ძალიან მარტივია — ყველას უნდა იყოს მშვიდად და იმედიანი ხვალინდელი დღე ჰქონდეს. ხალხს უნდა სიმშვიდე, დააპუროს შვილი, მისცეს განათლება, ანუ ჰქონდეს შანსი პარიტეტზე დადგეს. იცით, რამდენი ვარსკვლავი იკარგება სპორტში? მე რომ მკითხოთ 16 წლამდე ასაკისთვის სპორტულ სექციებზე მისვლა უფასო უნდა იყოს. ახლა ყველაფერი ფასადურია, შიგნით კი სული წარეცხილი, წამხდარია, ხალხი გაგიჟებულია, სანაგვეში ეძებს საკვებს. ამიტომ, ხალხის გაღიზიანება სწორია. ისინი იმას კი არ ელიან, რომ ივანიშვილი მოვა და ფულებს დაურიგებს. არა, ისინი ამ კაცისგან ელიან შემდეგს — ვინც გამოსაყენებელია, ივანიშვილმა ის ხალხი დაიყენოს გვერდით, ამ ურჩხულის წინააღმდეგ. ცუდია თუ კარგია ნებისმიერი უნდა დაიყენოს გვერდით, ვინც ამ ბრძოლაში გამოადგება. არ შეიძლება შერჩევა, დაყოფა — ეს არა, ის კი და ა.შ.

აქვე მინდა ერთი რამ აღვნიშნო — ქართველი მკითხველი, მაყურებელი ძალიან მაგარია. მთელ ქართველ მოსახლეობას ჩემი ბილწსიტყვაობისთვის, რაც



ხშირად მჩვევია-ხოლმე, დიდ ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ქართველო მკითხველო ეს ჩემი ბრალი არ არის. მთავრობამ თავად შემიწყო ამაში ხელი. როგორ შეიძლება ვთქვათ, მე მითხრა კამპუჩიის აგენტი ხარო. როცა იცი — ეს ასე არაა, სჯობს პოლემიკაში არ შეხვიდე და პირდაპირ სამ ასოზე გაუშვა ეს ხელისუფლება. როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ იმთავითვე ჰქონდათ სერიოზული ჩანაფიქრი — ჩაშვება და ისეთი საზიზღრობები მომხდარიყო, რისი მომსწრენიც დღეს ვართ — ლაფის დასხმა, გინება, ცრუ ბრალდებები. გესმით, რა ფაშიზმთან, არაკაცობასთან, მაზოხიზმთან გვაქვს საქმე. ყველას ვაფრთხილებ, მოვა დრო და საკადრის პასუხს მიიღებენ.

მაშინ როცა ხალხს არ ეკითხები და შენ ირჩევ, ამას ხალხი არ მიიღებს. არ შეიძლება ვინმეს გამოყოფა. როცა წყალგამყოფს გააკეთებ, მაშინ ეს ოცნება კი არა არჩევაა და ასე ქართული ოცნება არ გამოვა. როცა გინდა ოჯახი შენს მხრებზე დადგეს, უნდა გაითვალისწინო, რომ ყველანაირ ადამიანთან გექნება შეხება და ყველასთან საერთო ენა უნდა გამონახო. ყველას შეგვიძლია ადამიანი ჩვენსკენ შემოვაბრუნოთ. ხალხის მასა მოლოდინშია. ყველას თავისი ამომრჩეველი, მხარე ჰყავს, ამიტომ ყველა ერთად უნდა დადგეს. უნდა ვეცადოთ ერთად ავახდინოთ ქართული ოცნება, ამით ხომ ხალხის ოცნება ახდება. თუ ხალხის ოცნება არ ახდება, ასეთი არაფერი არ მინდა.



ივანიშვილმა, მისმა მეუღლემ ერთი კვირა რომ იარონ მოსახლეობაში, ისეთი პოპულარულები გახდებიან, მეტი რომ არ შეიძლება იმიტომ, რომ უდიდესი სიკეთე აქვთ დათესილი. მათ უდიდესი ნდობის მანდატი აქვთ. ივანიშვილზე დიდი ქველმოქმედი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა მე ერთი რამ მინდა — ჩემი საქმე ვაკეთო. რას ერჩის ერთმანეთს ბურჯანაძე და ალასანია? ხომ ჩემი თვალით დავინახე, 26 მაისს როგორი შეურიგებელი ბრძოლა იყო. ვღიზიანდები, როცა აგრესიაა ჩვენს მიმართ, განა რა გავაკეთეთ ცუდი?! რამდენი რამ მოხდა, საჩხერელი ბიჭები დაიჭირეს ტყუილუბრალოდ, ამაზე კარგი საბაბი რაღა უნდათ, გამოვიდნენ და რაღაცა თქვან, რას მიკეთებენ „რესპუბლიკელები“ და სხვა დანარჩენი პარტიები თუ გუნდის წევრები ვინც ივანიშვილთან არიან?! რას დაუგუბებიათ პირში წყალი?! ხალხი ამის გამო იცით რას იძახის? — აა, ეტყობა ასე აწყობთ ამათო.

**— პროტესტი მართლაც არ ნიშნავს მხოლოდ რევოლუციას. ხალხს კონსტიტუციით აქვს უფლება გარეთ გამოვიდეს და საკუთარი აზრი დააფიქსიროს.**

— ამასთან დაკავშირებით ჩემი, ლუკა კურტანიძის და მერაბ შათირიშვილის სიმბოლურ პროტესტს გავიხსენებ. მსგავსი რაღაცის გაკეთება ხომ ნებისმიერს შეუძლია. ამიტომ არის რომ ხალხს ეჭვები უჩნდება, — ალბათ არ უნდათ, უმოქმედობა აწყობთო. ესენი ამ დროს გაიძახიან ყველაფერი სამართლებრივად გავაკეთოთ, ხელისუფლებას მიზეზი არ მივცეთო, პროვოკაციას არ წამოვეგოთო. ამაზე ერთი რამ მახსენდება — გელათიდან რომ დავიძარით, მე და ლუკას მერაბმა გვითხრა — შეიძლება ვიღაცამ გაგვაჩეროს და გვითხრას თქვე ასეთებო და ისეთებოო. ვკითხე, მერე, ჩვენ რა ვქნათ-მეთქი — პროვოკაციას არ ავყვეთო. ეს მეორეჯერაც რომ გვითხრა, სამივეს სიცილი აგვიტყდა. ლუკამ თქვა — ე.ი. ასე დაჩინჩლულებმა ვიაროთ თბილისამდეო? ანუ რა გამოდის? — არ ავყვეთ პროვოკაციას და ასე დაჩინჩლულებმა ვიაროთ?! ზუსტად ეს უნდათ ამათ. აბა, საჩხერეში ბიჭების დაჭერაზე დიდი საბაბი რაღა გინდათ. გაიძახიან მოქალაქეობის მინიჭება ივანიშვილისთვის სამართლებრივი კუთხით უნდა გადაწყდესო.

**ამას წინათ ელიავაზე ვიყავი, ნაცნობები მყავს იქ და ერთმა დამიძახა — მოდი სოსო, ერთი კარგი კაცი უნდა გაგაცნოო. წარმიდგინა ჩინელი გიორგი წერეთელი. ამაზე დიდი მასხრობა და თავზე გადავლა, რაღა გინდათ? 5 ათასამდე უცხო ტომის კაცს საქართველოს მოქალაქეობა აქვს მიღებული, ივანიშვილი კიდე გადააკვდა სამშობლოს და მოქალაქეობა წაართვეს.**

აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა — ჩემო ქართულო ოცნებავ, ლოგიკური არ არის ეს ეჭვი? — ლოგიკური კი არა, ძალიანაც ლოგიკურია.

**— ერთ-ერთ შეკრებაზე ახსენეთ მომრიგებლები უნდა ვიყოთო.**

— აუცილებლად. როცა ბრძოლას ვიწყებ, იქ მე არავინ არ მემეტება და არც მაშინ, როცა ბრძოლას მოვიგებ. რატომ? — როცა ბრძოლას მოვიგებთ ყველას სერიოზული კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, მერე ხალხმა თავად იცის ძალიან კარგად, თუ ვისთან უნდა დადგნენ. ეჭვი იცით რაში მეპარება? — საუბრები რომ დაიწყო ყველა ბურჯანაძის გარდაო. სახალხო კრებაში თავად ვარ და კარგად ვიცი, რომ ბურჯანაძე კრების ჩვეულებრივი წევრია. მაგრამ იცით რაშია საქმე? — ესენი კონკურენტებს ხედავენ ერთმანეთში, რაც ძალიან ცუდია. სვანეთში მომრიგებლები იყვნენ ვინც ხალხს ერთად დასვამდნენ და დეტალურად განიხილავდნენ ყველაფერს. ეს თვეობით კი არ გრძელდებოდა, ერთ დღეში ხდებოდა მორიგება. როცა ბრძოლას მოვიგებთ, ქართველი ხალხი თავად აარჩევს ვისკენ წავიდეს, მაგრამ ვიღაც-ვიღაცები ერთმანეთში სერიოზულ კონკურენტებს ხედავენ, იძულებულნი ხდებიან პოლემიკაში შევიდნენ, რაც ქართველ ხალხს ძალიან აღიზიანებს და იძახის — ერთისაც და მეორისიცო. ამ დროს კი ვისი საქმე კეთდება? — კოლმეურნეობის თავმჯდომარის! ყველას აქვს უფლება იბრძოლოს, რატომ არ მიშვებ საბრძოლველად, რატომ კინკლაობენ ერთმანეთში, გაუშვან, ყველამ იბრძოლოს.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ ის, რითაც საუბარი დავიწყეთ — თქვენ თქვით იმედს უნდა მოვეფეროთ, რომ არ შესცივდესო. უკვე ხომ არ სცივა ამ იმედს, გაფრთხილდება ხომ არ დაგვიგვიანდა?**

— კი, ცოტა აგრილდა, ცოტა აცივდა, ცოტა შემოთბა, ცოტაც აირია. ღვინომ იცის ასე, მან იცის გაბრაზება, აურა გადადის მასზე. ერთხელ, ახლობელმა ასეთი რამ მომიყვა სტუმარი მომივიდა და ოჯახის წევრი მეზობელთან გადავაგზავნე ღვინოზე, მაგრამ შეაგვიანდაო. ცოტა ხანში გადავედი და აღმოჩნდა, რომ მასპინძელი ღვინოს არ ატანდა. სტუმარი აქეთ გადმოიყვანეთ, თორემ გადატანის დროს აიმღვრევა და მერე დამშვიდება უნდა ღვინოსო. შეიძლება ყველაფერი კარგი იყოს, მაგრამ ამ გადატანა-გადმოტანაში, პოლემიკაში აიმღვრეს. შეიძლება ყველა ჩართულ თუ ჩაურთავ მხარეს კარგი ფიქრები ჰქონდეს, მაგრამ თუ არ მოხდა დამშვიდება, აზრთა შეჯერება, საშვილიშვილოდ მოგვეჭრება კისერი.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# 2012 wlis arCevnebSi biZina ivaniSvilis monawileoba aris naRmi, romelic amxelisuflebas walekviTemuqreba

*გვესაუბრება მწერალი* ***მერაბ შათირიშვილი:***

**— ხელისუფლება ჭორებს ყრის, თითქოს „ქართული ოცნება“ უმოქმედოდაა. რა ვითარებაა რეალურად?**

— ხელის ჩაქნევა გამორიცხულია — ბიძინა ივანიშვილის, „ქართული ოცნების“ მიმართ ხელჩაქნეული ქართველი, მე არ შემხვედრია. ხელისუფლების ბნელი გარემოცვა ცდილობს ხალხი დაარწმუნოს, რომ ბიძინა ივანიშვილი არც ისეთი ძლიერია, თითქოს, „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს ბევრი მიმდევარი, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში ეს ხელისუფლებას ცუდად დაუბრუნდება. მოთმინება არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ტყუილები გვჯერა. მან შეიძლება დროებით მოატყუოს საერთაშორისო ორგანიზაციები, მსოფლიო საზოგადოება თითქოს დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს, იტყვის— აი, ხომ ხედავთ მივიღე კანონი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას ვაძლევ ჩემი გადარიცხული თანხებით სარეკლამო კამპანია აწარმოონო. პარალელურად, კი ისეთ დრაკონულ კანონებს ღებულობს, რომელიც ხელ-ფეხს უბოჭავს პარტიებს და მოქმედების საშუალებას არ იძლევა. ამ დროს კი ხელისუფლებას აქვს საშუალება დახარჯოს მილიარდები, მოისყიდოს ამომრჩეველი და პასუხს არავის წინაშე არ აგებს იმიტომ, რომ კანონი მისია და ქოთანს საიდანაც მოესურვება იქედან მიაბამს ყურს. ეს ყველაფერი ქართველ ხალხს არ გამოეპარება. ნურც რომელიმე პარტიის პოლიტიკური ლიდერი, ან ადამიანი რომელსაც პოლიტიკოსად მოაქვს თავი, ნუ იფიქრებს, რომ ჩვეულებრივ, ქართველ მოქალაქეზე მეტი იცის და მას ადვილად მოატყუებს. ქართველი ხალხის ბრბოდ გადაქცევა უკვე გამორიცხულია. იგი 20 წლის მანძილზე იმდენად გამოიბრძმედა, რომ პოლიტიკურად განათლებულ ერად ჩამოყალიბდა. მინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ ხალხს აღარ გამოეპარება ხელისუფლების ეს თამაში, თითოეული ქართველი მის უგვან, ურცხვ, ხისტ, ბანდიტურ დამოკიდებულებას და ფაქტებს სკივრში აგროვებს, რომელიც საბოლოოდ აივსება, როგორც მოთმინების ფიალა და ძნელი მისახვედრი არ არის, როგორი დასასრული ექნება. ხელისუფლება ნუ იფიქრებს, რომ მისი ქცევები არჩევნებში დადებითად აისახება. დარწმუნებული ვარ თუ არჩევნებში ხელისუფლება გაიმარჯვებს — ეს ხელოვნური მოგება იქნება. ამისათვის ხალხისგან პასუხს მიიღებს ქუჩაში გამოსვლის ფორმით. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლება ჩადენილი დანაშაულებებისთვის არჩევნების დროს, არამარტო საარჩევნო ყუთთან, არამედ ამის იქეთაც აგებს პასუხს.

პოლიტიკოსები ტელეეთერიდან თუ პრესის საშუალებით ხშირად აფრქვევენ „ბრძნულ“ აზრებს. პირდაპირ ვეუბნები მათ — თუკი შეუძლიათ, სჯობს ლაყბობას საქმე აკეთონ. იმიტომ, რომ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — საქართველოში პოლიტიკა არ არსებობს, არამედ გვყავს ხელისუფლება, „ნაც.მოძრაობა“, რომელიც ამბობს — მე ვარ ბანდიტი, ჩამოყალიბებული მაქვს ბანდა, მე ვკლავ, ვარბევ, ვწამლავ, რეალურ მოწინააღმდეგეს ისეთი კანონების ჩარჩოებში ვსვამ, რომ მოქმედების საშუალებას არ ვაძლევ და მას, როგორც პოლიტიკოსს ცოცხალ მსხვერპლად ვაქცევ. ამ დროს მსოფლიოს ეუბნება, რომ დემოკრატიას ჰქმნის. ასეთ ხელისუფლებას მსოფლიოში მისაღები პოლიტიკური მეთოდებით ვერ დაამარცხებ. ჩნდება კითხვა — მაშინ, როგორ დავამარცხოთ ეს ხელისუფლება? — ეს მიიღწევა მოთმინებით, ჩადენილი შეცდომების მხილებით, და სწორედ ივანიშვილისეული თავისუფალი, პიროვნული ფაქტორებით. „ქართული ოცნება“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემსგავსოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. ეს უნდა იყოს ამ ექსტრემალურ, ისტორიულ ვითარებაში შექმნილი გაერთიანება, რომელიც ჩამოყალიბდება პოლიტიკურ პარტიად, მაგრამ მისი შინაგანი სულისკვეთება საერთო სახალხო მოძრაობაზე და ეროვნულ ღირებულებებზე უნდა აიგოს.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ხელისუფლება, სხვა არაფერია თუ არა კრიმინალების ბანდა, რომელმაც კანონების ისეთი წრე შეკრა, რაც ივანიშვილს მოქმედების საშუალებას არ აძლევს. ამ ფონზე ხომ დემოკრატიულ, თავისუფალ არჩევნებზე საუბარიც ზედმეტია. მაშინ რა აზრი აქვს ასეთ არჩევნებში მონაწილეობას?**

— აბსოლუტურად მესმის თქვენი შეკითხვის არსი. ამ ფონზე დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, პირდაპირ თუ ვიტყვით, სისულელეა, მაგრამ არსებობს უფრო დიდი სისულელე— ხელისუფლება გვიპირისპირდება მახვილით, ღვრის ჩვენს სისხლს, ამიტომ მას მისივე შეცდომებით უნდა დავუპირისპირდეთ, და ნება-უნებლიედ ამ თამაშში უნდა წავჰყვეთ. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ქართველი ერი გონებაგახსნილია, მან ბოლო 20 წლის მანძილზე უამრავი ტკივილი გადაიტანა და კარგად აცნობიერებს ხელისუფლების ვერაგობას. ამიტომ ეუბნება მას — ბრძოლაში ბოლომდე მოგყვები, მაგრამ შანსს გაძლევ არჩევნების გზით წახვიდე სახელისუფლებო კვარცხლბეკიდანო, მაგრამ თუ ხელისუფლება კიდევ ერთხელ შეეცდება ხალხს, მსოფლიო თანამეგობრობას თვალში ნაცარი აყაროს ვითომ დემოკრატიულ არჩევნებს ატარებს და ჩვენ ტაშს დავუკრავთ და მივულოცავთ მას, მაშინ ქართველი ხალხი ვერ ვყოფილვართ ნორმალური. ჩემი აზრით, 2012 წლის არჩევნები ისტორიულია, ამ არჩევნებში სწორედ ივანიშვილის გამოჩენის ფაქტორი არის ის ფეთქებადი ნაღმი, რომელიც ამ ხელისუფლებას წალეკვით ემუქრება. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ხელისუფლებამ 2012 წლის არჩევნები ხელოვნურად მოიგოს დრაკონული კანონების მეშვეობით. იმიტომ, რომ ადამიანი, რომელიც საარჩევნო ყუთთან ხელისუფლების წინააღმდეგ მისცემს ხმას, ხელისუფლების ხელოვნური გამარჯვების შემთხვევაში ქუჩაში გამოვა და მას სახლში ვეღარავინ შეაბრუნებს.

ბიძინა ივანიშვილი სწორედაც იმ მოთმინების ფიალის ხელში დამჭერია და დღესდღეობით, თავადაც ამ მოთმინების ფიალით „იკლავს წყურვილს“. ბიძინა ივანიშვილი ქართველი ერის, სამშობლოს სიყვარულის გამო უდიდეს რისკებზე დებს მთელს მის წარსულს. იგი ქუჩაში გამოსვლის წინააღმდეგი სწორედ იმიტომაა, რომ ამით ხელისუფლებას უგზავნის მესიჯს და ეუბნება, რადგანაც მე არენაზე გამოვედი ნიშნავს, რომ შენ დემოკრატიის არაფერი გცხია. იმიტომ, რომ ივანიშვილი გვერდში ედგა ხელისუფლებას და ეხმარებოდა მას, რათა დემოკრატიული, თავდაცვისუნარიანი ქვეყანა აეშენებინა. მაგრამ მისი გამიჯვნა და არენაზე ამ ფორმით გამოსვლა ნიშნავს, რომ დღეს იგი ხელისუფლების მხარდაჭერას შეცდომად თვლის. თუ ქართველი ხალხი არჩევნებში 2/3-ით არ იქნა წარმოდგენილი და ეს პროცესი გამარჯვებით არ დამთავრდა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება ივანიშვილმა, რომ თქვას ქუჩაში გამოვდივარო. თუ ხელისუფლებას ეს გაცნობიერებული არ აქვს, მე ნამდვილად წარმოდგენილი მაქვს რა მოხდება.

**— რა უნდა გაკეთდეს „ქართულ ოცნებაში“ მიზნის მისაღწევად?**

— „ქართული ოცნების“ და ხალხის მოთმინება პარალელურად ივსება, ფიალა ერთია. ეს ფიალა, როგორც „ქართული ოცნებისთვის“ აივსება და გადმოვა, ასევე გადმოვა ხალხისთვის. რაც შეეხება, ხალხში გაჩენილ აზრს და გაღიზიანებას „რესპუბლიკელების“ მიმართ და ივანიშვილთან ალიანსში მყოფი პარტიების თუ პოლიტფიგურების მიმართ, გარკვეულწილად, ამასაც ხელისუფლების სპეც. სამსახურების მიერ გავრცელებული ჭორები უწყობს ხელს და ასევე, ამ პარტიების წარსული, რეიტინგები და მრავალგზის ხელმოცარვა და ხალხში უიმედობის გაჩენა. რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოს ეს პარტიები ქართულ საქმეს ღალატობენ, მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, ეს არ მჯერა. „რესპუბლიკელები“ ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც მიშას ბრძოლაში არ გაჰყვნენ და დაუპირისპირდნენ, მაგრამ, რიგი საკითხები მართლაც იწვევს გაღიზიანებას — პოლიტიკურ პარტიებს, რადგან ივანიშვილმა მათ თავისთან უხმო, თავი ყოვლისშემძლე ჰგონიათ, ეს შეცდომაა. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ რაიონში მათ აქტივისტებს არ აქვთ ავტორიტეტი. ეს შეიძლება, უბრალოდ მათი კი არა, არამედ შექმნილი ვითარების ბრალია. იმიტომ, რომ სააკაშვილმა პოლიტიკური აქტივობის და ოპოზიციური ძალების შესაძლებლობები გაანადგურა. ამიტომ, „რესპუბლიკელებმა“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ „ქართულ ოცნებას“ თავისუფლად ჩამოყალიბების საშუალება უნდა მისცენ. „ქართული ოცნების“ ორგანიზმი ძლიერ პარტიად უნდა ჩამოყალიბდეს, რისი შანსებიც ნამდვილად არსებობს. ამის ხელისშემშლელი ფაქტორია პარტიული თვითდაჯერებულობა. მაგალითად, როდესაც „რესპუბლიკელებს“ ჰგონიათ, რომ ვთქვათ, ხარაგაულში ან სხვაგან თავიანთი აქტივისტი ყოვლისშემძლეა, რეალურად მას არ აქვს მდიდარი პარტია, მაქსიმუმ 20-30 წევრი ჰყავს და არამგონია მისმა „ქართული ოცნების“ სახელით სათავეში ჩადგომამ დიდი შედეგი გამოიღოს. მათ პოლიტიკურ გამოცდილებაზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში რესურსზე ვსაუბრობ, რაც მათ არ გააჩნიათ. პირადად მე „ქართულ ოცნებას“ გურიაში ჯგუფების შექმნაში ვეხმარები, არანაირი პრობლემა არ მაქვს არც „რესპუბლიკელების“, არც „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებთან, მაგრამ ხალხს აღიზიანებს შემდეგი — სადაც მათ ფიგურალურად არ შეუძლიათ, არც ავტორიტეტი აქვთ, ნუ ცდილობენ, იქ ჩარევას.



# xalxisgan Seqmnili mesame Zala yvela politikur partias, romelsac binZur TamaSebSi amxels, gaanadgurebs

**— ბოლო დროს გამოჩნდა მესამე ძალა, ანუ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ამ ორი პოლუსიდან ვერცერთში ვერ მოხვდნენ. ეს ძალა ივანიშვილის პრო-დასავლური ძალისგან განსხვავებით, თავს ნამდვილ ქართულ ძალად მიიჩნევს.**

— ბატონ ბიძინას ვერავინ დასწამებს ცილს, რომ პრო-დასავლურის გარდა, იგი პრო-ქართულიც არ არის. იგი ძირეულად ქართველი რომ არ ყოფილიყო თავისი ფსიქოლოგიით, მაშინ იგი პრო-დასავლურად იაზროვნებდა, მოიქცეოდა და პარიზში გააგრძელებდა ცხოვრებას, მილიარდებსაც კიდევ დაუმატებდა სხვა მილიარდებს. მან კი აბსოლუტურად ყველაფერს ხაზი გადაუსვა და პოლიტიკაში შემოვიდა, რაც ნიშნავს რომ იგი სულით ხორცამდე ქართველია. სამების ტაძრის ამშენებელზე სხვა რამ არ ითქმის. რაც შეეხება, მის გუნდში არსებულ პრო-დასავლურ პარტიებს, ეს ის ძალა არ არის, რომელმაც ჩვენ ქართულ ბრძოლაზე ხელი უნდა ჩაგვაქნევინოს. მესამე პოლიტიკური ძალა არ არსებობს. ამას ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ, ჩემი აზრით აქცენტები სახალხო კრებაზე კეთდება. აქ სუფთა, შეურყვნელი ადამიანები არიან. სახალხო კრება თავისი მენტალიტეტით არ შეიძლება მესამე ძალა გახდეს. იგი იქ იქნება, სადაც ხალხია. თუ ხალხი ივანიშვილის გვერდით დადგება, სახალხო კრებაც სწორედ იქ იქნება. არ ვარ იმის მომხრე, რომ ვინც მესამე ძალად წარმოადგენს თავს — კუკავა, ბურჯანაძე, შაშიაშვილი, გაჩეჩილაძე, არ მიიღონ მონაწილეობა საერთო სახალხო მოძრაობაში, რაც „ქართული ოცნების“ გარშემო ყალიბდება, მაგრამ თუ მესამე ძალაზე მაინც ვისაუბრებთ, ვიმეორებ, მესამე ძალის არსებობა ტყუილი განცხადებებია, იმიტომ, რომ არ არსებობს, ძალა რომელიც შეიძლება მესამე ძალად შეიქმნას. მაგრამ მესამე ძალის შექმნის ნაღმი მართლაც დევს, რაც არ ასოცირდება ახლა ნახსენებ პოლიტიკოსებთან. მესამე ძალა შეიძლება იმ შემთხვევაში შეიქმნას, თუ ხელისუფლების დაყრილი ჭორები ხალხზე იმოქმედებს და ივანიშვილი, როგორც საქართველოსთვის მოვლენილი იმედი გაცრუვდება. ეს იქნება ხალხის მიერ შექმნილი მესამე ძალა, რომელიც ყველა პოლიტიკურ ძალას, თუკი რაიმე თამაშში ამხელს, გაანადგურებს.

**თამარ შველიძე**



# riT gaanawyenes `respublikelebma~ kaxa kukava da rogor apirebs igi erovnuli Zalebis Tavmoyras?

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა**

**—კახა, ხელისუფლებისა და ივანიშვილის კოალიციის დაპირისპირება დღითი-დღე არაპროგნოზირებადი ხდება, სადამდე გაგრძელდება რეპრესიები, ან ბოლოს და ბოლოს, კოალიცია ე.წ. ნერვების ომს დათმობს?**

— დღეისათვის, ივანიშვილის კოალიციაში მთავარია შიდა საკითხების მოგვარება და ისინი შიდა ბრძოლაზე უფრო არიან კონცენტრირებულნი, ვიდრე ხელისუფლების დამარცხებაზე.

ერთ-ერთ მაგალითს გეტყვით: მას შემდეგ, რაც ჩვენ ბოლო ორი კვირის მანძილზე არა ერთი განცხადება გავაკეთეთ, რომ მზად ვართ ივანიშვილთან თანამშრომლობისათვის და კონკრეტულად, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შევთავაზეთ თანამშრომლობაა- აი, ამის შემდეგ, ზუსტად ვიცი, კოალიციის ერთ-ერთმა სუბიექტმა დაიწყო შავი ფიარი კონკრეტულად ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ერთ-ერთ გაზეთში გამოაქვეყნეს შეკვეთილი პუბლიკაცია სათაურით: „კუკავა ივანიშვილის კოალიციის დაშლას ცდილობს“

ფაქტი თავისთავად სასაცილოა. ივანიშვილი ცხოვრებაში არ მინახავს.არც მასთან და არც მის გარემოცვასთან მაქვს რამე სახის კონტაქტი. აი, ეს არის პირდაპირი პასუხი თქვენ შეკითხვაზე, თუ რატომ არის პასიურობა ამ კოალიციაში

რადგან ჯერჯერობით შიდა საკითხებია გადასაწყვეტი და ამ დროს, ივანიშვილის გარემოცვა ყველანაირად ცდილობს მოახდინოს თვით ივანიშვილის „პრივატიზება“

**— თანაც „რესპუბლიკელების“ პოზიცია ცალსახაა: ვითანამშრომლებთ ნებისმიერ ძალასთან, მხოლოდ კუკავას და ბურჯანაძის ფაქტორს გამორიცხავთო....**

— სხვათა შორის, აღნიშნულ პუბლიკაციაში, რომელიც ვფიქრობ, ამ „ავტორების“ შეკვეთილი იყო ფინალიც იპყრობდა ყურადღებას: თუკი ივანიშვილი მაინც გადაწყვეტს, ითანამშრომლოს ბურჯანაძესთან და კუკავასთან, მაშინ რესპუბლიკელები დატოვებენ კოალიციას. ეს პირდაპირ გაცხადებული შანტაჟი იყო. ვფიქრობ, ბატონმა ივანიშვილმა და მისმა უახლოესმა, ერთგულმა მრჩეველებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, თუ რამდენად „სასიკეთო“ საქმეს უკეთებს მათ ზოგიერთი პარტნიორი.

**— კახა, რუსულმა ფაქტორმა ხომ არ იქონია გავლენა, რადგან თქვენ და ბურჯანაძე რუსეთთან დაახლოების მომხრე ძალებად მოიაზრებით, ხოლო რესპუბლიკელებს მტკიცედ უკავიათ პროდასავლური ნიშა?**

— ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი. თუმცა არა გადაულახავი. მით უფრო, ჩვენი მხრიდან არაერთხელ დაგვიფიქსირებია, ბატონი ივანიშვილის და განსაკუთრებით, მისი პარტნიორების იდეოლოგია „თავისუფალი საქართველოს“ იდეოლოგიისა და პროგრამისაგან არსებითად განსხვავდება, თუმცა აბსოლუტურად ნორმალურია, როცა განსხვავებული იდეოლოგიის ძალებიც ქმნიან კოალიციას და საერთო მტრის წინააღმდეგ აყალიბებენ ერთიან ფრონტს.

ნუ, ახლა... სტალინი და რუზველტი თანამოაზრეები არ ყოფილან, როცა ჰიტლერი ჰყავდათ დასამარცხებელი კოალიცია შექმნეს და ახლა, საქართველოს ჰიტლერი მიხეილ სააკაშვილია. იგივე მოხდა სულ ახალხან ეგვიპტის რევოლუციის დროს, როცა ფუნდამენტალისტი მუსულმანები და ლიბერალები ნობელის პრემიის ლაურეატი ბარადეის ხელმძღვანელობით ერთად იბრძოდნენ მუბარაქის წინააღმდეგ.

ამიტომ საქართველოშიც ვერაფერს ვხედავ პრობლემატურს, თუკი მოხდება გაერთიანება სხვადასხვა ოპოზიციური ფლანგების და შეიქმნება დროებითი ტაქტიკური ბლოკი სააკაშვილის წინააღმდეგ. თავის მხრივ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ გადავხედავთ საკუთარ შეხედულებებს.

აი, მაგალითად, ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდაჭერას არ ვაპირებთ, როგორც მინიმუმ, მანამდე, ვიდრე სოხუმში ქართული დროშა არ აფრიალდება. ეს ჩვენი შეხედულება მეტად პრინციპულია და ზოგიერთებისგან განსხვავებით, ჩვენთვის „ფიარტრიუკს“ არ წარმოადგენს. ასე რომ, იდეოლოგიური სხვაობა ტაქტიკურ ბლოკს არანაირად შეუშლის ხელს.

**— და მაინც, რა ხდება, ივანიშვილის კოალიციაში, რატომ იბლოკება სხვა ოპოზიციური აზრი?**

— ამ კოალიციაში რაც მიმდინარეობს, არ არის ჩემი და „თავისუფალი საქართველოს“ საქმე. გავაკეთე კომენტარი მხოლოდ იმ ნაწილში, რაც უშუალოდ შეგვეხებოდა...რომ მას შემდეგ, რაც გაჩნდა იდეა, შეიძლებოდა შემდგარიყო ჩვენ პარტიასთან თანამშრომლობა, კოალიციის ერთ-ერთმა სუბიექტმა ჯერ შიგნით დაიწყო ჩვენი პოლიტიკური ძალის დისკრედიტაცია, ხოლო როცა ჩათვალეს, ეს საკმარისი არ იყო, პირდაპირ შეკვეთილ პუბლიკაციებს მიმართეს. თითქოსდა, ვცდილობ ივანიშვილის კოალიციის დაშლას. რამდენად სერიოზული განაცხადია თავად განსაჯეთ. ჟურნალისტი ადვილად ამოიცნობს, რომ ერთ-ერთი ჩვეულებრივი შეკვეთილი პუბლიკაციაა. ალბათ, შავი ვერსია ამ პარტიის პრესსამსახურში დაიწერა. სხვათა შორის, ის გზავნილები, რაც სტატიაშია ჩამოყალიბებული პირდაპირ ეხება არა მკითხველს, არამედ ივანიშვილს. მან უნდა წაიკითხოს აღნიშნული სტატია, რომელიც შემდეგნაირად მთავრდება: თუ ბურჯანაძის, ან კუკავასკენ გაიხედავ, ჩვენ დავტოვებთ ბლოკსო. როგორც ჩანს, ამის პირდაპირ განცხადება ივანიშვილთან უჭირთ და გადაწყვიტეს პრესის ფურცლებიდან მიეწოდებინათ ინფორმაცია.

მინდა დავამშვიდო და ამ შემთხვევაში ნამდვილად ვიქნები გულწრფელი: არანაირი მცდელობა არც ივანიშვილთან ურთიერთობის, ან მისი კოალიციის დაშლის, არ გვქონია. ივანიშვილის მრავალრიცხოვან შტაბში ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანს შევხვდი, ან შეხვედრა ვითხოვე, ან წერილი მივწერე... ასეთი მცდელობა არ გვაქვს. ასე რომ, საკუთარი კოალიციის საქმეები ისე გადაწყვიტონ, რომ ჩვენზე აპელირება ნაკლებად მოახდინონ. ჩვენი ოჯახის შექმნას სხვისი ოჯახის დანგრევის ხარჯზე არ ვაპირებთ. ამის სურვილიც, რომ მამოძრავებდეს, ელემენტალურად, საამისოდ ბერკეტები მაინც უნდა მქონდეს. უბრალოდ, ჯერჯერობით ივანიშვილს ვერ გაუბედეს ულტიმატუმის წაყენება და კუკავას დააბრალეს, ვითომ ჩვენ ვაპირებთ რაღაც დისონანსის შეტანას ამ კოალიციაში.

**— რამდენადაც ვიცი, წინასაარჩევნოდ თქვენი, შაშიაშვილის, ბურჯანაძის პარტიების კოალიციას უნდა ველოდეთ, ამ მიმართულებით როგორ მუშაობთ?**

— კოალიცია აუცილებლად შეიქმნება თანაც ეროვნული ძალებისაგან, ეს „თავისუფალი საქართველოს“ მტკიცე გადაწყვეტილებაა. ვიხელმძღვანელებთ არა ვიწრო პარტიული ინტერესებით, არამედ აუცილებლად შევქმნით ოპოზიციურ ერთობას, რომ ხელისუფლებას რეალური წინააღმდეგობა გავუწიოთ. თუმცა რა სახის და რამდენად ფართო მასშტაბიანი, მასში ძველ პარტნიორებთან ერთად ვიქნებით, თუ შევძლებთ ფართო ფრონტის ჩამოყალიბებას სააკაშვილის დასმარცხებლად.... ამაზე საუბარი ჯერჯერობით მიჭირს, რადგან კონსულტაციები ჩანასახოვან მდგომარეობაშია. სავარაუდოდ, აპრილ-მაისისათვის თანამშრომლობის კონტურები უფრო გამოკვეთილი იქნება.



**— ივანიშვილის კოალიცია აქტიურად ცდილობს „ეროვნული ფორუმის“ თავისკენ გადაქაჩვას, პარალელურად, თქვენი ალიანსი თუ აპირებს „ეროვნულ-ფორუმთან“ თანამშრომლობას?**

— ბუნებრივია, ფორუმი ეროვნულ ძალად მოიაზრება და ჩემი განაცხადის გარეშე, საზოგადოება ასე თვლის. ამ პარტიის იდეოლოგია ჩვენთვის უცხო არ არის, მათთან თანამშრომლობა რიგ საკითხებზე გვაქვს.

აი, მაგალითად, დეკემბერში „თავისუფალი საქართველოს“ ინიციატივით პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერ კონფერენციას ფორუმი, კერძოდ, გუბაზ სანიკიძე დაესწრო და დეკლარაციასაც შეუერთდა. თუმცა ჯერჯერობით საკითხი საარჩევნო ერთობის შესახებ არ განხილულა.

**— რა შანსები აქვს ამ კოალიციას არჩევნების პირობებში, მით უფრო, თუკი ეროვნულ იდეოლოგიაზე იქნებით ორიენტირებული?**

— თუ ეროვნული ძალების გაერთიანება შედგა და თუ ამ ბლოკის ელემენტალური ფინანსური უზრუნველყოფა მოხდა, ეს იქნება არა მესამე, არამედ მეორე ძალა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მით უფრო, დღეს საქართველოში ეროვნულ-კონსერვატორული განწყობები ბევრად უფრო მძლავრია, ვიდრე ხუთი, ან ათი წლის წინ, მაშინ ლიბერალური და პრო-ამერიკული განწყობები იყო მეტად პოპულარული.

**— მედვედევმა სულ ახლახან განაცხადა, თუკი საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, მაშინ დიალოგი შესაძლებელი გახდებაო.**

— სხვათა შორის, ბევრი აკრიტიკებს პუტინს და მედვედევს, იმის გამო, თუ რატომ არ სურთ სააკაშვილთან დიალოგიო. ობიექტურად თუ შევხედავთ ვითარებას: ვინც სააკაშვილს იცნობს, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვდება, შეუძლებელია მეორედ მოუნდეს მასთან შეხვედრა და რამე შეთანხმების მიღწევა. საერთოდ, აზრი არ აქვს სააკაშვილთან რამენაირ შეთანხმებას, რადგან ვიცით, მაშინვე დაარღვევს.

სხვათა შორის, სააკაშვილთან ურთიერთობაზე უარს ამბობენ არა მხოლოდ პუტინი და მედვედევი არამედ, ყველა სერიოზული, პასუხისმგებლიანი სუბიექტის პოზიციაც ამგვარია. საკუთარ ხალხთან და ოპოზიციასთან ვერ გამოუნახავს საერთო ენა და აფხაზებთან და ოსებთან, როგორ გამართავს დიალოგს? ასე რომ, ეს კაცი გვყავს დასამარცხებელი და შიდა დაპირისპირების მაგიერ, გაერთიანებაზე უნდა ვიფიქროთ.

**ნათია ხუციშვილი**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში

www.saertogazeti.net

შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

საერთო გაზეთი


## თბილისის გარეუბნებში გზებზე ტექნიკური მარილი არ იყრება

**თოვის გამო თბილისის გარეუბნებში გადაადგილებათან დაკავშირებული პრობლემებია. როგორც „მედიანიუსს“ ნაძალადევიდან, ლილოს დასახლებიდან, დიდი ლილოდან, სვანეთის უბნიდან და ორხევიდან აცნობეს, მათ გზებზე ტექნიკური მარილი მხოლოდ ერთხელ დაიყარა და ისიც მხოლოდ ცენტრალურ გზაზე.**



დიდ ლილოში რამდენიმე დღის წინ მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილება ცენტრალურ გზაზეც კი შეუძლებელი იყო. ვინაიდან ამ დასახლებაში მხოლოდ ერთი სახის მუნიციპალური ტრანსპორტი მოძრაობს, მოსახლეობამ სამსახურსა და სასწავლებელში წასვლა ვერ მოახერხა.

ქალაქის ცენტრში კი ტექნიკური მარილი მხოლოდ საავტომობილო გზაზე იყრება, ტროუარები არ იწმინდება.

თბილისი მერიაში აცხადებენ, რომ ტექნიკური მარილის დაყრა საჭიროების შემთხვევაში ხდება. წუხანდელი თოვის გამო კი ტექნიკური მარილი ღამიდან მოყოლებული ამ დრომდე იყრება როგორც გარეუბნებში, ისე ქალაქის ცენტრში. თუკი ვინმეს გადაადგილების პრობლემა შეექმნება, შეუძლია დარეკოს მერიის ცხელ ხაზზე და შესაბამისი სამსახურის ჯგუფი მაშინვე მოახდენს რეაგირებას.

**„მედიანიუსი“**

*ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ გენერალურ მდივანთან* ***ვახტანგ ყოლბაიასთან***

**– ბატონ ვახტანგ, თქვენ ბრძანდებოდით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ანუ არძინბას მოადგილე, აფხაზეთიდან დევნილი ხართ თქვენც, როგორ ფიქრობთ, აფხაზეთი შორეულ ოცნებად დარჩა და გაწყდა სოხუმისკენ მიმავალი ყველა იმედი?**

– 1994 წელს აფხაზეთმა და საქართველომ ერთობლივი შეთანხმება გააფორმეს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობდა იმ კომისიის შექმნასაც, რომელიც ამ პროცესის დაწყებას უზრუნველყოფდა. მაშინ გალის გამგებელი ვიყავი, დეპუტატიც და ჩართული ვიყავი ამ პროცესში. საკითხი ასე იდგა: დევნილები ნელ-ნელა, 10-10 კაცი უნდა დაბრუნებულიყო დასაწყისისთვის, ასე ათ-ათობით როდის დავბრუნდებით, ჩიოდნენ მაშინ, რა გაძლებს და ა.შ. გავიდა 20 წელიწადი და ჩვენ აფხაზეთთან უფრო შორს ვართ, ვიდრე ვიყავით მაშინ და დღეს, ფაქტობრივად, არაფერი კეთდება აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. ხელისუფლება დარწმუნებული რომ იყოს იმაში, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება მას არ გადააყირავებს, ალბათ, აღიარებდნენ რაღაც ფორმით და ნატოში შევიდოდნენ, რადგან ნაციონალური მთავრობა აფხაზეთის გარეშეც მშვენივრად გრძნობს თავს, ბათუმს აშენებენ, ლაზიკას, მერე წავლენ კანარის კუნძულებზე, ფიჯიზე და მორჩა.

**თქვენ იცით, რომ აფხაზეთში მიშას სადღეგრძელოს სვამენ იმის გამო, რაც მან ცხინვალში გააკეთა?**

შეიძლება დღეს ბევრს არც კი წარმოუდგენია, მაგრამ მე, პირადად, მიმაჩნია, რომ აფხაზებთან პირდაპირი დიალოგი უნდა დავიწყოთ. თუმცა ეს ამ ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია. აფხაზები გვენდობიან იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდებიან, რომ ჩვენი მოქმედებები პროგნოზირებადი იქნება.

**– მე ვიცი, აფხაზეთის თემა თქვენთვის იმდენად მტკივნეულია, შეგიძლიათ დიდხანს მესაუბროთ დაბრუნების კონკრეტულ გეგმებზე, პერსპექტივაზე, მაგრამ მოდით, თბილისს დავუბრუნდეთ, დანარჩენ საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე ვისაუბროთ, ოღონდ დამპირდით, რომ მაქსიმალურად გულწრფელი იქნებით.**

– გპირდებით. პატივს ვცემ თქვენ გაზეთს, ბატონ ვახტანგს, გაზეთის რედაქტორს.

**– მოგეხსენებათ, პოლიტიკურ მოედანზე ორი მოთამაშე გამოიკვეთა: ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“, თქვენ სად ხართ ამ პოლიტიკურ მინდორზე –„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ სად იმყოფება?**

– დიახ, არის ორი პოლუსი და შუა რგოლი არ არსებობს. ამას ვერ შევეგუებით ვერც ჩვენ და ვერც სხვა პარტიები, რომლებსაც ამბიციები აქვთ პოლიტიკურ ბრძოლაზე, არც ერთ ძალასთან გაერთიანება არ სურთ და არც მეორესთან. ეს არის ბიძგი იმისკენ, რომ შეიქმნას კიდევ ერთი წარმონაქმნი. თვითმიზანი არ არის, მაგრამ სიტუაცია გვიბიძგებს აქეთკენ.

ჩვენი პარტია იყო და არის გაერთიანებული „სახალხო კრებაში“. თუმცა პირდაპირ ვიტყვი, 26 მაისის შემდეგ შეილახა „სახალხო კრების“ იმიჯი და ჩვენი პარტიის იმიჯიც, მაგრამ შეფასებები ახლაც კი ნაადრევია. დრო გავა და რეალურად რა, როგორ მოხდა 26-ში, ყველაფერს ნათელი მოეფინება.

დღეს ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვიტყვი: მზად ვართ ბრძოლისთვის.

არის რაღაც ქილიკი ფეისბუქზე – არ დაუძახეს ბურჯანაძეს ივანიშვილთან, იმიტომ აკრიტიკებს პოლიტიკურ ლიდერებს და ა.შ. ჩვენ არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ გაგვიკრიტიკებია და არც ჩვენი მიზანია ვინმეს კრიტიკა. გვაქვს ჩვენი ხედვა იმ პროცესებისადმი, რაც მოსალოდნელია ამ ქვეყანაში.

**– ბატონო ვახტანგ, „ქართულ ოცნებასთან“ არ გნებავთ კოალიციაში ყოფნა?**

– ჩვენ საკუთარი შეხედულებები გვაქვს. თუ „ქართული ოცნება“ და მათში შემავალი პარტიები მზად არიან ჩვენი პოზიციების აღსაქმელად და გასაზიარებლად, ჩვენ მზად ვართ მივიდეთ „ქართულ ოცნებაში“.

**– ჯერ არ გქონიათ საუბარი?**

– ჩვენ მზად ვართ ღიად სასაუბროდ. ნინო ბურჯანაძეს არასდროს დაუმალავს, რა განწყობაც გვაქვს. 5 კომპონენტი – თავისუფალი მედია, თავისუფალი სასამართლო, თავისუფალი ბიზნესი, თავისუფალი პოლიცია, თავისუფალი ცსკო – ეს არის ის ქვაკუთხედი, რომელზეც დგას ეს ვეშაპი, – ხელისუფლება. ეს 5 კომპონენტი არის დასაკმაყოფილებელი. ხელისუფლება ღებულობს დრაკონულ კანონებს და ართმევს პარტიებს პოლიტიკური ცხოვრების უფლებას – ამის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია.

მაგალითად, ირაკლი ალასანიას თავისი ხედვები აქვს. მისი ხედვები განსხვავდება ჩვენგან იმით, რომ მას მიაჩნია ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით მიაღწიოს შედეგს, მაგრამ განვლილმა პერიოდმა, კერძოდ, ბატონი ირაკლის ოპოზიციურ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ რეალური შედეგი არ მოიტანა. პირიქით, უფრო უარესდება სიტუაცია. ვენეციის კომისიაში გაგზავნილი კანონ-პროექტის შენიშვნები გათვალისწინებული არ იქნა და უფრო მეტიც, იმავე პროექტში უფრო მეტად უხეში შესწორებები აქვთ თვითნებურად შეტანილი. ხელისუფლება ატყუებს საერთაშორისო ორგანიზაციებს.

**ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ დიალოგები შედეგს არ მოგვცემს. ისე გავა ერთი წელიწადი და დადგება არჩევნების დრო, რომ ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით და ფასადურადაც უვარგისი კანონი და არახელსაყრელი საარჩევნო გარემო შეგვრჩება ხელთ.**

**– ეს არის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი იმისა, რომ თქვენ „ქართულ ოცნებასთან“ არ მიხვალთ?**

– ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია მოლაპარაკებები. წინასწარ წაგებულ არჩევნებში წასვლას რა აზრი აქვს? გეკითხებით: ხელისუფლება იმისთვის იღვწის ამდენი ხანი, რომ ხალხი მივიდეს არჩევნებზე, მისცეს ხმა ვინმე სხვას და თვითონ დათმონ ძალაუფლება? ხელისუფლება მუდმივ საარჩევნო რეჟიმზეა გადასული, ცვლის კანონებს, იგონებს ათასგვარ ხრიკებს, ამას იმისთვის აკეთებს, რომ თვითონ უმცირესობაში იყოს და დაუთმოს ოპოზიციას? მაშინ ვინ უნდა ააშენოს ლაზიკა? ვინ უნდა განახორციელოს ის მრავალწლიანი აბსურდული პროექტები, რაც დაგეგმილი აქვთ? ე.ი. იმის იმედით უყრიან საფუძველს პროექტებს დღეს, რომ ხვალ გადააბარონ სხვას? რაღაც არ მგონია.



# nino bur janaZe `qarTul ocnebaSi~ rom mivides, biZina ivaniSvi l is avtor itets Seu l axavso, amboben. maTma mzem, vinc iqaa xom ar ian ange l ozebi?

**– „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები არ ფიქრობენ ამაზე?**

– მე არ მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი წინდაუხედავი კაცია, ამიტომ მგონია, რომ რაღაც განსაკუთრებული აქვთ მოფიქრებული, რასაც „გამოაგდებენ“ არჩევნების წინ. მაგალითად, იქნება გაცხადებული, რომ მოსახლეობა ერთი ან ორი წლით ყველანაირი გადასახადისგან გათავისუფლდება. შეიძლება ასეც იყოს, შესაძლოა, ვინმეს ვკარნახობდე იდეას, მაგრამ, ამაზეც არის, მგონი ლაპარაკი.

**– თქვენ არჩევნებისთვის ემზადებით და აპირებთ საარჩევნო პროცესებში აქტიურად ჩაბმას?**

– ვემზადებით, მაგრამ არ ვიცით, მივიღებთ თუ არა მონაწილეობას. თუ არაფერი არ შეიცვალა და ხელისუფლებამ კვლავ გააგრძელა ოპოზიციური ძალების მაქსიმალური დაბლოკვა, ადგილები გარანტირებული ექნება და რა აზრი აქვს მონაწილეობას? რატომღაც ყველას მიაჩნია, რომ თავგანწირვით უნდა იბრძოლოს ბურჯანაძის წინააღმდეგ და სხვა ბრძოლა დაივიწყოს.

**– თუკი შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოთ, ბოიკოტს გამოაცხადებთ?**

– არა, ბოიკოტზე არაა ლაპარაკი.

**– აბა, სხვა რა გზას აირჩევთ?**

– გეგმები გვაქვს, მაგრამ 8-9 თვით ადრე ვერ გავამხელთ პარტიის გეგმებს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მთხოვეთ გულწრფელი ვყოფილიყავი.

ჩვენ ვიბრძოლებთ შეიქმნას ნორმალური საარჩევნო გარემო და ამისთვის არ დავიშურებთ ძალისხმევას. ვიმუშავებთ პარტიებთან, გვექნება კონსულტაციები. ბრძოლის ის ტექნოლოგია, რასაც მიმართავს „ქართული ოცნება“ არამართებულად მიგვაჩნია და

**როცა შეხვედრა გვექნება, ჩვენ დავარწმუნებთ მათ, რომ ასეთ ბრძოლას შედეგი არ ექნება. ვეჭვობთ, ჩვენი შეხვედრა ზუსტად იმიტომ ფერხდება, რომ შეიძლება დავარწმუნოთ ძირითადი ძალები მათ მიერ აღებული კურსის არაეფექტურობაში.**



ანუ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შედიან „ქართული ოცნების“ ალიანსში, თანახმა არიან, რომ პარლამენტში უმცირესობით შევლენ, მერე ნაციონალების ნაწილის გადმობირებას მოახერხებენ და გააუმჯობესებენ საარჩევნო ველს, შეცვლიან კონსტიტუციას და ა.შ. თუ უმრავლესობა ნაცმოძრაობა იქნება, რომელი ჭკუათმყოფელი წამოვა უმცირესობისკენ და გადმოვა ამათ მხარეს. მოისყიდიან? ნუ დაავიწყდებათ, რომ არანაკლები ფულადი რესურსები აქვს ნაცმოძრაობასაც და არავის ფულზე არ დახარბდებიან ისინი.

თუ „ქართული ოცნება“ ჩვენი შეხედულებების მქონე პარტიასთან დიალოგზე მზად არის, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ. თუკი, დავუშვათ, დასაწყის ეტაპზე სხვადასხვა გზებით ვივლით, პერსპექტივაში უნდა არსებობდეს ერთი მთავარი, სადაც გადაიკვეთება ჩვენი ინტერესები და გავერთიანდებით.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**—„ქართულ ოცნებამდე“ „დემოკრატიული მოძრაობა“ და „სახალხო კრება“ იყო ის ძალა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უკომპრომისო და ანგარიშგასაწევ გაერთიანებად ითვლებოდა ნაცმოძრაობის წინააღმდეგ. გაჩნდა „ქართული ოცნება“. თქვენ ცალკე ძალას ქმნით?**

— ვხვდები, თქვენ მესამე ცენტრს გულისხმობთ. იცით, რაშია საქმე? არავის დაუშლია „სახალხო კრება“. მიდის საუბრები, რომ მოხდეს კიდევ გამსხვილება. შეიძლება, ამ ძალამ „ქართულ ოცნებასთან“ პარალელური გზით იაროს და გადაიკვეთოს, როცა საჭირო მომენტი დადგება. ეს იქნება ყველაზე უკეთესი ვარიანტი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**— თქვენ თქვით, რომ შესაძლოა, „ქართულ ოცნებასთან“ პარალელურად რეჟიმში იბრძოლოთ. რა არის ის, რაშიც პრინციპულად არ ეთანხმებით „ქართულ ოცნებას“ და მასთან პარალელურ გზაზე სვლას ამჯობინებთ?**

— *(ეღიმება).*

**ჩვენ არ ვეთანხმებით ჩანაცვლებას. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. თუ ჩანაცვლებაზეა ლაპარაკი, ამას ვერ დავეთანხმებით.**

ამომრჩეველმა ნორმალურ პირობებში უნდა მისცეს ხმა და მეორე დღეს ქუჩაში არ უნდა მოუწიოს სიარული ამ ხმის დასაცავად. ჩვენი მიზანი არაა რევოლუცია, მაგრამ დემოკრატიულ არჩევნებს ვითხოვთ. არ შეიძლება მომავალ პარლამენტში მესამედი ნაცმოძრაობა დარჩეს.

**— ნაცმოძრაობა თუ არ ერქმევა, ყოფილი ნაცმოძრაობელი ბევრი იქნება.**

**იმ შემთხვევაში თუ ოპოზიციამ ბევრი ხმა მოაგროვა, ხალხისთვის ეს იქნება სარგებელი?**

— რატომ ფიქრობთ ასე? ჩერჩილმაც არაერთხელ შეიცვალა პოლიტიკური პლატფორმა, მაგრამ ის არავის გაუკიცხავს ამის გამო. მე არ ვადანაშაულებ ნაცმოძრაობის ძველ წევრებს და მათთან დაახლოებულ იმ ადამიანებს, რომლების მიხვდნენ და წამოვიდნენ იქედან. რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძეს 2008 წელს იმის გარანტია რომ ჰქონოდა, ეყოლებოდა თავისი მომხრე დეპუტატების გარკვეული რაოდენობა, დარჩებოდა და გააგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ, როცა ნაციონალურმა ჯგუფმა დაინახა ნინოს შეუპოვრობა და უკომპრომისობა, დატოვეს მარტო და აიძულეს გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა. ყველა პოლიტიკოსი რომელიღაც პოლიტიკური მოვლენის ნაწილია, სხვანაირად პოლიტიკოსი ვერ იქნება.

**— მოკლედ, თქვენ კვლავ მიტინგის გზას ირჩევთ თუ არჩევნებს თანხმდებით?**

— ზემოთ უკვე მოგახსენეთ ამაზე — თუ არ დაკმაყოფილდება ის 5 კომპონენტი, მიტინგების გზით უნდა მოხდეს ზეწოლა ხელისუფლებაზე, შეიქმნას ნორმალური საარჩევნო გარემო. ყველა რევოლუცია ბოლოს ზავით მთავრდება და მიტინგების მერე მოლაპარაკებები და არჩევნები იქნებოდა, ალბათ.

**— 26 მაისს თქვენი მოთხოვნა იყო „მიშა გადადექი!“ მიშა ერთხელ გადადგა, მაშინაც რომ გადამდგარიყო, არჩევნებში გამარჯვების რა პერსპექტივა არსებობდა?**

— მაშინ ნამდვილად ცუდი საარჩევნო კანონი იყო, მაგრამ ახლანდელთან შედარებით საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს.

**— მინდა შეაფასოთ 26 მაისი. დღევანდელ დღეს როგორ უყურებთ იმ მოვლენებს?**



— ოჰ, მძიმე საკითხია. *(პაუზა.)* იქ ადამიანების სიკვდილი დიდი ტრაგედიაა...

26 მაისი შექმნა ხელისუფლებამ. შედეგებიც მათ კისერზეა. ესაა ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია.

**— ქალბატონი ნინო ამბობდა, თუ 26 მაისს რუსთაველზე ოპოზიციური პარტიები თუ არ მოვლენ, პასუხისმგებლობა შედეგებზე მათ კისერზე იქნებაო.**

— იქ ხალხი რომ არ იყო საკმარისი რაოდენობით, იმიტომ გაბედა ხელისუფლებამ.

რაც მოხდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. 1989 წლის 9 აპრილსაც დაარბია ხალხი რუსულმა სამხედრო ძალამ, მაგრამ გასასვლელი დატოვა. ხალხს სასიკვდილოდ რომ გაიმეტებდნენ, ვერავინ წარმოადგენდა.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მსოფლიომ დაინახა, როგორი დემოკრატი არის მიხეილ სააკაშვილი.

„ჰუმან რაითს ვოჩი“ პირდაპირ აცხადებს, რომ **პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას**. 26 მაისის მოვლენები საკმაოდ ობიექტურად არის შეფასებული.

პარლამენტში რომ ყოფილიყო ნინო ბურჯანაძისნაირი ადამიანები, ხელისუფლებას ფრთების ფართოდ გაშლის საშუალება არ მიეცემოდა და ამდენს ვერ გაბედავდა. ის კი არა, 8 აგვისტოს ომიც არ მოხდებოდა.

**— ბატონო ვახტანგ, „ქართული ოცნების“ გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პარტიები განურჩევლად შეძლებენ თქვენთან მოსვლას? მაგალითად, გაჩეჩილაძეს და მისთანებს მიიღებთ?**

— გაჩეჩილაძე სხვათა შორის, თავის დროზე შეუპოვრად იბრძოდა. ახლა სხვა გვარებს არ დავასახელებ. იგივენაირად ამბობენ ბიძინა ივანიშვილზე ნინო ბურჯანაძე რომ მასთან მივიდეს, რეპუტაციას შეულახავსო. თუ არა, მათმა მზემ, ვინც იქ არიან, ხომ არიან ანგელოზები.

კი, ბატონო, „სახალხო კრებაშიც“ იყვნენ ზოგიერთი არაფრის მაქნისები, ზოგი შემოგზავნილებიც, რომლებიც ახლა „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდნენ, მაგრამ რა ბედენაც კრებაში იყვნენ, იგივე იქნებიან „ქართულ ოცნებაშიც“.

ჩვენს პარტიას წარსულიც აქვს და დიდი გამოცდილებაც მივიღეთ ამ ხნის განმავლობაში. ყველას მოგეხსენებათ, 26 მაისის მოვლენების დროს დაპატიმრებული ჩვენი პარტიის წევრები დღესაც საპყრობილეებში ჰყავთ. იმ მოვლენების მონაწილე 42 ადამიანი დღეს ციხეში იმყოფება, 200-მდე მომიტინგემ უკვე მოიხადა სასჯელი. ეს 42ადამიანი ისინია, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაულში სდებენ ბრალს, სთხოვენ აღიარებას და საპროცესო შეთანხმებას და არ თანხმდებიან ჩაუდენელი დანაშაულის აღიარებას.

ავადმყოფი კაცი, რომელიც თბილისში სამკურნალოდ მოდიოდა, გაუფორმეს პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება და 3 წელიწადი მიუსაჯეს. ამ კაცს სისხლის გათეთრება აქვს, თირკმლის პრობლემები აწუხებს, გულის დაავადება აქვს და ციხეში ატარებს დარჩენილ დღეებს.

**ირანდა კალანდაძე**

## მკითხველთა ფოსტა

# geyo faT, Tqve unamusoebo!

ხელისუფლება ყველა დაშვებულ და აკრძალულ მეთოდებს იყენებს, მართვის სადავეების შესანარჩუნებლად, როგორც კი გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, ატყდა ფაცაფუცი. მთელი ოპოზიციური პარტიები უნდა გაერთიანდეთ, დადგეთ ერთად, თორემ უბედურება არ აგვცდება. თქვენ ისე იქცევით კრილოვის იგავ-არაკის არ — იყოს „Î ÄÍ ÀÆÄÈ ËÅÁÅÄÜ ÐÀÊ ÄÀ Ø ÓÊÀ“, ეხლა მაგის დრო არ არის, დადექით ბიძინა ივანიშვილის გვერდით და დროზე მოვიშოროთ ეს მკვლელი დიქტატორი კორუმპირებული პრეზიდენტი. მერე, თუ გინდათ პეტრე აირჩიეთ და თუ გინდ ივანე. ხალხნო, რისი გეშინიათ, ასეთ ცხოვრებას, რაღა შიშით მოვკვდე, ვაჟკაცურად და კაცურად მოვკვდე ის მირჩევნია. რას უტოვებთ შვილიშვილებს, მომავალ თაობას? 26 მაისს იქ ვინც იდგა და იცემა, მოკლულებზე აღარ ვიძახი, ყველა ვაჟკაცი და დიდი მამულიშვილები არიან. მთელმა მსოფლიომ ნახა ამათი ფაშიზმი. შემოიყვანეს უცხო ქვეყნის მკვლელები და ახოცინეს და აცემინეს ჩვენი ხალხი, აწამებინეს, ისინი რომ ქართველები ყოფილიყვნენ — ქალბატონ ნონას, ჩვენს საამაყო პიროვნებას ხომ იცნობდნენ, მე არ მჯერა, რომ მასზე ხელი აღემართა ქართველს, შვილს დათოს, ყბები დაუნგრიეს. გამოდის ეს ლალიაშვილია თუ ტრალიაშვილია და ამბობს — ჩვენ კარგი ხელისუფლება გვყავსო, მეტიც უნდა გაეკეთებინაო, შე ფაშისტო, შე არაკაცო, ის ხალხი როგორ არ შეგეცოდა, შენი ხელისუფლება ამბობს, ცოტა გადამეტება მოგვივიდაო. შე ფაშისტო, მეტს დაუმატებდი, აბა, შენა ხარ ქართველი კაცი. ამბობენ ნინო ბურჯანაძემ ხალხი გარეთ გამოიყვანა და თვითონ გაიქცაო. მე იქ ვიყავი, ნინოს არ ვიცნობ, მაგრამ მას ჩემთვის არ უთქვამს, გამოდიო, ხალხი დაიღალა ამათი რეჟიმით და იმიტომ გამოვიდა გარეთ, რა გინდათ ქალბატონ ნინოსგან? მან დაამტკიცა, რომ ის არის უშიშარი და



გმირი დედა, იმიტომ რომ თქვენზე მეტი განათლებულია, ის აფთარივით იცავდა თავის ხალხს და შვილს, რომელიც გვერდში ედგა თავის დედას. პარტიები რომ გამოსულიყვნენ თავისი ხალხით, ეს უბედურება არ მოხდებოდა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველას პირველობა გინდათ, ის გირჩევნიათ, ერთმანეთს დაუდგეთ გვერდით და გადაარჩინოთ ქვეყანა.

„კავკასიაზე“ გამოვიდა ერთი ქალი, მას ქალბატონს არ ვეძახი და ამბობს: რა უნდათ ამ მიშასგან? სასტუმროები, სახლები, საავადმყოფოები, რაიონებში კლინიკები აგვიშენა, გზები დაგვიგოო. შე წყეულო, იმას რატომ არ ამბობ, ხალხს რომ მარტო პურისათვის ყოფნის ის შენი 100 ლარი. ამას რატომ არ ამბობს, რომ ევროპაში პირველ ადგილზე ვართ ბავშვების სიკვდილიანობაში, მსოფლიოში მე-4 ადგილზე ვართ დაპატიმრებული ხალხით და პლუს წამებით კლაში, იმას რატომ არ იძახი, იაღოველებით რომ გაავსო საქართველო და ეკლესიებს შეუსია გაპონები. იმას რატომ არ იძახი საქართველო შუაზე გახლიჩა. შვილიშვილი მოხვდა ავარიაში, ორივე ლავიწის ძვლები დაემტვრა, სასწრაფომ მიიყვანა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ორი ოპერაცია გაუკეთეს. 1800 ლარი გადავიხადე, ტკივილებისაგან კინაღამ მომიკლეს მაგ დამპლებმა, რომ მივედი, ბავშვს ძლიერი ტკივილები აქვს — მეთქი, გამაყუჩებელს მივცემთო, გამაყუჩებელი რას უშველის, რენტგენი გადაუღეთ და ნახეთ, როგორ მიდის — მეთქი პროცესი. გადაუღეს მითხრეს სასწრაფოდ გერმანიაში წაიყვანეთო. შე წამლებს ხომ ვერ მიეკარები ისეთი ფასები ადევს, 50 თეთრს დააკლებენ და არის ერთი ამბავი წამლებს ფასი დავაკელითო. აი, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვეკითხები ამ ქალს, წავიკითხე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. გული მომიკვდა ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე წერს, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა და სააკიანმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომ საქართველო საზღვარზე გადაკეტონ მტკვარი. მერე ნახეთ მთელი საქართველო განავალში რომ ჩაჯდება, აგერ ახლა სამეცნიერო ბიბლიოთეკას მიადგა გასაყიდად. მოკლედ არ ინდობს არაფერს, ყიდის ყველაფერს. ეს ხალხის ისტორიული ბიბლიოთეკაა, ვინ ხარ, რა გინდა ამ საქართველოსთან, რითი ველარ გაძეხი, წადი, დაასვენე ეს უბედური, გაღატაკებული ხალხი, მილიარდები ხომ მიიტაცე თუ კადაფის რეკორდი გინდა მოხსნა, მაგდენ მილიარდს ვერ დააგროვებ, ნუ დაგავიწყდება იმ ხალხის სიკვდილი შენს კისერზეა, რომელი ერთი ჩამოგითვალო: ზურაბ ჟვანია, გურამ შარაძე, აფრასიძეები, რობაქიძე, გირგვლიანი, ვაზაგაშვილი და ის ყველა, რომლებიც მიწაში ჩაასვენე, ახლა ხან — ავტობუსით სეირნობ, ხან მანქანით, ხან — თვითმფრინავით, ხან — ველოსიპედით, ჩახვედი გორში და იმდენი ტყუილები ილაპარაკე, გამოთიშე-მეთქი, ვუთხარი ბავშვს. ხო, მართლა, ველოსიპედი ვახსენე, სტალინის ძეგლი რომ აიღე, მანდ შენი „ზემლიაკის“ — კამოს ველოსიპედი დაგედგა, ის ჯობდა, სომხებს გაახარებდი. რაც შენ გააკეთე ქართველი ხალხის მიმართ, მიშა, ნახევარი არ გაუკეთებია მილოშევიჩს, შენ რომ სინდისი გაწუხებდეს, ამის მერე არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდი, მაგრამ, იცოდეთ, ჩემო ლამაზო და ვაჟკაცო ხალხო, მიშა სააკიანი ამ არჩევნებს ვერ მოიგებს. გამაგრდით, არ შეშინდეთ, შიშს სიკვდილი სჯობია, მაგრამ ჩვენ ამ კაციჭამია მთავრობას მოვიშორებთ იმ ნაგვის ფულთან ერთად, ეს ჯალათები თავის გზას მალე იპოვიან...

გამაგრდით, ჩვენთან არის ღმერთი!

**ირაკლი დოლიძე,**
თბილისი

### რუსთაველის თეატრის სცენაზე ახლადდაარსებული „მინის თეატრის“ სპექტაკლის ჩვენება გაიმართება

ხვალ რუსთაველის თეატრის სცენაზე ახლადდაარსებული მინის თეატრის სპექტაკლის ტენესი უილიამსის „მინის სამხეცეს“ ჩვენება გაიმართება.

თეატრი სწორედ ამ სპექტაკლით წარდგა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე.

მინის თეატრი წარმოადგენს თეატრალური ხელოვნების მაგისტრის, რეჟისორ რეზო შატაკიშვილის მიერ დაარსებულ კერძო, პროფესიულ არასტაციონარულ, სარეპერტუარო, დრამატულ თეატრს — არ გააჩნია შენობა, საკუთარი სცენა, ჰყავს მუდმივმოქმედი, ახალგაზრდა პროფესიონალი მსახიობებით დაკომპლექტებული თეატრალური დასი და წარმოდგენებს მართავს სხვადასხვა თეატრის სცენაზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

„მინის თეატრის“ შემოქმედებით ჯგუფს უკვე გააჩნია საერთაშორისო კონტაქტები. თეატრის ოფიციალურად დაარსებამდე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობდნენ კიშინოვისა და მინსკის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში.

დასის მიზანია მაღალმხატვრული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა და გატანა საზღვარგარეთ, მსოფლიო თეატრალურ სივრცეში მიმდინარე პროცესების უშუალოდ, ადგილზე გასაცნობად, ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციაში წვლილის შესატანად.

„მინის თეატრის“ მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის შემოქმედებითი ახალგაზრდობის თვითრეალიზაციას, პროფესიულ დაოსტატებას, შემოქმედებითი თვალსაწიერის გაფართოებას.

**„მედიანიუსი“**

არც რუსუდან კერვალიშვილის თემას შევეხებოდი, არც ივანიშვილისა და მისი ოჯახის ადვოკატობას ვაპირებ. თუმცა ამ "ნაციონალურად თავის გამოჩენებმა" და ერთმანეთისთვის ივანიშვილის ლანძღვაში ქულების ჩაწერაზე დასწრებამ, ყველაფერს გადააჭარბა. ნაციონალებსაც უმეტეს შემთხვევაში, სწორედ "ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო" ემართებათ. აღარაფერს ვამბობ მართლა მდაბიო წიკლაურზე, რომელიც იმის გამო, რომ "კარგი ბიჭის ადგილი" არ დაკარგოს, ყველაფრის თქმას კადრულობს. ისიც გვახსოვს, „ქსენოფობიაზე და რასისტობაზე აცრილი" ნაცების ეს „ინტელექტუალური სახე" პუშკინის ბიუსტის აღებას რომ ითხოვდა. "დიდი ინტელექტის" გამოისობით დაავიწყდა, რომ პუშკინის ბაბუაგანიბალი, მავრი იყო და არა რუსი. თუმცა ამათ ბაბუა-ბებიებიც ხომ არჩევით ჰყავთ. „ზოგს" მხოლოდ დედის მხრიდან, ეტყობა, მამის მხრის გენეტიკას ბავშვის დაბადებაში წვლილი არ მიუძღვის. თორთლაძის, მაჭავარიანის, ხაბაზის, გოკა გაბაშვილის, აკუკი მინაშვილის და სხვათა არაარგუმენტირებულ ისტერიკაზე და პადხალიმურ განცხადებებზე აღარაფერს ვამბობ. რა "ჭამეთ, ბიჭებო" ამდენი, თავმოყვარეობაც რომ დაკარგეთ (ფეხზე დამყენებელი მეგობრის სიკვდილზე დუმილს რომ ავუაროთ გვერდი), მაგრამ ეს კერვალიშვილი, რომელსაც მეუღლის გარდაცვალებამდე სამზარეულოდან "ცხვირს არ აყოფინებდნენ", ეს რა დღეშია?! ნაციონალების სიაში შეყვანილი კერვალიშვილის გამოსვლებისას, „ცენტრ პოინტის" ფულებით გაგზავნილი მესიჯებით: „თქვენ ნამდვილი ქველმოქმედი და კესებული კერვალიშვილიც ახერხებთ „პოლიტიკურ პაექრობას" (როგორ და რა დამაჯერებლობით გამოგდით, სხვა საქმეა), ეს ეკატერინე ხვედელიძესაც არ გაუჭირდება

ქალბატონ რუსუდანს შევახსენებ, 26 მაისის მიტინგზე უმოწყალოდ დარ-

კერვალიშვილი და არც კუბლაშვილთან ერთად ყოვლად საშინელი კანონების ინიციატორი- ჩიორა, თუ "მწყერჩიტა" თაქთაქიშვილიც აღარ იქნებიან. ქალბატონ რუსუდანს, "თეატრალიზებული პოლიტიკის" გაგრძელების შესაძლებლობა, ახლა მსახიობის რანგშიც ექნე-




ბეული და დახოცილი ადამიანების მკვლელობის ფაქტზე საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, "ქალთა სამოქალაქო მოძრაობა თამარიონის" პარლამენტში მასთან შეხვედრას. მისთვის ჩვეული „რა კდემამოსილებით" მოგვიცილა თავიდან, თითქოს თვითონ ქალი და დედა არ ყოფილიყოს?! ალბათ, არის, მაგრამ ოჯახური ბიზნესინტერესის გამო ნაციონალებთან სპიკერობას რომ დასთანხმდები, მერე იმასაც იკადრებ, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

სხვა ტრადიციებთან ერთად საქართველოში ნათელ-მირონობასაც ღრმა ფესვები აქვს. ნათელ-მირონობა ჩვენთან ცხრა თაობაზე გადადის და ნათლულ-ნათლიას ოჯახები ნათესავება. ნათლიობაზე თხოვნას (სცენარის შესაბამისად) დიდი პაუზა, მოჰყოლია, რაც კერველიშვილისთვის ჩვეული „მირონცხებული ტონით"- „გმადლობთ, უფალოო", დაგვირგვინდა. ნათლიას ნათლულისთვის მართალია, ოქროს ჯვარი კი გაუმეტებია, მაგრამ ნათლობის სუფრაზე, რომელსაც ნათლულის დევნილმა ოჯახმა, ქართული სუფრის შესაბამისად, (ვინ იცის, რა გაჭირვებით), „ჩიტის რძეც" არ დააკლო — ქალბატონმა რუსუდანმა მიბრძანებაც კი არ იკადრა. ან რატომ მივიდოდა. ამ გაჭირვებული ოჯახისთვის რა გზითა და რა წვალებით, საპატიო სტუმრისთვის გამზადებულ სუფრასთან, "მდიდართა ამა სოფლისათა", რა ესაქმებათ?! ან ის რაში ანაღვლებდა რუსუდან კერვალიშ-

წინიდან, თუ უკნიდან. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ერთ შენობაში განთავსებული და ორი შესავლელის მქონე საავადმყოფოს ხარჯები ორ საავადმყოფოში წოლად გაგიფორმდეთ. რუსუდან კერვალიშვილი კი, მერწმუნეთ, ამ ხარჯებს ნამდვილად არ აგინაზღაურებთ. მას იმის გამბედაობაც კი არ ჰყოფნის, თავის ინტერვიუში დააფიქსიროს, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას სააკაშვილს არავინ ჰკითხავს. მაგრამ, რამდენაც სააკაშვილი თავის "არამკითხე ცხვირს", სადაც არ ეკითხებიან, ყველგან ჰყოფს: კინოში, თეატრში, არქიტექტურაში, პოეზიაში, მუსიკაში, ქალებს "მშობიარობის დროსაც უდგენს" და ბათუმის ცირკისა და დელფინარიუმის გახსნის დიდი გამოცდილებაცა აქვს, გამორიცხული არაა ქართული ანდაზის მიხედვით: "არამკითხე მოამბე, მიბერტყეს და მიაგდესო", მასაც ასე დაემართოს. გაყალბებული არჩევნების შემდეგ ივანიშვილს ენდომება ეს თუ არა, ხალხი ქუჩაში თავისით გამოვა. აქ კი, სულ ტყუილად აქვს ნაციონალურ მოძრაობას ქართველი ხალხის კიდევ ერთხელ ცემისა და გალახვის იმედი. ამათ თავს აღარავინ გაალახინებს, რადგან ხალხის ცემით ესენი ყოველ ჯერზე, საქართველოს სცემენ და უსწორებენ ანგარიშს. სამჯერ- ერთხელ 7 ნოემბერს, მეორედ — 6 მაისს, მესამედ კი 26 მაისს ნაციონალებისგან ქართველი ხალხი უკვე გაილახა და მოიკლა კიდეც. ახლა ამათი გალახვის ჯერი დადგა, თუ ადამიანური სიტყვების- "არჩევნების გზით წადით, ბიჭებოო" შესმენა არ სურთ და მაინცადამაინც ცემა-ტყეპით უნდა გაირეკონ. გაირეკებიან კიდეც, ოღონდ ისე, რომ უკან მოსაბრუნებელი გზა აღარ დარჩებათ. ამიტომ, სანამ

სახაა. . . ჩვენთვის, ომი გაცილებით ადრე დაიწყო, რომელიც უკვე დიდი ხანია გრძელდებოდა.. . .ომის თავიდან აცილება წარმოუდგენელი იყო. ეს ომი მთელმა მსოფლიომ, როგორც ოკუპაცია და ეთნოწმენდა ისე შეაფასაო". ქალბატონო რუსუდან, მაშინ თუ იყო რუსეთი ოკუპანტი, როდესაც აფხაზეთის დიდი ნაწილი წაგვართვა ომით და მაშინ, როდესაც ვახტანგ რჩეულიშვილი რუსეთში მოქმედი ავიაკომპანია "ლიდიას" მფლობელი იყო? ომის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე, არა თუ ქართველები, საერთაშორისო ექსპერტებიც კი საუბრობენ. ან იმის აღიარებას თუ გაბედავთ, რომ ეთნოწმენდა რუსეთზე მეტად სააკაშვილმა მოუწყო ქართველებს? ის განცხადებაც, რომ თქვენს შორის, (ალბათ ნაციონალებს გულისხმობთ) იდეოლოგიური გამოწვევის, "ანუ ის, რაც ჩვენი მოსახლეობის პირობებს გააუმჯობესებს"- არსებობა გსურთ, გეტყვით, რომ ივანიშვილმა, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელმაც დააქცია და გააღატაკა ნახევარზე მეტი საქართველო, დიდი ხანია ბევრ ადამიანს გაუუმჯობესა პირობებიცა და სიკვდილისგან შიმშილისგანაც იხსნა. ანუ ეს იდეოლოგიური გამოწვევა, უკვე ივანიშვილის სასარგებლოდ, მოგებულად ჩათვალეთ. მთავარი ის ქართული იდეოლოგია, ზნეობა და მორალია, რომლის ნატამალიც ნაციონალურ მორაობას არც მოსვლის დღიდან გააჩნდა და ახლა ხომ საერთოდ აღარ გააჩნია. ეს არის მთავარი იდეოლოგიოური ომი და ამ ომს, დამერწმუნეთ, ქართველი ხალხი მოიგებს.

გეთანხმებით იმაში, რომ სააკაშვი-



# ratom epataraveba Tval Si ekaterine xvedel iZe xal xis gadamgdeb `centr-pointis~ dedofal s?!



თილშობილი ქალბატონი ბრძანდებითო"- ხომ გვახსოვს. ეს „კეთილშობილი ქალბატონიც" დღეს "დიდი მონაზონივით" რომ ლოცავს და იმოძღვრება საეკლესიო დღესასწაულებზე, ახლა კი ეკატერენე ხვედელიძესაც რომ გადასწვდა- "ეკატერინე ხვედელიძეს გაუჭირდება პოლიტიკაში, რადგან ბევრ გამოცდილ ოპოზიციონერთან მოუწევს პაექრობაო." სხვათა შორის, ეკატერინე ხვედელიძე ბევრ იმ ოპოზიციონერ ქალბატონს აჯობებს სიტყვა-პასუხსა და კდემამოსილებაში, მათ შორის თქვენც ქალბატონო რუსუდან, რომელთაც ჰგონიათ, რომ "თავი უკვე ქუდში აქვთ" და "დიდი ინეტელექტით ბრწყინავენ". ქ-ნმა რუსუდანმა, მასთან თხოვნით მისული ერთი ადამიანის შვილი დირექტორს დააბარებინა და სამსახურიდან გაგდებით დაემუქრა, თუ დედამისი ქალბატონ რუსუდანს კიდევ შეაწუხებდა. ქალბატონ რუსუდანს გავახსენებ ჩვენს ულამაზეს და მართლაც უკეთილშობილეს ქალბატონ, მედეა ჯაფარიძეს. ერთ დროს ასევე დეპუტატს, მაგრამ ალბათ, მედეა ჯაფარიძის თანდაყოლილი კეთილშობილება უნდა მოგდგამდეს და არა (სიძის) სპიკერობისას ნაშოვნი ფული, ქ-ნ მედეასავით თითოეულ ადამიანთან პირადად რომ მიხვიდე და მისი სატკივარი გაიზიარო. რა ვუყოთ, ის მედეა იყო ჯაფარიძე — ეს რუსუდანია, "ცენტრ პოინტის დედოფალი", თანაც, როგორც ეტყობა, ძუნწიც. საკუთარ თავზე წარმოდგენაცა და ამბიციაც ამას მიქვია?! სადაც ჩიორა ("მწყერჩიტა") თაქთაქიშვილი, კუბლაშვილი, მაჭავარიანი, აკუკი მინაშვილი, ბალავაძე, ხათუნა ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე, გიგა ნასარიძე, მიხეილ თავხელიძე, გოკა გაბაშვილი და ეს ერთიანად, ხალხისგან გასაწეწად გაწირულ ერთიან გუნდთან ერთად „მადამ ტიუსოს ცვილის ქანდაკებას" დამსგავ-

ბად ითვლებიან. სხვა საქმეა, 2003 წელს რევოლუციით მოსული და "ნათელ-მირონობის კავშირებით განმტიცებული" ერთიანი გუნდიდან, ბარიკადების ვინ რომელ მხარეს აღმოჩნდა დღეს. რა ნათელ-მირონობაზეა საუბარი, როდესაც ამათ არა თუ ნათელმირონობის, ბიძაშვილ-მამიდაშვილობისაც და ლამის, დედმაშვილობისაც არა სწამთ. რაზეც მოგახსენებთ, წინასაარჩევნოდ, 2008 წლის 6 მაისს მოხდა, როდესაც ქალბატონი კერვალიშვილი № 1 რეფერალურ საავადმყოფოში სამაჩაბლოდან დევნილი ადამიანების მოსანახულებლად მიბრძანდა. ნაციონალური მოძრაობის "მირონცხებულ სახეს" წაგებული ომის შემდგომ სათანადო პიარიც დაავალეს. ამისთვის, მისი პრესსამსახურის უფროსი თიკა რუხაძე საავადმყოფოს დირექტორს წინასწარ შესთანხმებია, რომ სამაჩაბლოდან დევნილი ქალბატონი ნაციონალების სპიკერს შვილის ნათლობას სთხოვდა. ის კი მოულოდნელობისგან დაბნეულობას გაითამაშებდა და შემდეგ დასთანხმდებოდა. ასეც მოხდა. როდესაც ომწაგებული სააკაშვილის დავალებით, ქალბატონი კერვალიშვილი რეფერალურ საავადმყოფოში დევნილების მოსანახულებლად მიბრძანდა. შეთანხმებისამებრ, დევნილ ქალბატონს, მისთვის ახლადდაბადებული ჩვილის ნათლიობა უთხოვია. ვინ იცის, უსახლკაროდ დარჩენილ ჩვენს თანამემამულეს იმის იმედიც ჰქონდა, რომ თბილისის იერსახის დამახინჯებაში, კლიენტების გადაგდებაში მილიონებნაშოვნი "ცენტრ პოინტის" დედოფალი, გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამემამულეებს ხელს გაუმართავდა. თუ საცხოვრებელი ბინით არა, მატერიალურად მაინც დაეხმარებოდა მომავალ ნათლულს. ქალბატონ რუსუდანს როლი ისე ოსტატურად შეუსრულებია, რომ თავად ტოვსტონოგოვსაც კი შეშურდებოდა ასეთი მსახიობის. შესაბამისად, ბოკერიას მიერ შედგენილ სიებში, სადაც, როგორც ამბობენ, არც

ვილს ამ სუფრის გაშლის სანაცვლოდ ისედაც დევნილი და სახლ-კარიდან აყრილი ოჯახი მშიერი რამდენი დღე დარჩებოდა. ეს არის "ნაციონალური ნათელ-მირონიცა" და ამათი კეთილშობილებაც. ასეთი ადამიანები საუბრობენ იმ ოჯახის წევრებზე, რომელიც ამდენი წელია, სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა და შიმშილით სიკვდილისგან იხსნიდა ათასობით თანამემამულეს. იმ დროს, რა დროსაც, რუსუდან კერვალიშვილის "ცენტრ პოინტმა" გაყვლიფა, უხარისხოდ აუშენა და (ჟარგონის ენით) ათასობით ადამიანი "გადააგდო". სამაგიეროდ, მისი ოჯახი ცხოვრობს

კიდევ დროა, ჭკუაზე მოდით, ბიჭებო. ამ "საარჩევნო ბაკხანალიას" თავი დაანებეთ. თუ სააკაშვილი თავის ოჯახს მობეზრებია, თქვენს ოჯახებს თქვენი თავი რამედ ხომ უღირთ. ენა მაინც გააჩერეთ და ამდენ სისულელეებს ტელეეკრანებიდან ხალხს ნუღარ ასმენინებთ. რეგიონებს ჩაყვანილი ყვითელი ავტობუსებით კი ატყუებთ, მაგრამ თბილისმაც, ქუთაისმაც და ბათუმაც ყველაფერი იცის. "ბოლშევიკობა"— რაოდენობრივად ბევრი, არაფერს ნიშნავს. ხარისხი და ინტელექტია მთავარი, რომელი ხარისხიცა და ინტელექტიც, საბედნიეროდ,




ხელგაშლილად და მის შვილებს არც შიათ, არც სცივათ და არც სწყურიათ. საავადმოყოფოების თემაზე საგარეჯოელი კაცის მონათხრობ კიდევ ერთი ამბავს მომიყვნენ: ერთ-ერთი საავადმოყოფო აწ უკვე „ნეტარებაში გარეკილ" ამ ჩვენ პრეზიდენტს ჯერ წინა შესავლელიდან, მეორე კვირას კი უკანა შესასვლელიდანაც გაუჭრია ლენტით. ასე რომ, ღმერთმა არ ჰქნას, საავადმყოფოში მოხვედრისას, კარგად დააკვირდით, რომელი შესავლელიდან შედიხართ-

ღმერთმა თქვენთვის არ გაიმეტა. რადგან სწორედ ბოლშევიკების ცნობილი ლოზუნგით მოხვედით "ნაციონალ-ნეობოლშევიკები" — «êòî áû ë í è÷åì , òî ò ñòàí åò âñåì ».

ქალბატონი რუსუდანი ბრძანებს, რომ "აგვისტოს ომთან" დაკავშირებით, მის (ივანიშვილის ბ.ა.) ხედვებს არ ვიცნობდი. ახლა კი შემიძლია გითხრათ, რომ ომთან დაკავშირებით, ივანიშვილისგან განსხვავებით, ჩემი დამოკიდებულება აბსოლუტურად ცალ-

ლი რეგიონებში დადის, (უფრო სწორედ დაწანწალებს). ქვეყნის ყველა კუთხეს კი, გასტრონომიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და დროსტარების- თხილამურებზე სრიალის, "დაივინგის" (ყვინთვის) და აუზებში აღვირახსნილი გართობებისთვის სტუმრობს. ჩემზე კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ პრეზიდენტად წოდებულ სააკაშვილს, ხალხის ბედი ისევე ადარდებს, როგორც ვერა ქობალიას ქართული ეკონომიკა და ხათუნა კალმახელიძეს პატიმრები. იმ დრაკონული საარჩევნო კანონებისა და რეგულაციების შემდეგ, დემოკრატიულ არჩევნების ჩატარებასთანთან დაკავშირებით გაკეთებული ფარისევლური განცხადებების კეთება საჭირო აღარ არის. ამათ ვეღარაფერი უშველის აწი. გიმეორებთ, ბიძინა ივანიშვილი იქნება ლიდერი, თუ რომელიმე სხვა, თქვენი "ერთიანი გუნდი" არჩევნების გაყალბებას უკვე შეუდგა. ამიტომ ხალხი თავისი გაყალბებული ხმების დასაცავად აუცილებლად გამოვა. მერწმუნეთ, ამას ვერც მიშასა და ვანოს სპეცრაზმები, აკუსტიკური იარაღი და გაზი უშველის. ქართველი ხალხი საქართველოს ამ ტარტაროზებისგან გასათავისუფლებლად გამოვა. თქვენ კი ქალბატონო რუსუდან, ვფიქრობ, "ტარტაროზთა ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი საპარლამენტო სპიკერის იარლიყის მოცილება ძალიან გაგიჭირდებათ. კარგი იქნება, თუ ინტერვიუს მიცემისას ამაზე უფრო იფიქრებთ, ვიდრე იმაზე, როგორ ასიამოვნოთ ახლა უკვე "ნეტარებაში გარეკილ" მიხეილ სააკაშვილს. "ჩათრევას ყოველთვის ჩაყოლა არ სჯობს" და არც "დუმილია ყოველთვის ოქრო", რადგან ნათქვამია — "ქრისტე დუმილით გაიცემაო".

**ბაია ამაშუკელი**

**ზაურ კალანდია**

# mcired arian rCeulni...

ადამიანები ვართ და თითქოს ჩვეულებრივი ამბავია შიში და უნდობლობა, მაგრამ ჩვენი ეჭვიანობა უკვე ურწმუნოებამდე აღწევს და იმდენად უძლურები ვხდებით, ფსიქოსთენიით დაავადებულებს ვემსგავსებით...

ვფიქრობთ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ძალიან უბრალოდ და გასაგებად გვითხრა თავის პირველსავე წერილში, მე ყველაფერი მაქვს, მაგრამ ამ ყველაფრის ქონაში, მივხვდი, **სამშობლოს ვკარგავ** და პოლიტიკაში მოსვლა გადავწყვიტეო!

ეს ბევრმა სწორად აღიქვა და დაიჯერა, მეც მათ რიცხვში ვარ.

მეტიც, ერთი დიდი ქართველი მამულიშვილი გამახსენა ამ განცხადებამ და, თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ახალგაზრდა მწერლები ბატონ პავლე ინგოროყვასთან დროდადრო ავდიოდით. უკვე ღრმად მოხუცი იყო, ლოგინში მწოლიარე... ერთხელ ექვთიმე თაყაიშვილზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. გაიხარა, თვალები აუციმციმდა, გვისმინა, გვისმინა... რომ გავუტიეთ, როგორ გადაარჩინა ქვეყნის სულიერი განძეულობა, რა დიდი გმირობა ჩაიდინა სამშობლოს წინაშე... თავი ბალიშიდან ოდნავ წამოსწია, თვალებმოწკურულმა შემოგვხედა და გვითხრა — აბა, რა უნდა ექნაო?

ამის პასუხი ჩვენ არ გვქონდა.

იმის თქმა მინდა, ვინც იცის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების წესი და საქციელი, ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია თვალი სამებისათვის მტკვრის გამოღმიდან თუ სამებიდან გადაუხედავს თბილისისათვის, იმისთვის ეჭვს არ უნდა იწვევდეს ეს განცხადება და როგორც ითქვა, ისე უნდა გაიგოს!

ცუდია, მაგრამ არა საშიში, ხელისუფლებას ეს რომ არ სჯერა.

საშიში ჩვენა ვართ — ხალხი, ამომრჩეველი, არშემდგარი საზოგადოება... ვინც ხელისუფლების ლაგმები მოირგო და ასფალტზე დაბმული ძროხებივით ჰაერით იცოხნება... ასევე არანაკლებ საშიშია ფსევდოოპოზიციური პარტიები და მათი ლიდერები... ვინც შარშან, 26 მაისის ღამეს რუსთაველზე დაღვრილი უდანაშაულო ხალხის სისხლს გაუჩუმდა, პროტესტი არ გამოთქვა, ხელისუფლებას მობანა სინდისი, „სახალხო კრების“ ლანძღვას აჰყვა და დღესაც არ ჩერდება...

გული მწყდება, განსაკუთრებით, ბატონ შალვა ნათელაშვილზე...

მე ვინა ვარ, ბატონ შალვას საქციელი დავუწუნო, ვერც სამშობლოს უსიყვარულობაში დავდებ ბრალს, მაგრამ ივანიშვილის განცხადებით დაფეთებული, ასე მგონია, სამშობლოზე იყრის ჯავრს!...

ეჭვი ადამიანის თანმდევია, ეჭვი, შეიძლება, შეგეპაროს, მაგრამ რახან გაჩნდა ადამიანად, მისთვის სიყვარულის აკრძალვის უფლება, უფლის ნებასაც კი სცილდება!

ახლახან ერთი საინტერესო ინტერვიუ წავიკითხე გაზეთ „ქრონიკაში“.



„შენ იცი, ვინ იყო „ძროხა“, ანზორა? აი, მაგისი ბიჭია ივანიშვილის გუნდში!“ — პასუხობს ბატონი ლაშა ამირეჯიბი გელა ზედელაშვილს.

მესმის, ბატონი ლაშა თავისი ზნეობით, ღირსებით, მამულიშვილობით ზომავს და ჭრის, მაგრამ, სამწუხაროდ, მისნაირი გულანთებული მამულიშვილები მისი გვარივით ცოტაა და ვერც საარჩევნო ურნას გადასწონის. ეს ერთი პრობლემა. მეორე, ჩვენდა საუბედუროდ, „ძროხა“ ანზორას შვილებით და თავად მსგავსი „ანზორებით“ არის ეს ქვეყანა გადაძეძგილი. მით უმეტეს, როგორ გაირჩეს ეს, რა საშუალებებით უნდა დაახარისხო — ძროხებად, ძროხის შვილებად და კეთილშობილებად ეს ხალხი, არავინ იცის და, მეეჭვება, ბატონმა ბიძინამაც რომ იცოდეს!

თქვენ წარმოიდგინეთ, არჩევნებში მხოლოდ ერთი ხმა აქვს ბატონ ლაშას უძვირფასეს მამას — დიდ ჭაბუა ამირეჯიბს და იმ „ძროხა“ ანზორასაც.

ეს რეალობაა და დემოკრატიის მონაპოვარიც!

ერთი უფროსი, გარდაცვლილი მეგობარი გამახსენდა. დიდებული მთარგმნელი და პოეტი გიგლა სარიშვილი. ბატონი გიგლა დიდხანს ოცნებობდა, გამოეგონებინა ისეთი მანქანა — დანადგარი, რომელიც მწერალთა კავშირის მისაღებთათვის იქნებოდა განკუთვნილი, დაიდგმებოდა მწერალთა კავშირის შესასვლელში. წევრობის მსურველები შეყოფდნენ მარჯვენა ხელს დანადგარის ხვრელში, თუ მწერალი იყო — თითები შერჩებოდა, თუ არამწერალი — წასხეპდა...

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ძვირფასი გიგლა, ვერ აისრულა ეს ოცნება.

კიდევ კარგი, თორემ რამდენი არამწერალი და ვითომ მწერალი დაგვრჩებოდა თითების გარეშე.

ისე, შეიძლება, დღესაც აქვს ვინმეს მსგავსი იდეა და მუშაობს...

მართალია, მწერალთა კავშირს უკვე არ სჭირდება იგი. არ არსებობს და იმიტომ.

აი, ცოტა გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარი რომ გვქონდეს, გაარკვევს, ვინ მართალია, ვინ მტყუანი, ვინ ქართველია, ვინ — არა, მტერია თუ მოყვარე, არ გვაწყენდა!

ახლახან „ქართული ოცნების“ დარბაზში შევიკრიბეთ. ბევრი ნაცნობი სახე და ღირსეული პიროვნება დამხვდა იქ. პირადად მე, მადლობის მეტი რა მეთქმის, მოწვევის ღირსი რომ გამხადეს.

როგორც ავღნიშნე, ბევრი ღირსეული პიროვნება-მეთქი, მაგრამ არანაკლებ უღირსები იყვნენ იქ მოწვეულნი, მათ შორის, დამხვდურებშიც კი, ერთ-ორ ისეთ ვინმესაც შევხვდი, ღმერთო მაპატიე, საკუთარ სადარბაზოში დავარდნილი უცხო კაცი რომ ნახოს, პულსსაც კი არ გაუსინჯავს, ცოცხალია თუ არა, ჯიბეებს ამოუტრიალებს, იქნებ რაიმე აქვსო!

ასე რომ, ძროხა ერთი კეთილი და უწყინარი ცხოველია... იქ ტურა და მგელი უნდა გენახა შენ, ჩემო ლაშა! დათა თუთაშხიასი არ იყოს, „ეს ცუდი კაცები მთელი ქვეყანაა, თითქოს ...“

არც ეს არის ახალი!

ადამ და ევადან მოყოლებული ასეა!

რაც პირველყოფილმა ადამიანმა ქვა მუჭში მოიქცია მისივე მოყვასის თავში ჩასარტყმელად, მას მერე არაფერი შეცვლილა...

რა იყო მიზეზი, ვერ ვიტყვი, მაგრამ გულზე აშკარად მომხვდა და მეწყინა. ორმა სახელოვანმა ქართველმა, ბატონებმა რეზო ამაშუკელმა და თამაზ წივწივაძემ დარბაზი ათ წუთში რომ დატოვეს.

მე გიგლა სარიშვილისეული მანქანა-დანადგარის მფლობელი არა ვარ და ხელაღებით ვერ განვსჯი, ვინ ეკლესიაში შევიდეს, ვინ — „ქართულ ოცნებაში“ და ვინ შეტირილში ცოდვების მოსანანიებლად...

ასე იყო ადრე, ასეა დღესაც...

1990 წლის არჩევნები გვახსოვს... გალის ქუჩა, გამსახურდიების კოშკი, ჭიშკარი, ეზო... ყველა იქ იყო, ვისაც სამშობლო უყვარდა და ვისაც სძულდა... თუ არ სძულდა, მზად იყო, ოცდაათ ვერცხლად კი არა, კათხა ლუდში გაეყიდა ქვეყანა... იქიდან ბევრმა, როგორც მითხრეს და გავიგე, თხუთმეტი წლის შემდეგ ბატონ ბადრი პატარკაციშვილის „არკადიაში“ გადაინაცვლა...

მსგავსი ხალხისთვის არაფერი შეცვლილა, მისამართების გარდა...

გამოდის, ყველაფერი თავიდან არის დასაწყები.

ეროვნული მოძრაობაც, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“ და ა.შ. მიუხედავად ამისა, ამ წერილს იმედიანად დავამთავრებ.

* * *

ბატონი ბიძინა ივანიშვილის პირველი-მეორე წერილის შემდეგ ინტერვიუ ეკა ბერიძესთან „მაესტროში“, მართალია ვიღაც-ვიღაცებმა სინანულით გადაიქნიეს თავი, მაგრამ, ჩემი აზრით, კარგი იყო: გონიერი, ჭკუადამჯდარი, ღირსეული, მართალი ადამიანი გველაპარაკებოდა. ვფიქრობ, ბატონ ბიძინას მოსმენა უფრო უყვარს, ვიდრე საუბარი, რაც მთავარია, კარგად მსჯელობს, კარგი ფსიქოლოგიცაა, ადამიანების შეცნობა არ გაუჭირდება, ამიტომ, მგონია, ტყუილად ვნერვიულობ მეც და სხვა მისი გულშემატკივრებიც.

იმედია, ყველაფერი კარგად იქნება!

ნუ დაგვავიწყდება,

მცირედ არიან რჩეულნი...

მაგრამ არიან!

მწამს, ეს ჩემზე უკეთ, ბატონმა ბიძინამ იცის.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## დავით ბერძენიშვილი: როდესაც ობამამ „ძალაუფლების ფორმალური გადაცემა“ ახსენა, სააკაშვილმა მისთვის კვერის დაკვრა შეწყვიტა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბერძენიშვილის თქმით, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და ძალაუფლების ფორმალურად გადაცემის შესახებ განცხადება გააკეთა, თეთრ სახლში მყოფმა საქართველს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც მანამდე თავის ამერიკელ კოლეგას კვერს დინამიკურად უკრავდა, თავის ქნევა შეწყვიტა.



როგორც ბერძენიშვილმა "მედიანიუსს" ობამას ზემოხსენებული სიტყვების კომენტირებისას განუცხადა, სააკაშვილმა შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადენის აღნიშნული ნაწილი მიიღო იმად, რისი მოსმენისაც ძალიან ეშინოდა. "სააკაშვილმა ობამას აღნიშნული სიტყვების მოსმენისას, რამდენიმე წამის განმავლობაში კვერის დაკვრა შეწყვიტა. მანამდე თავს დინამიკურად აქნევდა და ეს სიტყვები რომ მოისმინა, გაშეშდა — ეს ყველაფერი კადრებში კარგად ჩანს. როგორც ჩანს, ეს ნორმალური ტერმინი — "ძალაუფლების ფორმალური გადაცემა", სააკაშვილმა მიიღო იმად, რისიც ძალიან ეშინოდა. ძალაუფლების ფორმალური გადაცემა დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით, როგორც ჩანს სააკაშვილმა გაიგო, რომ უნდა დაამთავროს და წავიდეს“, - განაცხადა ბერძენიშვილმა და დასძინა, რომ თუ საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ჩატარდება, ეს, პრაქტიკულად, ავტომატურ რეჟიმში ხელისუფლების ფორმალურად გადაცემას ნიშნავს. „სააკაშვილი ამას კარგად მიხვდა და ამიტომაც შეცბა“, - განმარტა მან.

ცნობისთვის: აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა განვლილ წლებში საქართველოში გაწეულ მუშაობას აფასებს, თუმცა სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს ელის. „ძალაუფლების ფორმალური გადაცემა, რომელსაც საქართველოში ექნება ადგილი, უკვე გატარებული რეფორმების დიდ ნაწილს კიდევ უფრო განამტკიცებს“, - ციტირებს ობამას სიტყვებს „თეთრი სახლის“ ოფიციალური ვებგვერდი.

„მედიანიუსი“

# ras apirebs `qarTuli ocneba~ kontrolis palatis sanqciebisgan dasacavad?



***ცოტა ხნის წინ კონტროლის პალატამ „ქართული ოცნება“ თვალთმაქცურ გარიგებაში დაადანაშაულა. მიზეზად შ.პ.ს „ელიტა ბურჯსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის“ამფულადი გადარიცხვების დროს მოჩვენებითი თვალთმაქცური ნიშნები დაასახელა.***

***თუმცა თავად „ქართული ოცნება“ კონტროლის პალატის მიერ წაყენებულ ბრალდებეს უარყოფს და უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არსებულ ხარვეზებსა და უფლებამოსილების გადამეტებაზე მიუთითებს.***

***თემის ირგვლივ „საერთო გაზეთის“ სტუმარია საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ადვოკატი ზაქარია ქუცნაშვილი.***

— „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის 25 იანვარს საქართველოს კონტროლის პალატისგან წერილი მიიღო, რომლის თანახმადაც მოითხოვა საზოგადოებივ მოძრაობას მის საკურებაში არსებულ 1 100 000 ლარზე ნებაყოფლობით ეთქვა უარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა აღნიშნული თანხის კონფისკაციითა და მისი ათმაგი ოდენობით გადახდით. ცხადია, წერილის მიღების შემდეგ დავინტერესდით, რამდენად სამართლიანი იყო კონტროლის პალატის ქმედება და აღმოვაჩინეთ, რომ კონტროლის პალატა თვალთმაქცურ გარიგებად მიიჩნევს იმ შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია გასული წლის დეკემბრის თვეში. მოგეხსენებათ, „პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები კონტროლის პალატამ 2012 წლის იანვრიდან აამოქმედა, ამიტომ ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე მოაქციეს გასულ წელს დადებული გარიგებები ახალი წლის შემდეგ ამოქმედებული რეგულაციების ქვეშ.

**— კონტროლის პალატის მტკიცებით, ეს, უბრალოდ, ფორმალური გარიგება იყო. რელურად, ეს გადარიცხვა გაკეთდა იმისთვის, რომ „ქართულ ოცნებაში“ ფული ჩადებულიყო?**

— „ქართული ოცნებისთვის“ ეს რომ თვალთმაქცური გარიგება ყოფილიყო, 21 დეკემბრის მდგომარეობით ფული ხომ მათთან იყო. ამიტომ ფულის შ.პ.ს გადარიცხვით რა ინტერესი უნდა ჰქონოდა, საკუთარ თავს ატყუებდა? თვალთმაქცურად ითვლება გარიგება, რომელიც იდება მხარეებს შორის რეალური გარიგების დაფარვის მიზნით. ამ შემთხვევაში კი არანაირ დაფარულ გარიგებას ადგილი არ ჰქონდა.

კონტროლის პალატა ეძებს საბაბს, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება და მოახდინოს „ქართული ოცნების“ სახსრების კომპენსაცია და ქონების დაყადაღება. მისი ამოცანაა „ქართული ოცნება“ რაიმე სახის დარღვევაზე დაიჭიროს, რათა მოხდინოს ქონების დაყადაღება. ამიტომ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენი საკუთრების უკანონო ჩამორთმევა და მკაცრი სანქციები, იძულებული გავხდით კონტროლის პალატის მოთხოვნა შეგვესრულებინა.

**—„ქართული ოცნების“ უფლებების დასაცავად თუ აპირებთ სამართლებრივ ბრძოლას?**

— კონტროლის პალატამ „ქართული ოცნება“ გამოაცხადა არა იურიდიულ პირად, არამედ მონიტორინგის სუბიექტად, რომელსაც თითქოს გააჩნია პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. თუმცა „ქართული ოცნების“ წესდებაში ვერ ამოიკითხავთ ვერცერთ პოლიტიკურ მიზანს, ამიტომ გაუგებარია, რის საფუძველზე მიიჩნია კონტროლის პალატამ საზოგადოებრივი მოძრაობა მონიტორინგის სუბიექტად.

**— თუმცა კონტროლის პალატის მტკიცებით, „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური მიზნები გააჩნია?**

— ხელისუფლება ხედავს, სოლიდური ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე „ქართულ ოცნებას“ სერიოზული ფუნქციონირების შესაძლებლობა გააჩნია, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოძრაობას ლეგალური ფუნქციონირების საშუალება მოუსპონ.

**— სამთვიანი სასამართლო დავის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა კვლავ არ გააჩნია, რა გეგმები გაქვთ?**

— ეკატერინე ხვედელიძესთან დაკავშირებით 27 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე ძალაში უკვე შევიდა. ბიძინა ივანიშვილს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, 5 იანვარს ხელისუფლებას ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით მივმართეთ. ვადა 14 თებერვალს იწურება და სამოქალაქო რეესტრისგან ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე შესაბამის დასკვნას ველოდებით.

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ივანიშვილისთვის სასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანს?**

— უბრალოდ, მათ სხვა გამოსავალი და გზა აღარ რჩებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი უნდა გამოაცხადონ საერთაშორისო ძებნილად ან ტერორისტად ამის სამართლებრივი საფუძველი, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაასაჩივრა ხელისუფლებამ სასამართლოს გადაწყვეტილება ეკატერინე ხვედელიძის დაუყოვნებლივ მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე?**

— რამოდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ხელისუფლება თუ ამ ნაბიჯს გადადგამდა ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. ღიად გამოაცხადებდა, რომ სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი და იგივე სისტემაა.

**მირანდა ნაბახტეველი**

# ratom ar gaxda kontrolis palatis interesis sagani S.p.s. saxelwodebiT `nacionaluri moZraoba~

***„საერთო გაზეთს“ კოალიცია „არჩევნების თავისუფლებისთვის“ თავმჯდომარე ირაკლი მელაშვილი ესაუბრა.***

**— რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელს პავლე კუბლაშვილს შეხვდით. რამდენად შედეგიანი იყო შეხვედრა და ზოგადად, რას ფიქრობთ იმ კანონპროექტზე, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ „მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებთან“ დაკავშირებით მიიღო?**

— იურიდიული კომიტეტის ინიციატივით, კანონპროექტის ფარგლებში მსგავსი ტიპის შეხვედრა რამდენჯერმე გვქონდა. პირველი შეხვედრა საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა, რადგან თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, ვინც შეხვედრას ესწრებოდა, გამოთქვამდა უკმაყოფილებას კანონპროექტთან დაკავშირებით. თუმცა კუბლაშვილის მტკიცებით, ის საფრთხეები, რაც არასამთავრობოებმა კანონპროექტში დავინახეთ, უსაფუძლოა და კანონით დაწესებული შეზღუდვები შეეხება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს და არა არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის არგუმენტი სუსტია, რადგან კანონი ეხება ყველას და ის სულელური, აბსურდული მუხლები, რაც კანონპროექტშია ჩადებული, არ შეიძლება ამოქმედდეს. სამწუხაროდ, ჩვენი არც ერთი შენიშვნა იურიდიულ კომიტეტს არ გაუთვალისწინებია. ამიტომ აბსოლუტურად ყველა რესურსს გამოვიყენებთ კანონში ცვლილებების შესატანად.

**— კონკრეტულად რას აპროტესტებთ კანონპროექტში, რა არ მოგწონთ?**

— თავიდან ბოლომდე კანონი იმ რედაქციით, რაც მიიღეს, შესაცვლელია, რადგან ყველა მიმართულებით გაუგებარია. პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, თუ იურიდიული პირი მხარდაჭერას გამოუცხადებს რომელიმე პარტიას ხვდება მოქალაქეთა პარტიების დაფინანსების შესახებ მოქმედი კანონის ქვეშ. ფაქტობრივად, ადამიანი აზრის გამოხატვის თავისუფლებისთვის ისჯება, სანქციები უწესდება მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებიდან გამომდინარე. გაცილებით უარესი სიტუაციაა ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით. პირი, რომელსაც ქალბატონი ნათია მოგელაძე ჩათვლის პარტიასთან დაკავშირებულ პირად, ის ექცევა „მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებთან“ დაკავშირებით მიიღებული გადაწყვეტილების ჩარჩოებში. აქამდე პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა წელიწადში თითოეული ფიზიკური პირისგან 30 000 ლარზე მეტი, იურიდიული პირის შემთხვევაში, 100 000 ლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. კანონპროექტის შემუშავებამდე გადარიცხვები საბანკო ანგარიშით უნდა მომხდარიყო, თუმცა თუ პირის მიერ გადმოცემული შემოწირულობა 300 ლარს არ აღემატებოდა შესაძლებელი იყო პარტიას ფული ხელზე მიეღო.



ახალი რეგულაციის მიხედვით კი დადგინდა, რომ პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობა წელიწადში თითოეული მოქალაქისგან არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს (იურიდიულ პირისგან დაფინანსება აიკრძალა). მოქმედი რეგულაციით, ასევე საწევროს წლიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12 00 ლარს პარტიის თითოეული წევრისგან.

**— თუმცა არ არსებობს კრიტერიუმები, რომელითაც კონტროლის პალატა დაადგენს აქვს თუ არა ამა თუ იმ პირს პოლიტიკური მიზნები და ამოცანები?**

— ბუნებაში არ არსებობს კანონი, რომლითაც კონტროლის პალატა ადგენს პირის ინტერესებს, გააჩნია თუ არა პოლიტიკური ამბიციები ამიტომ ეს კიდევ ცალკე საკითხია.

მიღებულ კანონში გაწერილია, რომ პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ კანდიდატის წარმომადგენლის, ან სხვა პირის მეშვეობით პირდაპირ ან არაპირდაპირ საქართველოს მოქალაქისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრის და სხვა სახის მატრიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა გარდა პარტიის კამპანიის ფარგლებში მცირე მატერიალური აქსესუარებისა — მაისურები, კეპები, დროშები და ა.შ.

აბსოლუტურად გაუგებარია ის მუხლი, რომელიც პარტიებს ავალდებულებს სამი დღის განმავლობაში გაარკვიონ, რამდენად კანონიერად გადმოირიცხა პარტიულ ანგარიშზე თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში კონტროლის პალატა კანონის დამრღვევს თანხის ათმაგი ოდენობით დააჯარიმებს. ვთქვათ, თუ პარტიულ ანგარიშზე 60 ლარი გადამომირიცხეს, იმის გასარკვევად, რამდენად სამართლიანად მოხდა თანხის გადმორიცხვა, სამმაგი თანხა უნდა დავხარჯო, შესაბამისად, კანონი აბსურდულია და მთლიანად მექანიზმია შესაცვლელი. თუ ამ ყველაფერს კონტროლის პალატა აკონტროლებს, მინიმუმ, გაფრთხილება მაინც უნდა მომცეს, რომ ჩემს ანგარიშებზე დარღვევაა და გამოსწორების საშუალება მომცეს.



**— შეზღუდვები, რაც საკანონმდებლო ორგანომ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით მიიღო ცნობილია, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში არ შედიოდა. რატომ მიიღო პარლამენტმა ერთპიროვნული გადაწყვეტილება?**

— ბოლო რედაქციები, რაც კანონპროქტში განხორციელდა, ვენეციის კომისი-

ას არ უნახავს. ჩვენ კანონმდებლებს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ, გადაუგზავნიან რაიმე სქელგვერდიან კანონპროეტს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიიღებენ მათგან რეკომენდაციებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, აკეთებენ იმას, რაც ხელისუფლებას აწყობს.

**— ვენეციის კომისიას არ შეუძლია გააკონტროლოს მთავრობის ქმედება?**

— ვენეციის კომისიის დამცველად ვერ გამოვდგები. თუმცა ვენეციის კომისიას შეუძლია რეაგირება მოახდინოს ხელისუფლებისგან ოფიციალური მიმართვის შემდეგ.

კანონპროექტში აბსოლუტურად გაუგებარია რეგულაცია ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობით სამ უწყებას შეუძლია ყადაღის დადება, ესაა: სასამართლო, საგადასახადო და სააღმსრულებლო ბიურო. ანუ სამივე შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა დამეცვა თავი და წარმედგინა ჩემი არგუმენტაცია. მოქმედ კანონპროექტში წერია, რომ გასაჩივრების შემთხვევაშიც კი ყადაღა ქონებას არ ეხსნება. ეს არის აბსოლუტური აბსურდულობა, რადგან არაა დროში განსაზღვრული, რა ვადის განმავლობაში ექნება ყადაღა პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ იურიდიულ პირს. შეიძლება პარტიას, რომელსაც 2012 წელს ვუჭერდი მხარს და არსებული კანონპროექტის მიხედვით შეზღუდვები, დამიწესდა იგივე სანქციებით 2014 წელსაც ვისარგებლო, ასევე არ არსებობს მექანიზმი, რის საფუძველზე უნდა მოხდეს ყადაღის მოხსნა, რა უნდა გავაკეთო ამისთვის.

**— ახალი კანონპროექტი რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებულ იურიდიულ პირებს?**

— საინტერესოა, რატომ არ გახდა კონტროლის პალატის ინტერესის საგანი შ.პ.ს. სახელწოდებით „ნაციონალური მოძრაობა". მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, ამიტომ მედლის ორივე მხარე უნდა გამოვიყენოთ, რათა ხელისუფლება ვაიძულოთ შეცვალოს კანონპროექტი.

**— ყველაფერი, რასაც კონტროლის პალატა ახორციელებს, შეიძლება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას უკავშირდებოდეს?**

— ცხადია, პირდაპირი გზით კავშირი აქვს ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან. თუმცა ამ კანონითაც დარჩენილია უამრავი ლეგალური მექანიზმი ბიძინა ივანიშვილმა დასახულ მიზანს მიაღწიოს.

**— რას აპირებთ კანონპოექტის შესაცლელად, რა გეგმები გაქვთ?**

— ვაპირებთ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის გაგზავნას, საერთაშორისო ორანიზაციების საქმის კურსში ჩაყენებას, ანუ ყველა იმ მექანიზმის გამოყენებას, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ არსებული კანონპროექტის შესაცვლელად.

**მირანდა ნაბახტეველი**

# ras moelis sazogadoeba ivaniSvilisgan da rogoria fsiqologis winasaarCevno prognozebi?

***„საერთო გაზეთს" არჩევნების თემაზე, ლიდერის ცნებაზე, ხოლო მის კვალდაკვალ, ივანიშვილის ფაქტორზე, სააკაშვილის რეიტინგზე და ასევე სხვა საინტერესო გარემოებებზე ფსიქოლოგი ია ახვლედიანი ესაუბრება:***

**— ამ ბოლო დროს ლიდერის ცნება არაპოპულარული გახდა, რიგი პოლიტიკოსები შენიშნავენ, საზოგადოებრივ პროცესებს წინამძღოლი არ სჭირდება და ბელადომანია ბოლოს და ბოლოს, უნდა დასრულდესო...**



— არა. ლიდერი აუცილებელია. რაღაც გარკვეული ჯგუფი ზოგად სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელიც გარკვეული მიზნისკენ მიდის და ორგანიზებულ ქმედებას განახორციელებს—აი, ამ ვითარებაში ყოველთვის საჭიროებს ლიდერს.

თუ ორგანიზებულ ქმედებებზეა საუბარი,თუ გარკვეული მიზანი გააჩნია საზოგადოებას, რისკენაც მიისწრაფის- ამ დროს აუცილებელია ლიდერი.

ხოლო როცა არ არსებობს, ან იქნებ, ძალიან ბევრნიც არიან, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ჯგუფები არ უცხადებენ ნდობას ამ კონკრეტულ ლიდერებს?ეს უკვე საზოგადოების პრობლემაა, რამდენადაც მასში არ არსებობს ნდობის ფაქტორი კონკრეტული პირების მიმართ. ანუ, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ლიდერის დეფიციტი .

ქართულ საზოგადოებაში ყოველთვის არის მაქსიმალისტური განწყობები. თუ გამოჩნდება ლიდერი, საზოგადოება ცდილობს, რომ პროცესები მთლიანად გადააბაროს ამ ლიდერს, სრული პასუხისმგებლობა დააკისროს და თვითონ შორიდან უყუროს, როცა არ მართლდება ეს ე.წ. ნდობა, მერე უკვე უკურეაქციას ვიღებთ. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ხალხი ამ არჩეული პირის გადაყენებას ითხოვს, უფრო ხშირად კი, პროცესს მოჰყვება სამოქალაქო ომი, მუდმივი დაპირისპირება. ასე რომ, თავად საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ლიდერის მიმართ სალი მიდგომები.

**— თუმცა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე მუსირებდა აზრი, რომ ოპოზიცია სუსტია და პროცესების წარმართვის უნარი საბოლოოდ წაერთვა, რამდენად ჰქონდა ამ გარემოებას ფსიქოლოგიური ახსნა?**

— ოპოზიცია სუსტიაო ითქვა, გამომდინარე იქედან, რომ მათაც არასწორი ნაბიჯები ჰქონდათ. მაქსიმუმს ისახავდნენ მიზნად, საზოგადოება შეპირების აღსრულების მოლოდინში იყო, ბუნებრივია, ოპოზიცია ამის შემსრულებელი ვერ იყო და არ იყო (შესაძლოა, კეთილი ნების გამო, რომ საზოგადოებაში დაპირისპირება არ მომხდარიყო, უაზრო კონფლიქტი არ წარმოქმნილიყო...) ხალხსაც ადრე არსებული განწყობები უკვე შეეცვალა, ნდობის მომენტი აღარ დარჩა. ახლა თვლიან, რომ სუსტია, რახან ოპოზიციამ ვერ მოახერხა გარკვეული დაპირებების შესრულება: მაგალითად, გადაეგდოთ პრეზიდენტი... მოეხდინათ გადატრიალება. ამან გამოიწვია უკურეაქცია და უნდობლობა.

**— კლასიკური აზიური მოწყობის ქვეყანა ვართ?**

— ევროპაში დიდი ხანია ჩვენგან განსხვავებით თავისუფალ გარემოში ცხოვრობენ.

თანაც საქართველოში არ არსებობს ალტერნატიული პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც საზოგადოება ჩათვლიდა ღირსად და წაიძღოლებდა. არ არის ნდობა, იმ ხარისხით, რა ხარისხითაც უნდა იყოს.

პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ ჭრელი, მრავალრიცხოვანი გახლავთ, იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ საზოგადოებას სჭირდება. დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის რაოდენობა აუცილებელია, თუმცა არც ასეთი სიჭარბე წაგვადგება. იმედი მაქვს, გარკვეული წლების განმავლობაში (ამას დიდი ხანი არ დასჭირდება,) ჩამოყალიბდება და გამოიკვეთება ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკაში სერიოზულ ძალას შექმნიან. ამ ჯგუფებში გადანაწილდება საზოგადოება, ანუ, თავად გააკეთებენ არჩევანს: ვის უნდა გაჰყვნენ? რატომ მიყვებიან? და ა.შ. ასე რომ, პროცესი ნელნელა დაიწმინდება.



**— ბიძინა ივანიშვილი არც ისე დიდი ხანია რაც გამოჩნდა ასპარეზზე, თუმცა როგორც გამოკითხვებიდან ჩანს, საკმაოდ მაღალი რეიტინგი მოიპოვა, როგორც ფსიქოლოგი, როგორ შეაფასებთ ივანიშვილის ფაქტორს?**

— ამ პიროვნების შეფასება რამდენადმე რთულია. პირველ რიგში, ჩვენ მას არ ვიცნობთ. ისიც მიკვირს, საზოგადოებამ მაღალი რეიტინგი რატომ მიანიჭა? კონკრეტულად იმ პიროვნების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, მიკვირს, რომ ხმამაღალ განაცხადს არ აკეთებს: როგორ წარმოუდგენია საქართველოში საზოგადოების ფორმირება, რა უნდა ხდებოდეს? როგორ? საკუთარი პროგრამა თუ გააჩნია?ამ ვითარებების ირგვლივ ესაუბრა და შედეგად ჰქონოდა საზოგადოებაში მაღალი რეიტინგი- გასაგები იქნებოდა. რამდენადაც ვიცი,კითხვები უპასუხოდ გვრჩება. ესეც საზოგადოების არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე მეტყველებს: ნდობას უცხადებს ლიდერს, რომლისგანაც არ აქვს პასუხი, თუ რას აპირებს, რას ფიქრობს, როგორ და რაგვარად წარმოუდგენია. ხოლო შემდგომში უკვე იმედგაცრუება, თანაც ასე ვთქვათ, მეტად მასშტაბურია მოსალოდნელი.

თუ ჩავეძიებით და ღრმად დავინტერესდებით, მაინც და მაინც, რა ახსნა აქვს მეცენატის ასეთ უპირობო მხარდაჭერას... მივდივარ გარემოებამდე, რომ საზოგადოება ინერტულია. ელოდება მესიას, რომელიც მოვა და მის მაგივრად გადაწყვეტს ყველაფერს. მის მაგივრად იფიქრებს, მის მაგივრად იმოქმედებს... კარგი მოხდება? ხომ ძალიან კარგია. თუკი ცუდი მოხდება, გადაბრალდება ისევ იმ კონკრეტულ ადამიანს.

რა საკვირველია, ჩვენ შემთხვევაში ივანიშვილის ფაქტორმა მხოლოდ და მხოლოდ წარმატება უნდა მოუტანოს მისი ბლოკის წევრებს. ცხადია, დროთა განმავლობაში პოლიტიკური სისტემა ჩვენთანაც დაიწმინდება და შესაძლოა, ამერიკის მსგავსად, მხოლოდ ორი პარტია გახდეს დომინანტური. წინ და წინ სხვა პროგნოზების გაკეთება ძნელია.





**— რამდენად მოსალოდნელია არჩევნების პარალელურად, ან იქნებ, არჩევნების შემდეგ ხმების დასაცავად, სახალხო მღელვარება, აქცია-გამოსვლები?**

— არა მგონია.

ეს ნაკლებად მოსალოდნელია, იმისდა მიუხედავად, გამარჯვება არჩევნებში რომელ ფლანგზე იქნება. რასაც დღეს ვხედავ, ხელისუფლების ნაბიჯები ბევრად გონივრულად არის დაგეგმილი, ვიდრე ოპოზიციის.

შესაძლოა, მისთვის უფრო ადვილია, რადგან ადმინისტრაციული რესურსები გააჩნია. მაგრამ როცა საუბარია ამ ფიარ-ტექნოლოგიებზე კონრეტული საქმეც ხომ ჩანს? ხოლო ოპოზიცია ჯერჯერობით საზოგადოებას კონკრეტულ ქმედებებს არ სთავაზობს. შესაძლოა, რაღაც გეგმა აქვს და რაღაცას ელოდება.

იმედი მაქვს, ოპოზიცია ცაიტნოტში არ აღმოჩნდება და საარჩევნო კამპანიას დროულად შეუდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გამარჯვების პროგნოზირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია

**ნათია ხუციშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# qarTuli satiagraha

qarTuli satiagraha



**ვახტანგ ხარჩილავა**

**ქართველთა მაჰათმა განდი — ილია ჭავჭავაძე — 1907 წელს მოკლეს ქართველებმა.**

**ინდოელთა ილია ჭავჭავაძე — მოჰანდას კარამჩანდ პორბანდარი — იგივე მაჰათმა განდი — 1948 წელს ტყვიით განგმირეს ინდოელებმა.**

**— ენა, მამული, სარწმუნოება, — გვითხრა ჩვენმა „მაჰათმამ“ დიადმა სულმა (მაჰათმა — დიად სულს ნიშნავს) ილიამ.**

**— სატიაგრაჰა! სატიაგრაჰა! — მოუწოდა მოჰანდას კარამჩანდამ ინდოელებს.**

**სატიაგრაჰა — შეუპოვრობა ჭეშმარიტებაში, წინააღმდეგობა არაძალადობრივი გზით — ასე ითარგმნება ეს სიტყვა ქართულად.**

— არ ითანამშრომლოთ ინგლისელ კოლონიზატორებთან, არ იყიდოთ უცხოური პროდუქცია, უარი თქვით კოლონიზატორების მიერ შემოთავაზებულ პრივილეგიებზე, არ ჩადგეთ მათ სამსახურში, არ მიიღოთ მათ მიერ ნაწყალობევი ჯილდოები და ტიტულები, თუ გინდათ, რომ ინდოეთი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო იყოს — აფრთხილებდა მაჰათმა ინდოელებს და პირადი ცხოვრებით აძლევდა თანამემამულეებს შეუპოვრობის, სტოიციზმის შეურიგებლობის მაგალითებს.

— არა იარაღით, არა ძალადობრივი გზით, არამედ მხოლოდ მშვიდობიან წინააღმდეგობას აქვს აზრი, მხოლოდ ასეთი წინააღმდეგობა მოიტანს სასურველ შედეგს. ამგვარი ბრძოლა მაღალ სულიერებას, ზნეობრივი და მორალური ნორმების ერთგულებას, კეთილშობილებას, შემწყნარებლობას მოითხოვს ჩვენგან. ეს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ბრძოლაა საკუთარ მანკიერებასთან, ბრძოლა იმისთვის, რომ უკეთესი გავხდეთ. ინგლისელები კი არ არიან ცუდები, ჩვენ არ ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ჩვენ მოვიგებთ ამ ომს, — არწმუნებდა მაჰათმა ინდოელებს.

მთელი ინდოეთი ანტიიმპერიალისტურმა სულიკვეთებამ მოიცვა. ეროვნული კონგრესი განდის იდეოლოგიის მთავარ ცენტრად იქცა. მთელი ერი, ღარიბიც და მდიდარიც, სატიაგრაჰას დროშის ქვეშ გაერთიანდა და კოლონიზატორები აიძულა დათმობებზე წასულიყვნენ.

**ქართული სატიაგრაჰა ჯერ არ შექმნილა. ჩვენი საზოგადოება არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ ჭეშმარიტებისთვის შეუპოვარი ბრძოლის გარეშე გამარჯვება შეუძლებელია.**

ჩვენ თანახა ვართ ვიყოთ ცუდები, ოღონდ კარგად ვიცხოვროთ.

ჩვენ თანახმა ვართ ვიყოთ მორჩილნი, ოღონდ მაძღრად ვიყოთ.

ჩვენ თანახმა ვართ ეშმაკსაც კი შევეკრათ, ოღონდ ბედნიერი და უზრუნველი არსებობის გარანტია მივიღოთ.

მიუხედავად ამისა, საქმე მაინც ძალიან ცუდად არის, მაგრამ ვერა და ვერ გაგვიგია, რატომ გვაქვს საქმე ცუდად, როცა ყველაფერზე თანახმა ვართ?

ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: როცა ყველაფერზე თანახმა ხარ, არ შეიძლება იყო კარგად, რადგან ყველაფერზე თანხმობა დამცირებაზე, დაბეჩავებაზე, დამონებაზე თანხმობასაც ნიშნავს.

ქართული სატიაგრაჰა ჯერ არ შექმნილა...

* * *

1883 წელს ილია ჭავჭავაძე „ივერიისთვის“ წერს წერილს „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ცენზურამ აკრძალა და მისი გამოქვეყნება მხოლოდ სათანადო შესწორებების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ამ ას ოცი წლის წინათ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში არის ფრაგმენტები, რომელიც თითქოს დღევანდელ დღეზეა დაწერილი:

**„მაშინ რომ ქართველისთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. — მაგის გარდა კიდევო? კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. — რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენი ჭიის გახარებაო.**

**... ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ჰფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ სულს რომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავილუპოო.**

**აბა, ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრს, გონებას, თავგანწირულობას ერისათვის, საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამ-გვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო“.**

დღესაც ლუარსაბ თათქარიძეებითაა სავსე ეს ქვეყანა, თათქარიძეებით და თათქარიძეობაზე მეოცნებე დამწყები თათქარიძეებით.

დღესაც მხოლოდ ხორცის გადარჩენაზე ფიქრობს ქართველი კაცი. რა გინდაო, რომ ჰკითხო, ახლაც იგივეს გიპასუხებს, რასაც ილიას დროს ამბობდა: — სიცოცხლე მინდა, სიცოცხლეზე ვფიქრობო, მაგრამ რას ეძახის სიცოცხლეს, რისთვის სჭირდება სიცოცხლე და რას უნდა მოახმაროს იგი, არც მაშინ იცოდა და არც ახლა იცის ხეირიანად.

მაგრამ ეს არ არის მისი ბრალი — არჩევანის წინაშე დააყენეს — ან სიცოცხლე, ან სიკვდილი, ან გადარჩენა, ან დაღუპვა — ასეთი ალტერნატივის წინაშე დგას იგი დღეს და სულაც არ არის გასაკვირი, ამ ორი არჩევანიდან სიცოცხლეს თუ ირჩევს.

ეს არ არის დასაძრახი და გასაკილი, თუმცა სიცოცხლე, რომელსაც ის ასე ებღაუჭება, დიდად არ სჯობს სიკვდილს, ის კი არა, კარგად რომ დავუკვირდე, სიკვდილზე ცოტა უარესიც კია, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ცუდი არ არის, ცოცხალი რომ ხარ და სული რომ გიდგას, ოღონდ ერთი პირობით: რადგან ცოცხალი ხარ, იმაზე უნდა დაფიქრდე და როგორმე უნდა მიხვდე, რატომ აღმოჩნდი ამ სიტუაციაში, რა დაგემართა, რა მეწყერმა გადაგიარა.

მდგმარეობა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ერთბაშად და უეცრად არ შემნილა — მას მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად, გეგმაზომიერად ქმნიდნენ ქვეყნის უხილავი თუ ხილული დამპყრობლები, ქმნიდნენ ჩვენი უმეცრების, ჩვენი კომფორმიზმის, ჩვენი შემრიგებლობის წყალობით, ჩვენივე თანამონაწილეობით, ჩვენი დასტურით და თანხმობით.

ეს ყულფი, ყელზე რომ გვიჭერს და ნელ-ნელა გვახრჩობს, ჩვენს მიერ არის საგულდაგულოდ განასკვილი, ოღონდ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით.

* * *

— ჩვენ უბედურები იმიტომ კი არ ვართ, რომ ინგლისელები არიან ცუდები, ინგლისელები კარგები არიან, მაგრამ ჩვენ არ ვართ ისეთი კარგები, რომ ჩვენი ქვეყანა ბედნიერი



და თავისუფალი გავხადოთ — მოძღვრავდა „დიადი სული“ ინდოელებს და საყოველთაო დაუმორჩილებლობისკენ, საყოველთაო შეურიგებლობისკენ მოუწოდებდა თავის ერს:

— არ გადაიხადოთ გადასახადები, არ ითანამშრომლოთ კოლონიზატორებთან, არ შეხვიდეთ მათ სამსახურში, არ ჩაიცვათ მათი ტანსაცმელი, არ იყიდოთ მათ მიერ შემოტანილი პროდუქცია.

— რა პარალელებია ეს, რა შედარებაა? სად მაჰათმა განდი და სად დღევანდელი საქართველო? ინდოეთი მაშინ ინგლისის კოლონია იყო, ჩვენ კი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო ვართ! — შემომედავება, ალბათ, რომელიმე ოპონენტი.

— დამოუკიდებლობის და თავისუფლების გამოცხადების შემდეგ ჩვენ ყოველდღე ვკარგავთ დამოუკიდებლობას და თავისუფლების ხარისხს. დაპყრობის ნელი, ხავერდოვანი პროცესი, დროში გაწელილი და გაწერილი, უკვე დამამთავრებელ ფაზაში შევიდა და დღეს არც ერიდებათ, ისე გვიყიდიან და გვისხვისებენ ქვეყანას, ფეხქვეშ თელავენ ჩვენს ღირსებას, ადათს, ცნობიერებას, ეროვნულ ფასეულობებს.

ამის შესახებ უამრავჯერ თქმულა, უამრავჯერ დაწერილა და დასამტკიცებელი და დასადგენი აქ არც არაფერია.



**ინდოელთა კოლონიზატორი თუ ინგლისი იყო, ჩვენი კოლონიზატორი გლობალიზმია, თავისი უძლავრესი ფინანსური მანქანით, სავალუტო ფონდით, მსოფლიო ბანკით, ათასი ჯურის ფონდებით და ორგანიზაციებით, საიდუმლო მთავრობებით, ბანკებით, საინფორმაციო საშუალებებით.**

**ამათ შემოსევასთან შედარებით თემურ ლენგის, შურვან ყრუს თუ შაჰ-აბასის შემოსევები ბოროტ ხულიგნობას ჰგავს.**

**ესენი ძირიანფესვიანად ამოთხრას და ამოძირკვას გვიპირებენ და თანაც ისე, რომ მადლობები იქით ვუხადოთ.**

**ესენი საქართველოდან გასახლებას გვიპირებენ, თანაც ისე, რომ იქით ვეხვეწებოდეთ: — ოღონდ გაგვიშვით, გაქცევის საშუალება მოგვეცით, სული გაგვატანინეთ აქედან და ჯანდაბას, ეს ჩვენი სამშობლო თქვენი ფეხქვეშ იყოს.**

ამათი დაანგარიშებით, საქართველოსთვის სრულიად საკმარისია მილიონნახევარი ადამიანი, აქედან 600 ათასი ქართველი შეიძლება იყოს. დანარჩენი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები იქნებიან.

ასეთი არითმეტიკა ჩინგიზ ხანსაც კი არ მოსვლია თავში, ესენი კი ამ არითმეტიკით ხელმძღვანელობენ და ამის მიხედვით ადგენენ პროექტებს, გეგმებს, ანაწილებენ ფინანსებს და ა.შ.

ამ დროს კი, ჩვენი ეგრეთწოდებული პოლიტიკოსები, იმის ნაცვლად, რომ ერთად შეკრან ერი და თავს დამტყდარი უბედურების მთავარი მიზეზი, მთავარი მტერი დაანახონ, ყოფენ, ხლეჩენ საზოგადოებას და ჯგუფ-ჯგუფად დაარბენინებენ ალმა-დალმა.

ერთი ალთას რომ არის, მეორე ბალთასაა, მესამე პარლამენტთან ყურყუტებს, მეოთხე კანცელარიასთან, მეხუთე კი გლობალისტთა მთავარ ბანაკში „დანოსს“ აგზავნის დანარჩენებზე და შტაბს თავის სამსახურს, ყმობას და ერთგულებას ჰპირდება.

**ქართველები კარგა ხანია თვითონ იქცნენ საკუთარი ქვეყნის დამპყრობლებად უფრო ზუსტად მათი ქვეყნის დამპყრობელთა სადამსჯელო-საეგზეკუციო არმიად.**



დაპყრობაო, რომ ვამბობ, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ბერკეტების საშუალებით დაპყრობას, ეკონომიკურ ანექსიას ვგულისხმობ, მაგრამ დაპყრობა დაპყრობაა — გინდ ხმლით დაუპყრიხარ ვიღაცას და გინდ მშვიდობიანი მეთოდებით დაულაშქრიხარ, განა სულერთი არ არის?

ის კი არა, ხმლითმოსული მტერი ნაკლებ საშიშია, რადგან იცის, რომ ეს ხმლით მოვარდნილი კაცი მტერია და მტერს მტრობითვე უპასუხებ, მაგრამ რა უნდა ქნა, როცა ვიღაც თბილი ღიმილით, ოქრო-ვერცხლით ხელდამშვენებული, ტკბილად მოუბარი, კეთილგანწყობილი ტიპი სახლში ჩაგისახლდება და გარჩევა გიჭირს, მეგობარია შენი თუ მზაკვარი მტერი.

აკი გვაფრთხილებდა დიდი ილია, — თოფ-იარაღით მოსული მტრის კი ნუ გეშინია, ცოდნით, განათლებით, ხერხით მოსული მტრის გეშინოდეთო.

მოსულია ეს მტერი უკვე და, მგონი, ჩვენი დაპყრობის და ანექსიის საქმეც მოთავებული აქვს, ისე რომ ჩვენ ამის შესახებ ბაიბურში არა ვართ.

* * *

უცნაური ხალხი ვყოფილვართ ქართველები — უღელი გვყვარებია, ნამეტნავად! მით უმეტეს, თუ ეს უღელი ოქროთია მოვარაყებული ისეთი სიხარულით შევუშვერთ ხოლმე კისერს, ისეთი ჟრიამულით და ჟივილ-ხივილით გავინასკვავთ აპურებს, თითქოს უღელს კი არა დაფნის გვირგვინს ვიდგამდეთ.



ქართული სატიაგრაჰაო, დაგვიჩემებია: რა სატიაგრაჰა, რის სატიაგრაჰა, ყოველი მეორე თუ არა, მესამე ქართველი მაინც თანახმაა სიამოვნებით შეებას სამშობლოს მოსაოხრებელ ურემს, ქედზე დაიდგას ოქროს უღელი, კოფოზე კი ჯონი თუ ჯეკი დაასკუპოს ასევე ოქროთი მოვარაყებული სახრით.

ჩვენს ზურგს ხვდება ეს სახრე, მაგრამ, რაც, მთავარია, სახრე ოქროსია და უღელიც ოქროსი...

მონობა ადვილზე ადვილი საქმეა, თავისუფლებაა ძნელი, რადგან თავისუფლება პასუხისმგებლობაა, მონობის დროს კი პასუხისმგებლობა ბატონისთვის გაქვს გადაბარებული.

მაგრამ არ შეიძლება ერს ერი ერქვას, თუ მისი მთავარი მიზანი მაძღარი მონობაა მხოლოდ.

არადა, აქეთკენ გვიკაკუნებენ ჩვენი კეთილისმყოფელები, ამ აზრს გვაჩვევენ, რომ თუ მონობაზე დავთანხმდებით, მაძღრები ვიქნებით.

პოეტი კი საუკუნეთა სიღრმეებიდან გვაფრთხილებს: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

მონობაში გამძღარს და ქონით დამძიმებულსაც თავისუფლების ძებნაში მკვდარი სჯობს, რა თქმა უნდა, მაგრამ ილიასი არ იყოს „სიცოცხლეც რომ გვინდა? კიდევ რა გინდაო, რომ გვკითხონ, კიდევ სიცოცხლე გვინდა“.

**თავისუფლებაც გვინდა, როგორ არა, ძალიანაც გვინდა, მაგრამ თავისუფლებისთვის თავის გაწირვა და თავის შეწუხება გვეზარება, თუმცა ქვითქვითი და ვიშვიში კი გვიყვარს: — გვეშველება კი რაიმეო?**

**ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: — კი, მაგრამ რატომ უნდა გვეშველოს? რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ გვეშველოს? — ტვინის განძრევა გვეზარება, ხელის განძრევა გვეზარება, თავის შეწუხება გვეზარება და მაინც უნდა გვეშველოს?**

კი, მაგრამ რატომ? რა დამსახურებისთვის?

როგორც ჩანს, დიდი ხანია გვსწავლობენ და კარგად იციან, როგორ უნდა მოგვატყუონ, რით უნდა „აგვაგდონ“ და „დაგვაბოლონ“. ეტყობა, ჩვენს ტვინში ის უჯრედი, რომლითაც მტყუანმართლის, ჭკვიანის და უჭკუოს ერთმანეთისგან გარჩევა ხდება, არასწორად არის ჩამონტაჟებული...

აკაკი წერეთელს, რომელიც მშობლიურ იმერეთში არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, ვიღაც სოციალ-დემოკრატმა ხმების დიდი უმეტესობით აჯობა.

იმ სოციალ-დემოკრატის ვინაობა არავის ახსოვს დღეს ისე, როგორც ცოტა ხანში არავის ემახსოვრება იმ პარლამენტართა დიდი ნაწილის გვარ-სახელი, რომელიც გუშინ თუ გუშინწინ ავირჩიეთ ქვეყნის ბედის განმსაზღვრელად და მიმართულების მიმცემად.

ქართველი ამომრჩეველი „სტავკას“, როგორც წესი, ავანტიურიზმზე აკეთებს, მერე კი უკვირს, რატომ არიან ასე მრავლად ხელისუფლებაში ავანტიურისტები.

ილია ჭავჭავაძეს რომ ეყარა კენჭი 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში, დარწმუნებული ვარ, რომელიმე თინეიჯერი „ნაციონალი“ ან „თავისუფლების ინსტიტუტის“ რომელიმე აქტივისტი დაჯაბნიდა.

ყოველივე მის შემდეგ, რატომ გვიკვირს ის, რაც გვჭირს?

* * *

საზოგადოებას, განსაკუთრებით მის იმ ნაწილს, რომელსაც ინტელიგენცია ჰქვია ჩააგონეს, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის, რომ პოლიტიკაში ჩარევა კარგ ტონად არ ითვლება.

— მე პოლიტიკაში არ ვერევი, — ისე თავმომწონედ იტყვის მავანი, თითქოს რაღაც საამაყო საქციელს ჩადიოდეს.

არადა, ეს ფრაზა — მე პოლიტიკაში არ ვერევი — ჩვეულებრივ ენაზე ასე ითარგმნება — სულ ფეხებზე მკიდია რა ხდება ჩემს ქვეყანაში, რა უჭირს და რა ულხინს ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს, საკუთარი თავის გარდა არაფერი მაინტერესებს და შემეშვითო.

— პოლიტიკაში ნუ გამრევთ, თქვენი ჭირიმეო, — ამას წინათ ხელები გაასავსავა ერთმა რეჟისორმა ერთ ტელეშოუში.

ესე იგი, რა გამოდის, ერთმა მხოლოდ სპექტაკლები დადგას, მეორემ მხოლოდ ლექსები წეროს, მესამემ — რომანები, მეოთხემ — ხატოს, მეხუთემ — მუსიკა შექმნას. მეექვსემ ეკონომისტი ვარო და მხოლოდ ითვალოს?

აი, ეს აის ის სიტუაცია, რომელიც ეგრეთწოდებულ პოლიტიკოსებს ხელს აძლევთ და კომფორტულ მდგომარეობას უქმნით.

პოლიტიკა არის ყველგან და ყველაფერში — ლექსშიც და ფერწერულ ტილოშიც, მუსიკაშიც და თეატრის სცენაზეც, ქუჩაშიც და სახლშიც, როცა გონიერი, განათლებული ადამიანები უარს აცხადებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებაზე, ამით ისინი გზას უხსნიან უმეცრებას, ავანტიურიზმს, აგრესიულ დილეტანტიზმს და ასპარეზს არაკეთილსინდისიერ ადამიანებს უთმობენ.

არ ვამბობ, ყველა მხატვარი და მუსიკოსი, ყველა პოეტი და მსახიობი, ყველა რეჟისორი და ბელეტრისტი პროფესიონალი პოლიტიკოსი გახდეს და პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანდეს-მეთქი.

არა, ამის თქმა ნამდვილად არ მინდა. მეც იმასვე ვიმეორებ, რაც ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა კაცმა ანდერძად დაგვიტოვა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“. სოფელზე ზრუნვა კი ამ სოფლის სატკივარზე განუწყვეტელ ფიქრსა და გამოსავლის ძიებაში უნდა გამოიხატოს.

მთელი ქართული მწერლობა, დასაბამიდან დღემდე, უაღრესად პოლიტიზირებული და ამასთან ერთად დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა.

ეს არ მომხდარა შემთხვევით — მუდმივი განსაცდელისა და მუდმივი საცდურის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლობას მორალური უფლება არ ჰქონდა სხვანაირი ყოფილიყო.

არც ის არის შემთხვევითი, რომ გლობალისტების იდეოლოგურმა დესანტებმა მთელი სიმკაცრით შეუტიეს ინტელიგენციას, როგორც ყველაზე სახიფათო ოპონენტს, რომელმაც შეიძლება გამხილოს, გაგშიფროს, შორს მიმავალი ზრახვები სააშკარაოზე გამოიგიფინოს.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**პოლიტიკა ბინძური საქმეაო, — გვარწმუნებენ ზოგიერთები, თუმცა თვითონ დიდი სიამოვნებით და აღტყინებით მიძვრებიან ამ სიბინძურეში.**

**სარფიანი, კომერციულად მომგებიანი სიბინძურეა ეს სიბინძურე მათთვის.**

**პოლიტიკა ზნეობრივად მაღალი, კრისტალურად სუფთა ადამიანების საქმეაო,— გვარწმუნებს ვაცლავ ჰაველი.**

**იგივეს გასწავლის მაჰათმა განდიც.**

**სანამ ქართველი ამომრჩეველი მაჰათმა განდის და ვაცლავ ჰაველს არ დაუჯერებს, მანამდე მისი არჩევანი ყოველთვის მცდარი იქნება და ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან — დაუბრუნდება ციხედ, როზგად, პანღურად, სულში ჩაფურთხებად, სილატაკედ, დაბეჩავებად.**

**ჩვენი ხელისუფლება კი არ არის ცუდი, ჩვენ არა ვართ კარგები...**

# `ra gaatrakeT saqme Tqveni qarTvelobiT, bolo-bolo raiseTi eri Tqven xarT, pasportSic rom unda geweroT?~



ნებისმიერი ერის არსებობა მთავრდება მაშინ, როცა იგი საკუთარ ისტორიას ივიწყებს! — ამბობდა წმ. ილია მართალი. არადა, ჩვენ, დღევანდელ ქართველებს, არათუ წინა საუკუნეების ისტორია, არამედ სულ რაღაც 8-9 წლის წინანდელი ისტორიები გვავიწყდება და ჩვენივე გულმავიწყობის გამო ასეულობით ნაძირალას კვლავაც ვაძლევთ საშუალებას — ჭკუა დაგვარიგოს, ცხოვრების წესი გვიკარნახოს, მოგვატყუოს, თვალებში ნაცარტუტი გვაყაროს, ხილულად გაგვაცუცურაკოს, თავისი სავლედანპავლედ გარდაქმნის სასწაულში დაგვარწმუნოს და ბოლოს, ისიც კი გაგვიბედოს, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, მუშტების ბრახუნით გვიკარნახოს — ვიყოთ თუ არ ვიყოთ ქართველები.

ძვირფასო მკითხველო! მე, ჟურნალისტ ირინე გოგოსაშვილს ძალიან ბევრი ადამიანი „ავყიას“, „ხეპრეს“ და ჯიუტ „კახელ ვირს“ მეძახის, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სრულიად საპირისპირო ეპითეტებით მამკობენ, ვუყვარვარ, მაგრამ იმავდროულად იმასაც მეუბნებიან, რომ ლავირების უნარი არ გამაჩნია და სწორედ ამიტომაცაა, რომ ხშირად უმცირესობაში ვხვდები საკუთარი პრინციპულობის გამო.

თავში ქვა უხლია მათ, ვინც „კახელ ვირს“ მეძახის, მაგრამ, აბა, მითხარით, როგორ არ გავიხსენო ის უბედური დღე, როცა ნაც. მოძრაობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ერთ-ერთმა აგიტატორმა ჩემს საყვარელ გურიკო შარაძეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში დუჟმორეულმა დაუღრიალა:

**„რა გაატრაკეთ საქმე თქვენი ქართველობით, ბოლო-ბოლო რა ისეთი ერი თქვენ ხართ, პასპორტშიც რომ უნდა გეწეროთო?“**

კარგი მეხსიერების ქართველებს ალბათ, ნელ-ნელა უკვე გახსენდებათ ამ სიტყვების ავტორი, მაგრამ უფრო უკეთესი მეხსიერების ადამიანებს, ალბათ, გაახსენდათ ის, ვინც ეს თქვა და ემახსოვრებათ ისიც, ყმაწვილმა „ნაცმა“ შარაძისკენ ხელიც რომ მოიქნია მაშინ გასარტყმელად!



გავა წლები და შარაძეს, პატრიოტ კაცს, არა მარტო ერთი, არამედ მრავალი, „ნაცისგან“ 3-ჯერ ნასროლი ტყვია მოხვდება თავში, დღისით-მზისით, შუაგულ თბილისში და ვითომც არაფერი...

„ევროკავშირის მოთხოვნაა, ეროვნების რეკვიზიტის გაუქმება“, — ფეხების ბაკუნით გვიკიოდნენ „რესპუბლიკელები“, „ნაც.მოძრაობა“, „ბურჯანაძე- დემოკრატები“, „მემარჯვენეები“, პატივცემული მაჟორიტარი გვამები, მთელი სახელმწიფო აპარატი და აკი, მიაღწიეს საწადელს?!

დღეს რომ შუაზე გადასკდე, შენს იდენტურობას წინაპრებთან ვერაფრით დაადასტურებ და თუკი გკითხავენ, რა ეროვნების ხარო? ამაყად უნდა უპასუხო — საქართველოს მოქალაქე ვარ და ეროვნებაზე მინიშნება კი ევროპის გზაზე შემდგარ საქართველოში ქაჯობა, გოიმობა და პროვინციალიზმიაო...

ჩვენ, რომ ერი ვიყოთ და იოტისოდენა თავმოყვარეობა, ანდა მეხსიერება გვქონდეს, განა უნდა გვავიწყდებოდეს, რომ გველი ტყავის გამოცვლის შემდეგაც გველია და იგესლება?

მოდით, ისევ „ეროვნების რეკვიზიტს“ და მაშინდელი პარლამენტის სხდომათა დარბაზს დავუბრუნდეთ, საიდანაც პირდაპირი საეთერო ჩართვები ხორციელდებოდა. „ან ეს კანონი გავა, ან არადა ჩვენ დავბრუნდებით ჯუნგლებში“, — წამოიძახებს ერთი გვამი... კანონპროექტის პარლამენტში შემტანი ტანსრული ყმაწვილი კი მიკროფონით იმუქრება: „დამთავრდა შენი დრო, შე „კაგებეშნიკო“, „გეყოფათ გულაობა „აღორძინებას“, ან ჩვენ, ან თქვენ და საბედნიეროდ, დღეს, უმცირესობაში თქვენ ხართ, გამიგეთ?“ „კაგებეშნიკები“ თქვენსკენ მოიკითხეთ, თქვე სომხებო, შენ ის ბიჭი არ ხარ, ბაბუაშენის საფლავის ქვა ერთ ღამეში რომ შეცვალე, ემანდ, ვინმემ არ გაიგოს წინაპარი რა ერის მყავდაო?“ — „მე მეუბნები?“ — დაიძრა ახალგაზრდა იურისტი „ცილისმწამებლისკენ“ და ხელიც მოექნია გასარტყმელა.

ჰოდა, რადგან ძალიან საინტერესოა და ძალიან სასარგებლოც (ტვინის გასავარჯიშებლად) მოდი, პირდაპირ დავწერ — ეს ადამიანები ნაც.მოძრაობის, თავისუფლების ინსტიტუტის მიერ აწ. დახვრეტილი აკადემიკოსი გურამ შარაძე და დღევანდელი მილიონერი ე.წ. „ხალხის პარტიის“ ვითომ ლიდერი — კობა დავითაშვილი იყვნენ, ხოლო მათი დავის საგანი კობას მიერ პარლამენტში თავმომწონედ შეტანილი კანონპროექტი გახლდათ, რომელიც ჩვენი ეროვნულობის გრაფის გაუქმებას ეხებოდა!!!



ასე იყო ეს და ნურავინ შემომედავებით! ფაქტები პარლამენტის არქივში სტენოგრამულ ჩანაწერებშიც დაცულია, ტელევიზიებშიც ციფრულ დისკებზეა დაფიქსირებული და იმ ადამიანებსაც კარგად ახსოვთ, ვინც ნაც. მოძრაობას ჯერ არ დაუპატიმრებია, არ დაუხვრეტია და სამშობლოდან არ გაუძევებია! ნურც იმაში შემომედავება ვინმე, რომ

**კობას ცოლი ინგა ბიწაძე დღემდე პარლამენტში მუშაობს გიგი წერეთლის თანაშემწედ და მისი და მისი მეუღლის ოპოზიციონერობა ისეთივე ბლეფია, როგორი ბლეფიც „რესპუბლიკელების“ „მამულიშვილობა“ და საქართველოს უკეთესი მომავლისთვის მათი მუხლჩაუხრელი შრომა!!!**

სხვათაშორის, ეროვნების რეკვიზიტის გაუქმებას, მაშინდელ პარლამენტში მხოლოდ „აღორძინების კავშირმა“ და მასში შემავალმა კოალიციურმა პარტიამ „ტრადიციონალისტებმა“ და „ლეიბორისტებმა“ არ დაუჭირეს მხარი, ხოლო დანარჩენებმა, ემანდ, გოიმები არ დაგვიძახონ ევროპა — ამერიკელებმაო, სულ ტაშის გრიალში გამოუტანეს განაჩენი საკუთარ წარსულს!

**მახსოვს, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე ნინა ანზოროვნა გაკაპასებული ხმით რომ გაჰკიოდა: „პირადად ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის პრესტიჟია ამ ცივილიზებული კანონის დამტკიცებაო“, მაგრამ შემდეგ ნინასაც დააჯდა სულიწმინდა „პრიჩოსკაზე“ და დღეს იგი უკვე წმინდა ნინოსავით გვიქადაგებს „ჩვენი ეროვნულობა“, „ჩვენი წინაპრები“, „ჩვენი ისტორია“, „ჩვენი გმირული წარსული“-ო და ა.შ.**

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს ის ხალხია, ვინც გუშინაც იყვნენ, დღესაც არიან და ხვალაც იქნებიან ვიდრე უკუნისამდე, მაგრამ, მოდით, ისევ გურამ შარაძის და „ხალხის კობას“ ისტორიას მივუბრუნდეთ და ისიც გავიხსენოთ, „ნაც.მოძრაობამ“ თავის ერთ-ერთ კოკორ-ვარდ ბიჭუნას, გლდანში არჩევნებით როგორ გაუხარა გული და მაშინ გურიკომ რა თქვა...

ყველამ იცის, რომ გლდანელებმა ხმების უმრავლესობით მხარი შარაძეს დაუჭირეს, მაგრამ ფოკუზნიკმა, აფერისტმა მიშამ გამარჯვებულად დავითაშვილი გამოაცხადა და აი, მაშინ იყო, გურამმა რომ იფეთქა: „დიახ, დღეს საქართველოს მართავს სომხური ლობი, საქართველოს პარლამენტში ბევრი გვარგადაკეთებული სომეხია, ისინი გვკარნახობენ ჩვენ ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველ კანონებს, ისინი გვახვევენ თავს ათასობით თურქი-მესხის ჩამოსახლებას, ისინი გვინგრევენ ქართულ ეკლესიებს და ქართულ ცნობიერებას. დღეს ერთმა სომეხმა ბიჭმა, ვისაც წესიერად არცკი იცნობდა გლდანელი ამომრჩეველი, გაყალბებული არჩევნებით „მოუგო“ ქართველს! ამ ბიჭმა ერთ ღამეში გამოცვალა ქართლის ერთ სოფელში ბაბუამისის საფლავის ქვა და დავითაშვილი დააწერა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს... დაავიწყდა, რომ დედამისიც სომეხია — ჯანეზოვა —ჯანეზაშვილია გვარად, მოვა დრო და ყველა ყველაფერს შეიტყობს, ყველას და ყველაფერს აეხდება ფარდა, მაგრამ მეშინია, ძალიან გვიანი არ იყოს და ჩემი სამშობლო უკვე უფსკრულში არ იყოს გადაჩეხილი!!! — თქვა მან ჩემთან ინტერვიუში.

ეჰ, ჩემო გურიკო, ჩემო კარგო მეგობარო, პატრიოტო და სამშობლოს სიყვარულისთვის სისხლდანთხეულო კაცო.

შენ რომ გლდანში ბიჭმა „დაგამარცხა“, დღეს უკვე მილიონერია, შენ რომ „თავისუფლების ინსტიტუტს“ და „რესპუბლიკელებს“ ებრძოდი, დღეს ისინი ყველაზე „მოთხოვნადი ელიტარების“ რანგში გადიან, მართალია, ისევ 0,1 პროცენტი აქვთ რეიტინგი, მაგრამ მაინც გულაობენ და იმ ერს, რომელსაც შენ ეთაყვანებოდი, ესეც ფეხებზე ჰკიდია! ფეხებზე ჰკიდია შენი დახვრეტაც, სანდროს, ბუტას, ირინას, რამაზის, ბადრის და ყველას დახვრეტა და რა მინდა გითხრა, იცი? იქნებ კარგიც არის ამას რომ ვეღარ ხედავ?

ჩვენ, ვისაც მეხსიერება კიდევ შემოგვრჩა, ალბათ, მალე ამოგვისებენ პირს მიწით, მაგრამ კიდევ რა მინდა, იცი მოვუყვე ჩვენს მკითხველს?

ერთმა ძალიან ცნობილმა პოეტმა შენი სადღეგრძელოს ლუდით შესმა, რომ შესთავაზა ქართველ ებრაელებს და იმ ებრაელებმა, ლუდის ბარის მეპატრონესთან ერთად, ის „პატრიოტი“ პოეტი რა დღეშიც ჩააგდეს ბორჯომში, მე-4 სამმართველოს სანატორიუმის ტერიტორიაზე!

მოკლედ, ძვირფასო მკითხველო, „დრაკონის წელში“ სულ დრაკონულ ძველ ამბებს მოგიყვებით და შემდეგ თავად განსაჯეთ, ვინ ვინ არის! ისიც თავად განსაჯეთ, რამდენად ხშირად სტუმრობს საქართველოს სულიწმინდა და რატომაა, რომ გუშინდელი სავლეები დღეს პავლეებად გვაწონებენ თავს? რატომ არის, რომ კრავის ტყავში გახვეულები, „საჭირო დროს საჭირო მომენტში“ მგლობას არ იშლიან და ჩვენი ხორცი, ხან „ნა ვერტელე“ ეამებათ და ხანაც უმად მირთმეული ყველა მიტინგისა თუ არჩევნებისას!!! ეეეჰ, რამდენი რამ გვაკადრეს ამ გვარშეცვლილმა არაკაცებმა?!

**ბარემ ძეს ვრაცსტან, მაინც გძინავს, ტო? გაიღვიძე და აზრზე მოდი, რააა?!**

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rogor gavagebinoT brmas, rom coli moukvda?..

დათო ფაცაცია არ ყოფილა პირველი, ვინაც მკვლელი უწოდა მიხეილ სააკაშვილს, რომელიც, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც საქართველოს პრეზიდენტად იხსენიება. მას მკვლელს უწოდებდნენ თითქმის ყველა საპროტესტო მიტინგზე და გამოფენილი იყო ამ ბრალდების დამადასტურებელი „ფოტო-მასალები“.

შეიძლება ითქვას, ასეთი ტიპის პროტესტი ჩვეულებრივი ამბავია უცხოეთში, აშარჟებენ ქვეყნის მეთაურებს, წვავენ მათ გამოსახულებიან ბუტაფორიულ ფიგურებს, მაგრამ, როგორც იტყვი-



ან, „რა ჩვენი საქმეა მეზობლის ძროხა მაკეა თუ არა“?!

ჯერ ერთი, დღემდე ვერავინ შეძლო რაიმე სახის დანაშაული დაემტკიცებინა მიხეილ სააკაშვილსთვის და პასუხისგებაში მიეცა ის, ხოლო მოარულ ჭორებზე და ბოროტ ხმებზე ადამიანებს ხელაღებით ვერ დაადანაშაულებ. ეს, უბრალოდ, ორღობის ჭორიკნების გასართობი რამეა.

მეორეც, თუ ამბობენ, რომ მისი გარემოცვა სავსეა კრიმინალებით, ამავე დროს არსებობს „კეთილი მეფის“ არგუმენტი, ისე, როგორც „მიშამ არ იცის, თორემ“...

მოკლედ, ყოვლად უსუსურია ყოველი ზედაპირული ბრალდებები „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ და ეს, მგონი, შესანიშნავად იცის იმ ხალხმა, ვისაც ოპოზიცია ჰქვია.



2012 წლის იანვარი მიიწურა და არა მხოლოდ ახალი წლიდან, ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის ბოლოდან დაიწყო ხელისუფლებამ არჩევნებზე ლაპარაკი.

მათი ბრძანებით ვიწყებთ ფიქრს, ამჯერად, არჩევნებზე.

რას ვიზამთ? გვიბრძანეს, უნდა შევასრულოთ. სხვა გზა მაინც არ გვაქვს, ოღონდ ის მაინც მოვახერხოთ, სწორად ვიფიქროთ...

**ისეთი საარჩევნო კანონი შეიქმნა, რომ ამომრჩეველს მაქსიმალურად შეეკვეცა ხელ-ფეხი, ხოლო ჩვენი ოპოზიცია თავს იმით იმშვიდებს, ვენეციის კომისიამ ნაწილობრივ მოიწონა ცვლილებები, ნაწილობრივ — არა, ხოლო ახალი შესწორებების მიმართ მკვეთრად „დატორმუზდაო“.**

ჩვენი საქმე ისეა, ბრმას რომ ცოლი მოუკვდება, როგორ გავაგებინოთო და გვერდში რომ არ დაუწვება, ხომ მიხვდება, მკვდარი რომააო. ვენეციის კომისიამ თუ არ გვითხრა, ჩვენ არ ვიცით და ვერ ვხვდებით, ამ საარჩევნო გარემოში უკეთესი მომავლის შანსი 0,1-ის ტოლი რომაა?

ოპოზიცია უკვე თავს იზღვევს და ამბობს, ხალხი უნდა მივიდეს არჩევნებზე, უნდა მისცეს ხმა ოპოზიციის კანდიდატს და მერე დაიცვას თავისი ხმაო.

კი, ბატონო, გეგმა შედგენილია — მოქალაქე ირანდა კალანდაძე გამოვდივარ ჩემი ქოხმახიდან, მივსუნსულებ ნელა, მივადგები საარჩევნო შტაბს, სადაც ჰადესის კარიბჭესავით, შესასვლელთან კუნთდაბერილი თვალგაშტერებული, დოინჯშემოყრილი დაცვა დგას, ჩავუვლი ისე, რომ შიშით ჩემი გულის ბაგაბუგი მესმის, ჩავაგდებ ბიულეტენს და (დიდი შანსია) თუკი გამიყალბებენ, უნდა დავიცვა ჩემი არჩევანი, მაგრამ როგორ დავიცვა, მითხრას ერთი ვინმემ.

კარგი, გამოვალ ქუჩაში, დავდგები და ვიყვირებ — გამიყალბეს ხმა! არ წავალ არც დღე, არც ღამე, მომცვივდებიან, ჩამარტყამენ დუბინკას, შემასხურებენ მომწამვლელ გაზს, დამცხრილავენ რეზინის (და არა მარტო) ტყვიებით, გადამახდევინებენ ადმინისტრაციულ სახდელს და მერე ან ციხეში გამგზავნიან, ან ფსიქიატრიულში...

ოპოზიციის ლიდერები კი ჩასხდებიან 777 ნომრიან ჯიპებში, დაიმალებიან და დაიწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ წავიდნენ „ოქროს ურდოში“ „ყაენთან“ და მოახსენონ, რაც ჩაიდინეს ამ „უნამუსოებმა“.

რა უბადრუკები და საცოდავები ვჩანვართ გარეშე თვალით, წარმოგიდგენიათ?!..

„მკვლელი“ სააკაშვილი კი დათარეშობს მთასა და ბარში და არხეინად ატარებს დროს.

ვზივარ ახლა და ვფიქრობ — ვის დავუჯერო, ხელისუფლებას, რომელიც ავაზაკობაში, ქვეყნის გაყვლეფაში, გამყიდველობაში, ბოლოს და ბოლოს, მკვლელობაშია ეჭვმიტანილი თუ ოპოზიციას, რომელიც მიმტკიცებს, რომ ხელისუფლება ავაზაკია და მკვლელი?

მართალი გითხრათ, ამოვიდა ყელში ამდენი უსამართლობა, ნამდვილი პოლიციური რეჟიმი, ტერორი, შიში, შიში, დაძაბულობა, ტყუილი!

**საქართველოში არაა თავისუფლება**!



რაც ნიშნავს, რომ არაა პიროვნების თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს საკუთარი უფლებების დაცვის საშუალება! და მაშასადამე, არსებობს არჩევანის თავისუფლება?!

რანაირი ლოგიკაა, ეს, ვთხოვ ოპოზიციას, ამიხსნას — **არჩევანში თავისუფალი არის საქართველოს მოქალაქე?**

ოპოზიციას ვთხოვ იმიტომ, რომ განურჩევლად ყველა მზადაა ხვალ რომ არჩევნები დანიშნოს დემოკრატიის ბელადმა მიშამ, ესენი თავქუდმოგლეჯილი გადაეშვებიან საარჩევნო მორევში — დაამზადებენ პლაკატებს, ბუკლეტებს, დაიწყებენ დაპირებებს... კარგით, რაა, კარგით...

ვიღას სჯერა თქვენი. ყველა მიტინგზე უამრავი ადამიანი დაგიდგათ გვერდით, არჩევნებშიც არაერთხელ დაგიჭირათ მხარი და ახლა ახალს რას სთავაზობთ ხალხს?

საინტერესოა, საარჩევნო მარათონი რომ გაჩაღდება, რას ეტყვით მოსახლეობას — დაპირებების აღარავის სჯერა, ცნობით ყველა გიცნობთ და შეხვედრებზე რა უნდა ქნათ?!

ჩემმა ძვირფასმა მკითხველმა წაიკითხა ჩემი ინტერვიუები საარჩევნო კანონთან დაკავშირებით ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

ყველა ერთხმად აღიარებს, რომ საარჩევნო გარემო მკვეთრად გაუარესდა. (მათი სიტყვებია) თუ გაუარესდა, თქვენ რაღას ზიხართ გულხელდაკრეფილი თქვენსავე „ციხე-სიმაგრეებში“, ან რას შეჰყურებთ, როგორც გურიაში იტყვიან, ბჟიორას (ბეღურას) ბარტყებივით ივანიშვილს ხელებში („ფულიანი ბიძიაა ბიძინა და ფულს მოგვცემს, ჩვენს შვილებს კაკას ვუყიდით“.).

**ადექით და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იბრძოლეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული ბოიკოტი გამოაცხადეთ და ხალხს არჩევნებზე მისვლა კი არა, არმისვლა მოუწოდეთ.**

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ — ამაზე სწორი და უდავო ჭეშმარიტება არ არსებობს.

მკვლელი თუ არის სააკაშვილი, ავაზაკი, ავხორცი (ნერონი, კალიგულა, ჯანდაბა, ოხრობა...), მატყუარა, ქვეყნის მტერი და გამყიდველი, მისი მეგობრები, ანუ გარემოცვა ხომ მისი მსგავსი იქნება? ჰოდა, თუ თქვენც იგივე არა ხართ, რატომ იყრით წილს — კენჭს მათთან, რატომ აპირებთ იმ თამაშში ჩართვას, რომელიც თვითონაც იცით, რომ თქვენი წაგებით დამთავრდება?

იდეალური საარჩევნო კოდექსიც რომ შეიქმნას, „მკვლელი“ თავს წაიგებს, რათა მერე საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს თავისი დანაშაულის გამო? მკვლელი ხომ იმის გარდა, რომ საშინლად მშიშარაა, ფრთხილიც არის და მსხვერპლის, ანუ დასჯილის როლში ყოფნას ყოველთვის ურჩევნია თვითონ იყოს თავდამსმელი და გამარჯვებული...

მე მგონი, ეს უბრალო ამბავია და ვინც ხალხის ხელახლა გამოყენებას აპირებს რაღაც უსინდისო, ბნელ თავებში წინასწარ განზრახული გეგმების განსახორციელებლად, ამაზე ქართველი ხალხი არ წამოვა, ხოლო მე, როგორც თემურ ქორიძე ამბობს, რომანტიკოსი ჟურნალისტი არავის მოვუწოდებ რევოლუციისკენ, მაგრამ გველი რომ მოკლა, ამისთვის დედის რძე არაა საჭირო, რომ დალიოს და მოიჩვიო. გველი ტყავს კი იცვლის, მაგრამ მტრედი ვერასდროს ხდება. გველი უნდა მოკლა, **თავში უნდა ჩაარტყა, თ-ა-ვ-შ-ი!**

**ირანდა კალანდაძე**

## ირაკლი სესიაშვილი: ობამამ მკაფიო მინიშნება გააკეთა, რომ საქართველოში ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების შედეგად უნდა შეიცვალოს



ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელ, ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქართველ კოლეგა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მკაფიო მინიშნება გააკეთა, რომ საქართველოში ხელისუფლება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად უნდა შეიცვალოს.

“ამ ტიპის შეხვედრების შემდეგ როგორც წესი, ე.წ. სტანდარტული ტიპის განცხადებები კეთდება ხოლმე. რეალურად რა საკითხებზე იყო საუბარი და რა იყო პრიორიტეტული, ჩვენ ამას საჯარო განცხადებებიდან ვერ გავიგებთ. ის განცხადებები, რაც ობამას მხრიდან გაკეთდა, მოიცავდა როგორც პოზიტიურ ასპექტებს, ასევე მოლოდინებს. შეერთებული შტატები და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან და თეთრ სახლში გაკეთდა იმ ტიპის განცხადებები, რაც ამ ფორმატში ჯდებოდა’’, - განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ ობამამ დაბალანსებული განცხადება გააკეთა.

“ერთი მხრივ, ობამამ სააკაშვილს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის და რაც მთავარია, არ გამორჩენია ის ძირითადი საკითხი, რასაც საქართველო ელოდება, ეს არის არჩევნები. ობამამ მინიშნება გააკეთა, რომ სწორედ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, რაც უკვე განხორციელებულ რეფორმებს განამტკიცებს’’, - აღნიშნა სესიაშვილმა “მედიანიუსთან’’ საუბრისას.

„მედიანიუსი“



# `respublikur partiasa~ da `Tavisuflebis instituts~ Soris sxvaoba ar aris _ orives specsamsaxurebi kvebavdnen yovelTvis

***მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ვესაუბრებით „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის" ლიდერს ბატონ სანდრო ბრეგაძეს.***

**— ბატონო სანდრო, როგორ ფიქრობთ, მოახერხებს თუ არა „ქართული ოცნება", რომ „ჩაჯდეს" ოპოზიციურ სპექტრში და ლიდერობა გაუწიოს და საერთოდ, როგორ შეაფასებდით ამ საზოგადოებრივ მოძრაობას დღევანდელი გადასახედიდან?**

— მინდა გითხრათ, რომ 26 მაისის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ნიჰილიზმი, უიმედობა და არავის ჰქონდა იმისი იმედი, რომ შეიძლებოდა სასიკეთოდ შეცვლილიყო რაიმე, მითუმეტეს სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში გახდა ბევრი რამის განმსაზღვრელი, მან ფაქტობრივად მოახერხა ქართული საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრის გამოფხიზლება და ოპოზიციური მოძრაობის ახალ ეტაპზე გადაყვანა.

რაც შეეხება თავად „ქართული ოცნების" დაარსებას, მე ივანიშვილს ფინანსური კუთხით არ ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ის საკმაოდ ინტელექტუალური კაცია და დიდი პოლიტიკური პოტენციალი გააჩნია იმისათვის, რომ გახდეს ეროვნული ან საერთო-სახალხო ლიდერი, რომელიც შეძლებს სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას და ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც დამყარებული იქნება თავისუფლებასა და დემოკრატიაზე. რაც შეეხება მის პოლიტიკურ პარტნიორებს, მე არ მინდა რომ გარედან მრჩევლად დავუდგე მას და ვინმე ვლანძღო და ვაგინო იმიტომ, რომ ვფიქრობ, თავად ივანიშვილმა კარგად იცის იმ პოლიტიკური პარტიების რეიტინგი, რომელნიც გვერდით ჰყავს. ის გამჭრიახი გონების მქონეა და თავად საზღვრავს, პოლიტიკური მოღვაწეობის რა ეტაპზე ვინ სჭირდება გვერდით. ეს მისი არჩევანია და ამ არჩევანში ის თავისუფალია. ხოლო არა როგორც პოლიტიკურ პარტნიორებს, არამედ როგორც პარტიის კონტექსტში, პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ რესპუბლიკური პარტია ეროვნული იდეოლოგიის მქონე ადამიანებისათვის არის სრულიად მიუღებელი, იმიტომ რომ რეალური განსხვავება „რესპუბლიკურ პარტიასა" და „თავისუფლების ინსტიტუტს" შორის არ არსებობს! თუ ავიღებთ მაგალითად გიგა ბოკერიასა და ლევან ბერძენიშვილს შორის სულ სამადსამი განსხვავებაა: 1. ერთი არის ახალგაზრდა მეორე ხანშიშესული, ერთი არის შედარებით გამხდარი მეორე უფრო მსუქანი, ერთს ფეხბურთში ბრაზილიის გუნდი მოსწონს, მეორეს არგენტინის! სხვა არანაირი იდეოლოგიური განსხვავება მათ შორის არ არის! ორივე ეს პარტია აღმოცენებულია ერთ წიაღში, ერთი გზა აქვთ და ერთი ხელიდან იკვებებოდნენ მთელი ამდენი ხნის განმავლობაში.



მათ კვებავდნენ უცხო სპეცსამსახურები, რომელთაც საქართველოსათვის კარგი არასოდეს არ უნდოდათ! თუმცა, ბიძინა ივანიშვილს აქვს განსაზღვრული ის, თუ რისთვის ჰყავს ისინი გვერდში. თუმცა, მე ეს პიროვნება არ მემეტება იმისათვის, რომ მას ერთი ან ორი პარტია ჰყავდეს გარშემო და იყოს მათი ლიდერი იმიტომ, რომ მარტო ორი პარტიის მხარდაჭერით ქვეყანაში ძირეული ცვლილებები არ მოხდება.

ზვიად გამსახურდიას შემდეგ არავის არ ჰქონია იმის პოტენციალი, რომ გამხდარიყო მთელი ოპოზიციის ლიდერი, დღეს კი შანსი გაჩნდა ივანიშვილის სახით, მას შეუძლია იყოს საერთო-სახალხო ლიდერი, თუ მას სურვილი ექნება. ამიტომ, მე დღევანდელი გადასახედიდან ვიტყოდი ერთს, რომ დრო წინ მიდის და უახლოეს პერიოდში კარგად გამოჩნდება, თუ ვინ ვისთან არის.

**— არჩევნებში გამარჯვებას შესძლებს ოპოზიცია?**

— თავის დროზე ჟვანიას გუნდის წევრებმა შემოიღეს საქართველოში გაყალბების მექანიზმი, ისინი შევარდნაძეს უყალბებდნენ ჯერ არჩევნებს, შემდგომ სააკაშვილს. მომავალში კი, თუ დარჩებიან ხელისუფლებაში, კვლავაც გააყალბებენ. ისინი ამ საქმეში გამოცდილებით არიან. ამიტომ ალბათ, შესამუშავებელია ახალი, ერთობლივი მექანიზმები, რომ შემდგომში დაიცვან გაყალბებისაგან არჩევნები. აქ მარტო უცხოელი დამკვირვებლები ვერ უშველიან საქმეს. ხელისუფლებას უნდა გაუჩნდეს შიში იმისა, რომ ისინი კვლავ გაყალბების გზით წავლენ, ისინი მიიღებენ მძლავ საპროტესტო ტალღას, რომელსაც ვერავინ ვერ შეაჩერებს.

**— ერთხელ ხომ უკვე იყო ასეთი ტალღა, მთელი სტადიონი სავსე ხალხი, მიტინგები თვეობით, რა შედეგი გამოიღო ამ ყველაფერმა?**

— განსხვავება ის გახლავთ, რომ მაშინ არ იყო ბიძინა ივანიშვილი ლიდერი, მე შეურაცხყოფას არ ვაყენებ ლევან გაჩეჩილაძეს, მაგრამ მის შესაძლებლობებსა და ივანიშვილს შორის სხვაობა დიდია. დღესაც არსებობს იმისი საშიშროება, რომ მომავალი არჩევნები გააყალბონ. ამიტომ უნდა დაფიქრდნენ ისინი, ღირს კი მომავალში ამის გაკეთება? საპროტესტო ტალღას რევოლუცია ხომ არ მოჰყვება? უნდა ახსოვდეთ რომ რევოლუციებს ცოტა ცუდი რამ მოჰყვება ბოლოს!

მე ვეთანხმები ივანიშვილს იმაში, რომ არჩევნების გზით მთავრობის შეცვლა იდეალური ვარიანტია, მაგრამ რა მოხდება? სააკაშვილის ხელისუფლებას უნდა ეყოს ჭკუა იმისა, რომ არჩევნების გზით წავიდნენ და შერჩეთ ყველაფერი და დაავიწყდეთ ისინი ხალხს.

ჩვენ ხომ გვახსოვს ყველაფერი 2003 წელს რაც მოხდა? ნინო ბურჯანაძის თუ სააკაშვილის შეცდომები და ხელისუფლებაში ყოფნა, ხომ დაავიწყდა მაშინ ხალხს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლება შეცვლილიყო? ასე იქნება ახლაც. მაშინ მათ დაამარცხეს შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმი, ამიტომ ხალხმა მათ ყველაფერი აპატია! თუმცა, მაშინ ალბათ ხალხი ვერ წარმოიდგენდა, რომ სააკაშვილი შევარდნაძეზე უარესი გამოვიდოდა.

**— ბატონ ბიძინას „ქართულ ოცნებაში" არ მისულხართ, არ გქონიათ მათთან კონტაქტი?**

— ამას ალბათ, თავად ივანიშვილი გადაწყვეტს, ვინ იქნება მათთან. თუმცა, მას სულ რომ არ ჰქონოდა ფული და 5 მილიარდის პატრონი არ ყოფილიყო და მხოლოდ კარგი საქმეები ეკეთებინა, ის ჩემთვის მაინც დიდი ადამიანი და პიროვნება იქნებოდა. ბევრისთვის, მისი ფულია მასთან სიახლოვისათვის გადამწყვეტი.



მე პროფესიით ფილოსოფოსი ვარ, ასევეა მამაჩემიც, ის აკადემიკოსი ფილოსოფოსია და როდესაც ივანიშვილის გამოსვლა ვნახეთ ტელევიზიით, დავრწმუნდით, რომ ის ფილოსოფიურად აზროვნებს და მოაზროვნე ადამიანია. პლატონი ამბობდა, რომ: „იმისათვის რომ სახელმწიფო იყოს ბედნიერი ამისათვის საჭიროა, რომ მეფეები ფილოსოფოსობდნენ ან ფილოსოფოსები მეფობდნენ". ამიტომ მე ხაზს ვუსვამ მის ფილოსოფიურ აზროვნებას.

**— „ალიასთან" ინტერვიუში თქვენ ამბობთ, რომ ბიძინა ივანიშვილს, ბევრი გარშემომყოფი დასცინის. ეს ყურმოკრული სიტყვებია თუ ჭორი?**

— არა, ეს არ არის ყურმოკრული სიტყვები, მე ის თავად მოვისმინე და ამის გამო მე სერიოზული კამათიც მომივიდა მათ მთქმელთანაც.

**— იქნებ დაასახელოთ პიროვნებები, ვინ მოიხსენია ის აუგად?**

— მე არ ვარ ჭორიკანა, რომ ისინი დღეს დავასახელო, გითხარით, მე მათ პასუხი გავეცი ამაზე. იქვე იმიტომ, რომ ზურგსუკან საქციელი არ არის ვაჟკაცის საქმე და როდესაც ადამიანს დასცინი, რომლის გუნდშიც შენ მოიაზრები, ამითი შენს უზრდელობასა, არაადამიანურობას და არაგულწრფელობას უსვამ ხაზს. ამჯერად, დაკონკრეტებას აზრი არ აქვს. ვიტყვი ერთს, ისინი მისი პოლიტიკური გარემოცვის ხალხი.

მე ნებისმიერ შემთხვევაში ასე მოვიქცეოდი, თუ ადამიანი რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ ორგანიზაციის წევრია, — მის ლიდერს არ უნდა დასცინო მაშინ, რა უნდათ მის გვერდით?

**— საინტერესოა, რა აქვს ბიძინა ივანიშვილს მათი დასაცინი, რას გულისხმობდნენ?**

— მე ვარ თბილისელი კაცი, მაგრამ ვთვლი, რომ საშინელებაა თბილისური პროვინციალიზმი. ამას აკეთებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ნიჭი არა აქვთ და არაფრისათვის არ მიუღწევიათ და ერთადერთ რეგალიად თვლიან იმას, რომ არიან თბილისელები. აბა, გადახედეთ საქართველოს ისტორიას, ილია, აკაკი, კონსტანტინე გამსახურდია, ვაჟა — იყვნენ ისინი თბილისელები? შეიძლება თქვას ვინმემ რომ ისინი დიდი მოღვაწენი არ იყვნენ? იმ პერიოდშიც რომ ასეთი თბილისელები ყოფილიყვნენ ყველანი, ალბათ მათ ღვაწლს და ნიჭს ვერ დაინახავდნენ. და ილიას ყვარლელ გოიმად ჩათვლიდნენ და აკაკის საჩხერელ პროვინციელად, იმიტომ, რომ შეშურდებოდათ მათი ნიჭის. ესენი არიან სნობური კომპლექსებით გატანჯული ადამიანები.

პირდაპირ გეტყვით — ამ შემთხვევაში დასცინოდნენ ბიძინა ივანიშვილს მისი ფილოსოფოსობის გამო და ეს იყო ის ხალხი, ვინც ფილოსოფიის გაგებაში არ არის! ზემოთაც გითხარით და ვიმეორებ, დღევანდელი მეცნიერ ფილოსოფოსებისათვის ის ღრმად მოაზროვნე ადამიანია, რომელსაც ესმის ეს საკითხი.

რატომ არ ივარგა მმართველად შევარდნაძემ ან სააკაშვილმა? იმიტომ რომ ისინი არ იცნობდნენ ამ მეცნიერებას და მის წარმომადგენლებს — ისინი არაფილოსოფიურად აზროვნებდნენ! ვინც ასე არ აზროვნებს მის პრაგმატიზმშიც კი ვაჭრული ელემენტები არის და მეტი არაფერი.

ბიძინა ივანიშვილს აქვს იმისი პოტენციალი, რომ მან ახალი ტიპის სახელმწიფო ჩამოაყალიბოს, რომელიც ფილოსოფიურ აზროვნებაზე იქნება დამყარებული და ბედნიერ საქართველოს დაუდებს სათავეს.

**ეთერ კასრელიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ეკატერინა ხვედელიძისთვის მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილების აღსრულება დღეიდან დაიწყება

**ბიძინა ივანიშვილის მეუღლის ეკატერინა ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილების აღსრულება დღეიდან დაიწყება.**

როგორც "მედიანიუსს" მისმა ადვოკატმა შალვა თადუმაძემ განუცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსამართლე შოთა გეწაძის მიერ გამოტანილ განაჩენზე სააღსრულებო ფურცელი უკვე გამოსცა.



"დღეს ეს დოკუმენტი სააღსრულებო ბიუროში შემაქვს", - განაცხადა თადუმაძემ და დასძინა, რომ ხვედელიძე პირადობის მოწმობასა და საქართველოს პასპორტს უახლოეს დღეებში აიღებს.

**როგორც ცნობილია, ივანიშვილის მეუღლე საქართველოში პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას აპირებს, ამისათვის კი მას საქართველოს პასპორტი ესაჭიროება.**

შეგახსენებთ, რომ ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა მოსამართლე შოთა გეწაძის მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე აღუდგა. სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუჩერდა, ბათილად მიიჩნია. კანონით განსაზღვრულ ვადაში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ გაასაჩივრა, რის შედეგადაც გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა ავტომატურად დაიწყო.

**„მედიანიუსი"**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# rogor moiqceva saakaSvili _ `putinis msgavsad~ Tu sakuTar xalxs miendoba?

**შემაკავებელი ფაქტორები და საპირწონეები, აგრეთვე ხელისუფლებაში ყოფნის ვადების შეზღუდვა სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ელიტამ საკუთარი ინტერესები ქვეყნისა და საკუთარი თანამოქალაქეების ინტერესებს არ ამჯობინოს „ურთიერთობა მოკავშირესთანაც იოლია და მტერთანაც, მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ყველაზე რთულია ისეთ მოკავშირესთან ურთიერთობა, რომლის საქციელსაც ვერ განჭვრეტ: ხან სიკეთეს მოგიტანს და ხან დაგაზარალებს. მიხეილ სააკაშვილი სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება“, — წერს გაზეთ Washington Post-ში კარნეგის ფონდის ექსპერტი თომას დე ვაალი.**

სააკაშვილი ეგოცენტრული და არასაიმედო პარტნიორია. ვაშინგტონი მას მხარს უჭერდა და ურჩევდა, თავიდან აეცილებინა მოსკოვთან დაპირისპირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო: მიუხედავად ამისა, 2008 წელს საქართველო მაინც ჩაითრია რუსეთთან კატასტროფულ ომში, რომლის მოგება შეუძლებელი იყო. როცა დასავლელმა მოკავშირეებმა, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ამჯობინეს, არ ჩარეულიყვნენ და არ დახმარებოდნენ ამ ომში მას, სააკაშვილი აწუწუნდა, მიღალატესო. ამის შემდგომ, მისი რეპუტაცია შეიბღალა — დასავლეთის სახელმწიფოები სააკაშვილთან უმაღლეს დონეზე შეხვედრას გაურბოდნენ, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ძალ-ღონე არ დაიშურა და საკუთარი პერსონის რეაბილიტაცია მოახდინა როგორც თავის ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ახლა მას შეხვედრა გაუმართეს ოვალურ კაბინეტში „მადლიერების ნიშნად“, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლას ბარიერები არ შეუქმნა.

სააკაშვილისდროინდელი საქართველო არარუსულისა და ანტირუსულის ნაზავია. „არარუსულია“ სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმა, ახალი კანონები რელიგიური უმცირესობებისადმი შემწყნარებლობის შესახებ და პლურალიზმის მყარი ტრადიცია. „ანტირუსულია“ ის პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც ვლადიმირ პუტინისა და მისი მმართველობის წინააღმდეგ არის მიმართული; საბოლოოდ, ეს ყველაფერი პუტინის სტილს გვაგონებს. საქმე ეხება რუსეთის შესახებ პროვოკაციულ რიტორიკას (მაგალითად, შარშან სააკაშვილმა საქართველო „ცივილიზებულ“ ქვეყნად მოიხსენია, ხოლო რუსეთს „ბარბაროსული“ უწოდა) და იმასაც, რომ ძალაუფლება ადამიანთა ვიწრო წრემ ჩაიგდო ხელში. ეს მართლაც საგანგაშო ვითარებაა.

თანამედროვე საქართველო, ისევე როგორც რუსეთი, ფაქტობრივად ერთპარტიული სახელმწიფოა, სადაც არცთუ მრავალრიცხოვანი ელიტა აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, პარლამენტს, ადგილებზე ძალაუფლებას და რომელშიც სამი ეროვნული ტელეარხი არსებობს. სასამართლო სისტემა არ არის დამოუკიდებელი. კორუფციისა და კრიმინალიტეტის წინააღმდეგ წარმოებულ ქართულ კამპანიას თავისი ბნელი მხარე გააჩნია — დიდი და საზოგადოების წინაშე არავალდებული პოლიცია. ქვეყნის ციხეები გავსებულია ხალხით, რომლებიც იქ არ უნდა იყვნენ: 2011 წელს საქართველომ, ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით, მსოფლიოში მეოთხე ადგილი დაიკავა.

დღემდე მმართველ ელიტას სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია და ამჯერადაც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს გამარჯვების რწმენით ეგებება. თუმცა შარშან, ხელისუფლებას მოულოდნელად გამოუჩნდა მოწინააღმდეგე — პოპულარული ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ოპოზიციურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება. მის-



მა დემარშმა ბევრი ქართველი გაახარა, რომლებსაც მობეზრდათ მოქმედი ადმინისტრაციის როგორც ეკონომიკური პოლიტიკა, ისე მათი გაბატონებული მდგომარეობა პოლიტიკურ სცენაზე.

ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც ქონება 90-იანი წლების რუსეთში დააგროვა, ჯერჯერობით პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნია. მის ახალწამოწყებულ საქმიანობაზე მთავრობის რეაქცია უკიდურესად ულამაზოა: იურიდიული ფორმალობის მომიზეზებით, მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს, ხოლო ბანკში, რომელიც ბიზნესმენს ეკუთვნის, ფულის გათეთრების ბრალდებით სპეცოპერაცია ჩაატარეს. სამთავრობო მედიასაშუალებები ცდილობენ, ივანიშვილი რუსეთის მარიონეტად წარმოაჩინონ, რაც არ გამოსდით და რაშიც ვერ არწმუნებენ მოსახლეობას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ივანიშვილმა თავის პარტნიორებად ყველაზე პროდასავლური ორიენტაციის ოპოზიციური ძალები შეარჩია.

„საქართველოს ახლანდელმა პრეზიდენტმა დემოკრატიულობის ტესტი ვერ ჩააბარა. ახლა მას უფრო რთული გამოცდა ელის — სააკაშვილმა, 2004 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, გააძლიერა საკუთარი აღმასრულებელი უფლებამოსილებები, ხოლო 2010 წელს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ანუ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, კიდევ ერთხელ ჩაასწორა ქვეყნის უმთავრესი კანონი. ახლა, როცა სააკაშვილი თანამდებობიდან წავა, პრეზიდენტის უმრავლესი უფლებამოსილებები პრემიერ-მინისტრის ხელში გადავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ძალაუფლება მოიმატებს. საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ასე მსჯელობენ — სააკაშვილი პუტინის კვალს მიჰყვება და პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადაბარგებას აპირებს. სააკაშვილი ჯერჯერობით თავს არიდებს შეკითხვას, მართლა აპირებს თუ არა იგი ასე მოქცევას.

ქართული ელიტის წარმომადგენლები არიან მოდერნიზატორები და არა — დემოკრატები. დროდადრო ამბობენ, რომ ვერ დაუშვებენ საკუთარი ქვეყნის უფრო მეტ დემოკრატიულობას, რადგანაც ამით შესაძლოა, „რეფორმები შეფერხდეს“, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ძალა მოიკრიბონ და საქართველო „უკან დაბრუნდეს“. ეს არის თითქოს მაცდუნებელი, მაგრამ მცდარი ლოგიკა. შემაკავებელი ფაქტორები და საპირწონეები, აგრეთვე ხელისუფლებაში ყოფნის ვადების შეზღუდვა სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ელიტამ საკუთარი ინტერესები ქვეყნისა და საკუთარი თანამოქალაქეების ინტერესებს არ ამჯობინოს.

თუ სააკაშვილი შეძლებს, თავისი უფლებამოსილების შემდეგ ღირსეულად დატოვოს სცენა, საშუალება მისცეს საქართველოს, საზოგადოება პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო პლურალისტურად მოაწყოს, მისი ქვეყანა პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნებს, მათ შორის რუსეთს, მაგალითს მისცემს. მოვლენების სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში კი, საქართველო ვაშინგტონის თავისტკივილი და პრობლემური პარტნიორი იქნება.

**The Washington Post**

# vaSingtons ara konkretul mTavrobasTan, aramed saqarTvelosTan urTierToba surs

## TbilisTan urTierTobaSi aSS saakaSvilis rols gazviadebulad ar afasebs

**ვაშინგტონში ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტების 30 იანვრის შეხვედრას ექსპერტები აანალიზებენ და აფასებენ. ბარაკ ობამას პრეზიდენტობის განმავლობაში, ეს არის სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი ამერიკის პრეზიდენტთან. გამოცემის მიერ გამოკითხულ ექსპერტთა აზრით, სამ წელზე მეტხნიანი პაუზა არ არის გამოწვეული ორ ქვეყანას შორის რაიმე სერიოზული კონფლიქტით, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ვაშინგტონი სააკაშვილს აშკარად აღარ უჭერს მხარს.**

### ამერიკა და გაყინული კონფლიქტები

საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ამერიკის მხარდაჭერა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტების მოგვარებისას. გერმანელი ექსპერტი ირის კემპე აცხადებს: ამერიკა კვლავაც აღიარებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, თუმცა სწორედ ამ მიზეზის გამო ამერიკელები შუამავლად ვერ გამოდგებიან.

ამერიკას რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტები გააჩნია, მაგრამ მათი გამოყენება ახლა შეუძლებელია — „გადატვირთვის“ პერიოდში გაჩ-



ნდა პაუზა, რის შედეგადაც ვაშინგტონის ზეგავლენა მოსკოვზე შესუსტდა. შესაბამისად, კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ შედეგებს უახლოეს ხანში არც უნდა ველოდოთ.

ბერლინის კავკასური ფონდის — „მეცნიერებისა და პოლიტიკის“ ექსპერტ უვე ჰალბახს კი მიაჩნია, რომ თუ „გადატვირთვის“ პოლიტიკა წარმატებით გაგრძელდება, აშშ-ს შეეძლება, მოსკოვსა და თბილისის შორის შუამავლის როლი იტვირთოს; თუმცა, ექსპერტის აზრით, ამ როლს უკეთ მიესადაგება არაერთი სხვა კანდიდატი, მაგალითად — ევროკავშირი.

### ამერიკული გეოპოლიტიკა და საქართველოს როლი

ამერიკის შეერთებული შტატები უკვე მრავალი წელია, აქტიურად მონაწილეობს ქართველი სამხედროების სწავლებასა და მომზადებაში. ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირთან შედარებით, საქართველოს უსაფრთხოების გარანტია. მიუხედავად ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობისა და ვაშინგტონის მხარდაჭერისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, ნატოს მისიის ფარგლებში, ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად თავისი ათასი სამხედრო გაგზავნა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მისი გაწევრიანების შანსი აშკარად გაუარესდა.

### ობამასთან შეხვედრა, როგორც შიდა-პოლიტიკური ფაქტორი

„მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა ბარაკ ობამასთან მნიშვნელოვანია შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით — ამით საქართველოს პრეზიდენტი ქართველ ამომრჩევლებში ქულების დაგროვებას ცდილობს და სურს, ამერიკელ ლიდერთან შეხვედრა პირად გამარჯვებად წარმოაჩინოს. ასეთია როგორც გერმანელ, ისე ქართველ პოლიტოლოგთა შეფასებები. სააკაშვილის დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს შეხვედრა ბევრს ვერაფერს მოუტანს იმიჯშელახულ სააკაშვილს; თუნდაც იმიტომ, რომ მოქმედი ხელისუფლების ოპონენტები შეურიგებელი არიან. ვინც პრეზიდენტს უჭერს მხარს, კიდევ უფრო დაირწმუნებს თავს საკუთარი პოზიციის სისწორეში, ხოლო ვინც წინააღმდეგია, პოზიციას არ შეიცვლის. მცდარია მოსაზრება, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს მხოლოდ სააკაშვილის მთავრობასთან სურს თანამშრომლობა. ამერიკის ადმინისტრაცია ითანამშრომლებს დემოკრატიულად არჩეულ ნებისმიერ ხელისუფლებასთან, რომელიც რადიკალურად არ შეცვლის ქვეყნის განვითარების ვექტორს.

მართალია, ვაშინგტონი თითქოს მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ გერმანელი ექსპერტის აზრით, ამერიკა არ აპირებს გააზვიადოს ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტის როლი ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში. ვაშინგტონს სურს არა კონკრეტულ მთავრობასთან, არამედ მთლიანად საქართველოსთან ურთიერთობა.

**Deutsche Welle**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გულბაათ ჭავჭავაძემ.**



# kluverbiusis sindromi

„ვარდოსნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველო მუდმივად ბეწვის ხიდზე გადის. თითქოსდა 2008 წლის აგვისტოს ომი არ გვეყოფოდა, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიების 20% დაგვაკარგვინა, რომ კვლავ ახალი განსაცდელის წინაშე დაგვაყენეს. იმ შემთხვევაში, თუ აშშ-მა ირანს დაარტყა სააკაშვილის არამკითხე მეამბეობის გამო, არ არის გამორიცხული ირანის სამიზნე ჩვენც გავხდეთ.

სწორედ ამ ყველაფერმა გაგვახსენა კლუვერ-ბიუსის სინდრომის სახელით ცნობილი ფსიქიკური დაავადება, რომლის შესახებაც რამდენიმე წლის წინ მედიით იყო საუბარი. მკითხველს არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, თუ რატომ არის საინტერესო ინფორმაცია ამ დაავადების შესახებ და ლოგიკურ დასკვნებს თავადვე გამოიტანს. ახლა კი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ხსენებული სინდრომი. რამდენიმე სამედიცინო გამოცემის თანახმად (12 სამედიცინო გამოცემაზე დაყრდნობით ვსაუბრობთ), კლუვერ-ბიუსის სინდრომი ქცევის დარღვევაა, რომელიც ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების ფონზე ვითარდება. პირველად ეს დაავადება 1937 წელს ჰაინრიხ კლუვერმა და პოლ ბიუსმა ექსპერიმენტული კვლევების მონაცემების საფუძველზე აღწერეს.

ამ კვლევების ფარგლებში ექსპერიმენტებს მაიმუნებზე ატარებდნენ, რომლებსაც შემდეგი სიმპტომები განუვითარდათ: ბულემია (ჭარბი უაზრო ჭამა), ჰიპერსექსუალური ქცევა ჰომოსექსუალური, ჰეტეროსექსუალური ან აუტოსექსუალური მიდრეკილებით; შიში, შფოთვა ან აგრესიულობა; ჰიპერორალური ქცევა (საგნების პირით დაგემოვნება-გასინჯვის ტენდენცია), ჰიპერმეტამორფოზი (გარემოს ვიზუალური დათვალიერების აკვიატებული სურვილი). მალევე ეს დაავადება ადამიანებშიც აღმოაჩინეს. პირველი კლინიკური შემთხვევა 1955 წელს აღწერეს. ადამიანებში ეს სინდრომი სრული სახით იშვიათად ვლინდება. მისი აღმოცენების მიზეზი შეიძლება შემდეგი სახის დაავადებები იყოს: ჰერპესული ენცეფალიტი (თავის ტვინის ანთება), საფეთქლების წილებისა და ნუშისებრი ბირთვის ორმხრივი დაზიანებით, ტუბერკულოზური მენინგიტი, თავის ტვინის ტრამვული დაზიანება და ა.შ.

**ადამიანებში კლუვერ-ბიუსის სინდრომი შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: ემოციური სიჩლუნგე, ჰიპერორალურობა (საგნების პირში ჩადების დაუძლეველი, აკვიატებული სურვილი, რაც გამოწვეულია პირის სტიმულაციისა და ამ გზით საგნის შეცნობის სურვილით და არა შიმშილით), უაზრო ჭამა, რომელსაც თან ახლავს წონის მატება (ჭამა ხდება სოციალურად მიუღებელი ქმედებებით – საკვების ლოკვა, ხელით შეხება), ჰიპერსექსუალური ქცევა (არ აქვთ სექსუალური თავშეკავება), მხედველობითი აგნოზია, ანუ ფსიქიკური სიბრმავე (საგნების ვერცნობა).**

კონკრეტულად რას ნიშნავს კლუვერ-ბიუსის სინდრომი და რა იწვევს ამ დაავადებას, ამის შესახებ „საერთო გაზეთი“ ფსიქიატრებს გაესაუბრა. იქიდან გამომდინარე, რომ ნაცხელისუფლება ამ პროფესიის ადამიანებს არ სწყალობს და არცთუ იშვიათად „პოგრომებსაც“ უწყობს, გავიხსენოთ პერიოდულად ცნობილი ფსიქიატრების მასობრივი დაპატიმრება, ჩვენი რესპონდენტების (რომელთა კვალიფიციურობაშიც ეჭვი არ გვეპარება) ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებთ. ფსიქიატრთა განმარტებით, კლუვერ-ბიუსის სინდრომი ფსიქოპათიის ერთ-ერთი სახეა. სხვათა შორის, ამ სინდრომის ერთ-ერთი სიმპტომი ფრჩხილების კვნეტაც ყოფილა.

ფსიქოპატია ადამიანებში ვითარდება მშობიარობის დროს გადატანილი ტრავმის დროს (ასფიქსია, ჭიპლარის შემოხვევა), ასევე ფიზიკური ტრავმის მიღების დროს თუნდაც ავტოავარიის შედეგად. გარდა ამისა, სიცხიანი დაავადებების დროსაც (ენცეფალიტი, მენინგო-ენცეფალიტი) ყალიბდება ფსოქოპათია. ფსიქიატრების განცხადებით, საზოგადოება კარგად უნდა დაფიქრდეს და ფსიქიურად არაწონასწორ, არამდგრად, უცნაური ქცევების მატარებელ, თავშეუკავებელ, არათანმიმდევრული ქცევებისა და გამოთქმების მქონე პიროვნებას არჩევნების დროს მხარი არ უნდა დაუჭიროს. ასეთი პიროვნება ოჯახსაც კი ვერ მართავს და ცხადია, მისთვის სახელმწიფოს მართვის მინდობა არ შეიძლება. თავდაჯერებული, იმპულსური, გაუწონასწორებელი, იჭვნეული ადამიანი, რომელიც სხვის რჩევებს არ იზიარებს, ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს. ვახტანგ VI თავის მიერ შედგენილ „სამართლის წიგნის“, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენი კანონების პირველი წიგნია, შესავალში წერს, რომ ეს წიგნი დაწერა მოხუცთა და ბრძენთა თანადგომით. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებას კი როგორ აქვს იგნორირებული გამოცდილი პროფესიონალების აზრი, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ პირველ პირსაც ჰქონია ბავშვობაში გადატანილი ენცეფალიტური დაავადება. ამ დაავადების გადატანის შემდეგ ბავშვი შეიძლება ფსიქოპათად ჩამოყალიბდეს. იყოს ჭირვეული, ძნელად აღსაზრდელი, მაგრამ ფსიქიატრთა განმარტებით, ეს ხელს არ უშლის, რომ ამ ადამიანმა უცხო ენა ან სხვა რომელიმე ერთი საგანი კარგად ისწავლოს. ფსიქიატრიაში ცნობილი ყოფილა გამოთქმა, უნივერსალური მთვლელი. ისინი იხსენებენ ერთ გონებრივად ჩამორჩენილ კაცს, რომელიც მილიონების ფარგლებში ზეპირად ითვლიდა და ანგარიშობდა, ასევე ჰყოლიათ პაციენტი, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობდა ჭადრაკს და ა.შ. ანუ არსებობს ადამიანის ცალმხრივად განვითარება.

ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს მეოცნებე, უცნაური ან თავისებური. ისინი ალკოჰოლურ სასმელს მძიმედ იტანენ, მათთვის ეს, როგორც ინტოქსიკაცია, ისეა, რისი მიზეზიც გადატანილი მენინგიალური (ტვინის) გარსის ანთებაა. ისინი ამ დროს ისეთ მიდრეკილებებს ავლენენ, რომელსაც სიფხიზლეში თრგუნავენ, ან ცდილობენ დათრგუნვას. აქვთ გაძლიერებული პათოლოგიური ურჩობა, სექსუალური მიდრეკილება, ჭამის მიმართ დაუოკებელი მადა, მოუსვენრობა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან. საერთოდ, ხელოვანი ხალხია, ფანტაზიის მოყვარული და უცნაური. მათ შორის ბევრი იყო ავადმყოფი და ალკოჰოლიკი, მაგრამ ამ ხალხს სახელმწიფოს მართვის პრეტენზია არც აქვს. რაც შეეხება ამგვარი ფსიქიკის მქონე ადამიანის ფანტაზიის ნაყოფს, თუკი მან აიჩემა და რეალიზაცია გაუკეთა ამ ფანტაზიას, შეიძლება ძალზე ცუდი იყოს ქვეყნისთვის. ამ ადამიანებში ეს ამოჩემება და რეალიზაციის სურვილი იმდენად დიდია, რომ ამისთვის წირავენ დროს, ზედმეტ ფულს, თანაც იმ ფულს, რომელიც მათ არ ეკუთვნით. შედეგი არ აინტერესებთ, მთავარია, მათი სურვილი შესრულდეს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ კონკრეტული საქმის სპეციალისტების, კომპეტენტური პროფესიონალების აზრსა და რჩევებს.

ფსიქოპატი პათოლოგიური ფსიქიკის მქონე ადამიანს ჰქვია. ფსიქოპატია ავადმყოფობა არ არის, მაგრამ უარესია. ეს არის მდგომარეობა თავისი უცნაურობებით, საშინელი ჩვევებითა და პრეტენზიებით ცხოვრების მიმართ. ფსიქოპათების ერთ-ერთი თვისება სწორედ ანგარიშგაუწევლობაა. ამიტომ ამბობენ, რომ თუ ფსიქოპათს „მწვანე გზა“ აქვს, ის გაივლის დერეფანს, თუ არა და ძალზე შესამჩნევი და ძნელად ასატანი ხდება. ყოველი წინაღობა თუ წინააღმდეგობა მათში განრისხებას, აგრესიას და აგზნებას იწვევს. აგზნება და ეჭვი კი ლოგიკას აუკუღმართებს. ასეთი ადამიანები თავის თავსაც აწვალებენ და სხვებსაც. ფსიქიატრები ურჩევენ ასეთი ფსიქიკის მქონე ადამიანებს თავი შეიკავონ და კორექცია გაუკეთონ თავიანთ ქცევებს, რათა ხალხს თვალში უარყოფითად არ მოხვდნენ, თუმცა რამდენად შეუძლიათ მათ ეს ან სურვილი თუ აქვთ ამის გაკეთების ეს არის მთავარი.

არა მარტო ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისგან, საზოგადოების მხრიდანაც ხშირად მოისმენთ მიხეილ სააკაშვილის გაუწონასწორებლობასა და არაადექვატური ქმედებებთან დაკავშირებით არცთუ სასიამოვნო ეპითეტებს. ჩვენ არავისთვის დიაგნოზის დასმას არ ვაპირებთ, უბრალოდ, გვინდა მედიკოსებთან ერთად მისი საქციელი გავაანალიზოთ. ქვეყნის მეთაურის სიტყვა ათჯერ მაინც უნდა იყოს აწონილი და მოზომილი, რადგან მას ქვეყანა და ხალხი უსმენს. რანაირად შეიძლება პრეზიდენტობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანმა ღვაწლმოსილ მეცნიერებს, ხელოვნებსა და მწერლებს ჩარეცხილები უწოდო. ასევე მიუღებელია ის ცრუ დაპირებები, რომლითაც ეს ხელისუფლება ამდენი წელია კვებავს საზოგადოებას. უაზრო სისწრაფე რაღაცის დამთავრებაში, რომ მერე წითელი ლენტის გაჭრით გახსნას. შედეგი კი ჭერიდან ჩამოსული წყალი, შედგმული „ვედროები“, ასევე ქუჩაში გამოსული დევნილებია, რომლებსაც სასმელი წყალი არ აქვთ, სამაგიეროდ, ჩამონგრეული ჭერიდან თავზე აწვიმთ და ათოვთ. ეს მუდმივი შეუთავსებლობა დაპირებებსა და შესრულებას შორის სააკაშვილის ხელისუფლების სავიზიტო ბარათად არის ქცეული.

რესპონდენტთა თქმით, არასდროს ამოიშლება საზოგადოების მეხსიერებიდან აგვისტოს ომის დროს შიშისგან ბუჩქებში შემძვრალი ქვეყნის მთავარსარდლის, პირველი პირის ფოტო, რომელსაც საკუთარი ჰალსტუხი აქვს პირში ჩადებული. არ შეიძლება ერთდროულად იყო მშიშარაც და ქვეყნის მთავარსარდალიც. ასევე ქრონიკული ცრუპენტელობა, როგორ ამბობ, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება მთლიანად მოსპე, როცა პატიმართა რაოდენობის მხრივ ევროპაში პირველ ადგილზე ხარ, მსოფლიოში კი მეოთხეზე? ამ პატარა ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით ყველაზე მეტი პატიმარი რომ არის, ეს ხომ იმაზე მეტყველებს, რომ ცრუობ, ან არადა, ხალხს ტყუილად იჭერ. ან ის როგორ დაავიწყდება ხალხს, რაც თაბუკაშვილის ქუჩაზე მოხდა, როცა ხალხს სახლი თავზე დაანგრიეს და უშუქო მოხუცები და ავადმყოფები საწოლებით გამოყარეს ქუჩაში. ეს არის დაუნდობლობის სურვილი, რაც სპეციალისტთა დასკვნით, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის საქციელი არ არის. გავიხსენოთ, როგორ მოექცნენ თსუ-ს პროფესურას. როგორ გამოკეტეს ღვაწლმოსილი მეცნიერები ერთ პატარა ოთახში სამ[illegible] წლის გარეშე და ტუალეტშიც კი არ უშვებდნენ. პოლიციის მიერ უმაღლესი სასწავლებლის შენობის ალყაში მოქცევა ბოლშევიკებსაც კი არ მოსვლიათ აზრად. ფსიქიატრები იმითაც გაოცებულნი არიან, საიდან მოიყვანეს ამდენი უბადრუკი ინგლისურის მასწავლებელი. რესპონდენტთა ყურადღების ცენტრში „ვარდოსნების“ ფრაზეოლოგია-ტერმინოლოგიაც მოხვდა. მაგალითად, გონივრული ეჭვი და ამ ეჭვის საფუძველზე დაჭერილი ხალხი. ეჭვი არსებობს უსაფუძვლო ან საფუძვლიანი, იქნებ აგვიხსნან, რას ნიშნავს გონივრული ეჭვი, ამ ფრაზის შემომტანი და დამკანონებელი თვითონ არის დამნაშავეო. ან ეს მდგრადი ეკონომიკური განვითარება საიდან მოიგონეს, მდგრადი თავისთავად მყარს ნიშნავს, განვითარება დინამიკას და ეს ორი სიტყვა რომ ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელია, კი უნდა ხვდებოდნენ ფსიქიკურად ჯანმრთელობაზე პრეტენზიის მქონე ხელისუფალნი.

ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ვისი ინიციატივაა ამ ფრაზების დამკვიდრება და ნეტავ, ამის მეტი უბედურება არ ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ყოველთვის, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მონური მორჩილება სააკაშვილის უაზრო ხუშტურების მიმართ. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ნუთუ ყველა ასეთი გონებაჩლუნგია, რომ ვერ ხვდება, დაღუპვისკენ რომ მიჰყავს ამ კაცს ქვეყანა? ამ კითხვაზე ფსიქიატრები ასე პასუხობენ – ხელქვეითები თავს არიდებენ ასეთი ფსიქიკის მქონე ადამიანთან ყოველგვარ შესიტყვებას და შეკამათებას, რადგან საპასუხოდ აგრესიას მიიღებენ. ეს აგრესია კი იმდენად მოუზომელია, რომ შემკამათებელმა სხეულის დაზიანებაც შეიძლება მიიღოს. სამსახურიდან მოხსნა-გაგდებაზე აღარაფერს ვამბობთ – ჩვეულებრივი ამბავია. ისე, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცულ სიკვდილს თუ გავიხსენებთ, სააკაშვილის ხელქვეითთა სიმუნჯეს მართლაც აქვს ლოგიკური საფუძველი.

**მანანა სუხიშვილი**

## ცაგარეიშვილი: სააკაშვილი რომ წარსულის პოლიტიკოსია, ობამამაც აღიარა

საპარლამენტო ფრაქციის – "ერთობა სამართლიანობისთვის" თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილს აშშ-საქართველოს პრეზიდენტებს შორის გამართული შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვან დეტალად საქართველოში მოახლოებული არჩევნები და მისი დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარება მიაჩნია.



როგორც მან ობამა-სააკაშვილის გუშინდელი შეხვედრის შეფასებისას ჟურნალისტებს განუცხადა, აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაცემა. ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავება სწორედ მომავალ არჩევნებზეა დამოკიდებული.

"სააკაშვილი რომ წარსულის პოლიტიკოსია, ეს მანაც აღიარა, როცა თქვა, რომ მოხდება ხელისუფლების გადაცემა ახალი პრეზიდენტისათვის, რასაც "თავისუფალი დემოკრატები" და "ქართულ ოცნებაში" შემავალი სხვა პოლიტიკური პარტიები ყოველთვის ხაზს ვუსვამდით. მომავალ ურთიერთობებს ახალი ლიდერები განავითარებენ და მას საფრთხე არ დაემუქრება", — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

რაც შეეხება ტერმინ "ფორმალურს", დეპუტატის განმარტებით, ის ნებისმიერ ლექსიკონში "ოფიციალურს" ნიშნავს.

"მაქვს იმის ბედნიერება, ვიყო იმ პარტიაში, რომელშიც ექვსი ყოფილი ელჩია. გარწმუნებთ, რომ სიტყვა "ფორმალური" ყოველთვის ოფიციალურს ნიშნავდა, ყოველთვის ამ გაგებით იყო აღქმული და ახლაც ამ კონტექსტშია ნათქვამი", — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა და დასძინა, რომ ეს გამონათქვამი დიპლომატიურ ურთიერთობებში გამოიყენება.

მისივე მტკიცებით, საქართველოში სტუმრობისას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც ზუსტად იმავეს იტყვის.

"გარწმუნებთ, რომ 2 კვირის თავზე იგი საქართველოს ეწვევა და იმავეს იტყვის. ასე რომ, ბატონი აკაკი მინაშვილიც და გაბაშვილებიც ხელისუფლების გადაცემისთვის მოემზადონ. ჩატარდება თავისუფალი არჩევნები და მოხდება ხელისუფლების გადაცემა. არ ჩატარდება თავისუფალი არჩევნები და ხელისუფლების გადაცემა ყველა შემთხვევაში მაინც მოხდება. სჯობს, ნებით დათმონ ის, რასაც ქართველი ხალხი საერთო აღშფოთების ძალით მაინც მოიპოვებს. ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს და თარგმნოს ჩემი ნათქვამი", — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

# ras malavs saqarTvelos xelisufleba da ra saidumlos unaxaven mas `rusTavi-2~ da `imedi~?

ცივილიზებული ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთშეთანხმებული დაპირისპირება ირანის რესპუბლიკასთან დღითიდღე მწვავდება.

ორმუზის სრუტეში უკვე 1 კვირაა ამერიკული ავიამზიდი „აბრაამ ლინკოლნი“ და სხვა წვრილ-წვრილი სამხედრო გემები პატრულირებენ. თავის მხრივ, ირანის სამხედრო მთავარსარდლობა საკუთარ ავიაციას, რაკეტებსა და ჯარს მტრის შესაძლო გააქტიურებისთანავე სამხედრო წვრთნებიდან პირდაპირ ბრძოლის ველზე გაიყვანს და მესამე მსოფლიო ომის დაწყებასაც ვეღარაფერი აღუდგება წინ.

საოცარია, მაგრამ ამერიკა-ისრაელის ერთობლივი, კოორდინირებული პროვოკაციის შესახებ ზუსტად 5 წლის წინ, რუსეთის „დუმის“ დეპუტატი ვლადიმერ ჟირინოვსკი ჩემთან ინტერვიუში აკეთებდა ხმამაღალ განცხადებას და ქართველებს გვაფრთხილებდა, რომ ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომში ქართველები ამერიკელებს არ დავხმარებოდით, თორემ ირანული რაკეტები მთელი საქართველოს თავზე წვიმასავით გამოჩნდებოდა და ჩვენი სახელმწიფო „შაჰ 2“ და „შაჰ 3“-ების სამიზნე გახდებოდა.

მიაქციეთ ყურადღება შემდეგს ამ განცხადებას ვლ. ჟირინოვსკი 5 წლის წინ აკეთებდა და იქვე დასძენდა იმასაც, რომ: „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენი ქვეყანა მარტო იმ ლტოლვილთა ნაკადისგან გასკდება, რომელნიც თქვენი ქვეყნის საზღვრებს მოაწყდებიან! გამორიცხულია, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ისინი დაიტიოს, ამიტომ ისინი თქვენსკენ გამოიქცევიან ბავშვებით, მოხუცებით და რა უნდა ქნათ თქვენ? მართალია ლტოლვილების ნაწილი „ჩერეზ ვაენნო გრუზინსკუიუ დოროგუ“ ჩვენსკენ, ანუ რუსეთისკენაც წამოვლენ, მაგრამ ჩვენ ყველას ხომ ვერ მივიღებთ? ამიტომ, თქვენი ქვეყანა „რუხნეტ ოტ პოტოკა ბეჟენცევ“ და ღირსებიც იქნებით, რადგან გიყვართ ამერიკელები და მათი ბრძანებების უსიტყვო აღმსრულებლები ხართ! „ვი ზასლუჟივაეტე ეტოგო, მი პომოჟემ ირანცოვ, ა ვამ პომოჟეტ ბუშ, მაკკეინ ი გოსპოჟა რაის“ დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები — ირანთან პირველ სარაკეტო დარტყმას განახორციელებს ისრაელი და შემდეგ რამდენიმე საათში ამ ომში ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაერთვებიან იმიტომ, რომ მათ თითქმის კონსტიტუციაში უწერიათ ისრაელის დახმარება, გასაგებია? ნუ ელით იმასაც, რომ ეს ომი საქართველოსთვის სულ ერთი იქნება, „ვი რუხნეტე, ა როსია ვამ ნე პომოჟეტ! ობრაშაეტეს კ ბუშუ, კ ბუშუ, ონ ვაშ გოსპოდ, ისუს ხრისტოს, რაის ვაშა ბოგომატერ, პონიატნო“? — ყვიროდა ტელეფონში ჟირინოვსკი, მაგრამ ქართველებს მისი ყვირილი, ემოციური ტექსტი და პროგნოზი როდის იყო, რომ სერიოზულად აღგვიქვამს?

დღეს, როდესაც ირანში მდებარე ბუშერის ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებით ასეთი ვნებათაღელვებია, როცა ასეთი ეკონომიკური მკაცრი სანქციებით ემუქრება მსოფლიო ირანს, როგორც მომავალში ბირთვული ქვეყნის მომავალს, ძნელია არ დაეთანხმო კრემლის „რუპორად“ ცნობილ ვლადიმერ ვოლფოვიჩს და არ დაფიქრდე იმაზე, რაღა მაინცდამაინც მოსალოდნელი კონფლიქტის ზღვარზე იბარებს ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამა დამთხვეულ სააკაშვილს და რა დირექტივების მიცემას აპირებს მისთვის, გნებავთ, საჰაერო კორიდორის და გნებავთ, საქართველოში ანტისარაკეტო ტერიტორიების გამოყოფის კუთხით?

საეჭვოა და ძალზედ დამაფიქრებელი ისიც, რომ ქართული სახელისუფლებო არხები ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებში ამერიკა-ირანის გამწვავებულ ურთიერთობებზე მაქსიმუმ 1-წუთიანი ზეპირი ინფორმაციებით შემოიფარგლებიან და განსხვავებით მსოფლიო საინფორმაციო არხებისაგან, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, უმეტეს შემთხვევაში, სდუმან!

რას მალავს საქართველოს ხელისუფლება და რა საიდუმლოს უნახავენ მას „რუსთავი-2“, „იმედი“ და ა.შ.?

არადა, ხომ ძალიან საინტერესოა თუნდაც ერთი კითხვის დასმა გნებავთ, სააკაშვილისთვის, გნებავთ, ბოკერიასთვის, გნებავთ, ბაქრაძისთვის — რა პოზიციას დაიკავებს საქართველოს ხელისუფლება მაშინ, თუკი ამერიკა-ისრაელი, ირანის რესპუბლიკაზე მართლაც მიიტანს იერიშს?

ძვირფასო მკითხველო! იცით თუ არა თქვენ, რომ სააგენტო „რეგნუმი“ გასულ კვირას უტყუარ წყაროზე დაყრდნობით მეტად საგანგაშო ნიუსს ავრცელებდა მოსალოდნელი კონფლიქტის შესახებ და ამ კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობასაც არ გამორიცხავდა? „ირანს შემთხვევით არ დაუწყია სამხედრო სწავლებები შორეული მოქმედების რაკეტების გაშვებით, რითაც აშშ-ს და მისი მოკავშირეებისათვის საკადრისი პასუხის გამცემი სახელმწიფოს იმიჯს იმყარებს“, — წერს სააგენტო „რეგნუმი“ და იქვე აქვეყნებს იმ რაკეტების მოქმედების არეალის ჩამონათვალს, რომელიც დღეს ირანის შეიარაღებულ ძალებს აქვთ და რა მანძილზე შეუძლიათ მათ ფრენა:

300 კმ — ბაღდადი, ქუვეითი, ყატარი.

600 კმ — ერაყის დასავლეთი რაიონები, თურქეთის სამხრეთ რაიონები.

1000 კმ — თბილისი, დამასკო, ქაბული.

1200 კმ — ბათუმი, თელ-ავივი, ანკარა.

1500 კმ — კაირო, დელი, ბომბეი.

2500 კმ — კიევი, ათენი, ბერლინი, რომი.

ვფიქრობ, ძალზე ყურადსაღებია ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაც, კერძოდ, თუკი ირან-ისრაელ-ამერიკის დაპირისპირება მართლაც გადაიზრდება (და ალბათ, მალე გადაიზრდება) საომარ მოქმედებებში, ჩვენი მეზობელი, ასევე ბირთვული ქვეყანა — რუსეთი რას მოიმოქმედებს საქართველოს ტერიტორიების (გნებავთ, სატრანსპორტო კორიდორის) შესაძლო გამოყენების კუთხით? ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ჩვენგან სამხრეთით რუსეთს სომხეთის ტერიტორიაზე უდიდესი სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული და დღემდე ამ ბაზის მოსამარაგებლად (ტრანსპორტი, შეიარაღება) ჩვენს მიერ ბოძებულ კორიდორს იყენებს!!! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სომხეთში, „გიუმრის“ სამხედრო ბაზაზეა გაყვანილი ის სამხედრო ტექნიკაც, რომელიც რუსებს აქ, საქართველოში ჰქონდათ მობილიზებული საკუთარ ბაზებზე და არც ის დაგვავიწყდეს, რომ საჭირო დროს, საჭირო მომენტში ისინი კვლავ საქართველოში შეიძლება აღმოჩნდნენ! საქართველოს, როგორც ამერიკული სამხედრო პლაცდარმის შესაძლო ობიექტს, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ისიც, რომ გარდა ირანული რაკეტებისა, შესაძლოა, რუსული ჩექმაც მოხვდეს ცხვირში და ამგვარი თვითნებობისთვის (როგორადაც ახლა მოქმედებს), კარგა დიდი ხნის მანძილზე საკუთარი სხეულის ნაწილების აკრეფის სურვილით შეპყრობილი, როგორც სახელმწიფო ბოლომდე დაიშალოს ნაწილებად! აკი, გვეუბნებოდა იგივე ჟირინოვსკი: „ვი გრუზინი ბუდეტე ხოდიტ ს კუტაისი დო ტიფლის, ს გრუზიი ოჩენ სკორო, ტოლკო ეტო ოსტანეტსია“-ო?

ჯანდაბამდე გზა ჰქონია ჟირინოვსკის, მაგრამ განა შემთხვევითია ვლადიმერ პუტინის გამოსვლა რუსეთის მთავარ არხზე და მის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომელიც ამერიკის თავდაცვითი სისტემების საქართველოში განლაგების საკითხს ეხებოდა?

ვლადიმერ პუტინი: „ჩვენთვის ნამდვილად არ არის სულერთი და უმნიშვნელო, თუ სად განლაგდება ამერიკელების სისტემები — ჩვენთან ახლოს თუ ჩვენი საზღვრების მოშორებით! ჩვენ არასდროს შევეგუებით, თუ იგი საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება... ჩვენი დარტყმითი სისტემები საქართველოს უნდა დავუმიზნოთ? წარმოგიდგენიათ, რა საშინელება იქნება ეს? გვაქვს კი ჩვენ იმის გარანტია, რომ ეს არ მოხდება? რა თქმა უნდა, არა!

ძვირფასო მკითხველო! პირადად მე, პუტინის ამ განცხადების შემდეგ ძალიან შევშინდი, რადგან ბატონი ვოვა ასე ჰაიჰარად ამ განცხადებას დარწმუნებული ვარ, არ გააკეთებდა!

ამ ეჭვს კი ისიც მიმძაფრებს, რომ კრემლი, სულ რაღაც ერთი კვირის წინ ღიად გამოექომაგა ირანს და საომარ მოქმედებებში, მხარდაჭერაც აღუთქვა ახმედი ნეჯათის ხელისუფლებას!

ახლა, მოდით იმაზეც დავფიქრდეთ, რუსეთი ირანს რომელი გზით მიეხმარება და რა გზით მოამარაგებს სომხეთში საკუთარ, „გიუმრის“ ბაზას? ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს გავლით, ხომ? არ არის შემთხვევითი ისიც, რომ სულ რამდენიმე დღის წინ, აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის პრეზიდენტი მედვედევიც გამოჩნდა და გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზეც, რომ ბატონი დიმა, სოჭის შემდეგ სწორედ სამხედრო ბაზებს ესტუმრა აფხაზეთში, სადაც სულ ახლახან, ახალი ტექნიკის შეყვანა და სამხედრო კონტინგენტის გაზრდა უზრუნველყო კრემლმა!

რას მოიმოქმედებს კრემლი უახლოეს პერიოდში, ძნელი საპროგნოზოა, მაგრამ თუ ყურადღებას დავძაბავთ და რუსეთის არჩევნებისწინა სტრატეგიასაც გავიხსენებთ, მივალთ იქამდე, რომ ომი ირანთან, შესაძლოა, რუსეთის ინტერესებშიც შედიოდეს და რა თქმა უნდა ამ პოლიტიკურ თამაშშიც ამერიკა-რუსეთი წინასწარ ურთიერთშეთანხმებულებიც იყვნენ!

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ



დედამიწის ზურგზე არ არსებობს სახელმწიფო, სადაც დამპყრობელი ქვეყნის ამდენი რეზიდენტი, მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ, ისე როგორც ჩვენთან!!! სარგებლობდნენ რუსეთ-საქართველოს მოქალაქეობით, მათი დოსიეები სავსე იყოს რუსული „კგბ“-სთან თანამშრომლობის ეპიზოდებით და სულ ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიშა ვაშაძის (რომელიც აგრეთვე რუსეთის მოქალაქეა და რუსეთის ყოფილი სამხედრო ატაშეც იყო) მრჩევლად ინიშნებოდეს იგივე რუსეთის მოქალაქე, რუსეთის წარმომადგენელი „გაეროში“. ისიც უცნაურია, ამერიკის პარტნიორი ქვეყანა ირანთან უვიზო რეჟიმს უზრუნველყოფდეს და ქვეყანაში პარალელურად ყველა სტრატეგიულ ობიექტს რუსეთზე ასხვისებდეს ჩალის ფასად.

უკვე მთელმა საქართველომ იცის, რომ მიშა სააკაშვილმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობა, ფაქტობრივად, საკუთარ ბიძას, ცნობილ ჩეკისტ თემურ ალასანიას ჩააბარა, მაგრამ რა მიზანს ემსახურება სინამდვილეში სააკაშვილის ეს ქმედება, ვფიქრობ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ პარტნიორი ამერიკა „კგბ“-ს გენერლის თემურ ალასანიას ამ პოსტზე დანიშვნას სააკაშვილს არ ურჩევდა და ნეტავ, ვინ იყო ის, ვინც მიშა ამ ნაბიჯებით ატარა? რა თქმა უნდა, რუსეთი, რა თქმა უნდა, კრემლი და რაღა თქმა უნდა, ვლადიმერ პუტინი, რომელიც მარტში პრეზიდენტიც გახდება და ირანთან შესაძლო ომის დროს კი ცანცარა სააკაშვილთან კი არ დაიჭერს საქმეს, არამედ თავის „სარატნიკ“ ალასანია ბიძასთან და ბატონი თემურიც ისე მოიქცევა, როგორც აქამდე იქცეოდა, ანუ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების ფარგლებში!

რუსეთის ინტერესთა ფარგლებში კი უპირველესად ის შედის, რომ მსოფლიოს კიდევ ერთხელ „დაუმესიჯოს“ საკუთარი სიძლიერე და ბევრს თავისი საზღვრების ახლომახლო მიკარების მადა დაუკარგოს! თუკი ირანში ომი მართლაც დაიწყება, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი დამკვირვებლის როლში ყოფნას არ დაუშვებს და ამერიკას მის საზღვრებთან ახლოს თავისუფალი მოქმედებების საშუალებას მოუსპობს!

ექსპერტთა წრეებში განიხილება როგორც ომის დაწყების, ასევე ომის შემდგომში პერიოდიც და, როგორც კულუარულად მაცნობეს ასეთი ვარიანტიც განიხილება, კერძოდ, რუსეთი ირანის დასახმარებლად და „გიუმრის“ ბაზის გასაძლიერებლად აფხაზეთიდან დაძრავს თავის სამხედრო კონტინგენტს, ტექნიკას და ავიაციას, გადმოივლის მთელ საქართველოს და წითელი ხიდის გავლით შევა სომხეთში! სააკაშვილს, სავარაუდოდ, მისცემენ უფლებას სამხედრო ჰოსპიტლებში, საავადმყოფოებში, ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს დაჭრილი ამერიკელი და ებრაელი ჯარისკაცების საქართველოში მკურნალობა, სამშობლოში გამგზავრება და ა.შ. მაგრამ იგივე სააკაშვილს არავითარი უფლება არ ექნება ხელი შეუშალოს რუსეთის ჯარის და ტექნიკის გადაადგილებას, საქართველოს ტერიტორიაზე რა მასშტაბითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი იგი! საინტერესოა, ექსპერტთა მოსაზრებები ომის შემდგომ პერიოდზეც, კერძოდ, მათი აზრით, უკან დაბრუნებული სამხედრო შენაერთები, სავარაუდოდ, არსადაც აღარ წავლენ და მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგდებიან, რითაც დაასრულებენ საოკუპაციო გეგმას, აღადგენენ სამხრეთ კავკასიაში საკუთარ გავლენებს, მაგრამ იქამდე უზრუნველყოფენ სააკაშვილის საქართველოდან მოშორებასაც და მას „დევნილი პრეზიდენტის“ მანტიითაც შემოსავენ გაწეული დახმარებისთვის.

ახლა ვიცი, ნაცხელისუფლება შემომედავება: კი, მაგრამ, 21 საუკუნეში ეს როგორ შეიძლება მოხდესო? მოიცა, 2008 წელს, მე-18 საუკუნე იყო კალენდარზე? მსოფლიო ერთხელ კიდევ შეშფოთდება, მაგრამ მალევე რუსეთს უკმევენ გუნდრუკს და ამით დასრულდება ყველაფერი!

ისე, სამართლიანობა მოითხოვს, რომ კიდევ ერთხელ გადავხედოთ „კგბ“-ს ეფრეიტორის, მიშა სააკაშვილის ბიოგრაფიულ ანკეტას და დავრწმუნდებით, რომ მიშა ხელისუფლებაშიც მშობლიურმა კგბ-მ მოიყვანა, აგვისტოს ომიც მსოფლიოს შესანიშნებლად კგბ-მ დააწყებინა და თავისი ხელისუფლებაც „კგბ“-მ დააკომპლექტებინა თავისი ბენდუქიძეებით, ვაშაძეებით, ოქრუაშვილებით, კეზერაშვილებით, ლომაიებით, შაშკინებით, მერაბიშვილებით და ა.შ.

აკი, მეუბნებოდა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში, დღეს უკვე რუსეთის ვიცე-პრემიერი დიმიტრი როგოზინი: — „დიახ, ჩვენ დაგინიშნეთ ვაშაძეც და ბენდუქიძეც ამ პოსტებზე“-ო?

ფაქტი ერთია და ჯიუტი, თუ მოვლენები მართლაც ირანის წინააღმდეგ დაწყებული ომის ფარგლებში განვითარდა — საქართველოში რუსეთის მორიგი ინტერვენციის საშიშროება რეალური გახდება და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაც შეწყდება!!! რუსეთის პრეზიდენტი პუტინი კი უპრობლემოდ შეუდგება საბჭოთა კავშირისმაგვარი სახელმწიფოს შენებას და ხელს ამაში ვერც ამერიკა შეუშლის და ვერც ევროპა. მეტიც, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეიძლება აწყობდეს კიდეც ამგვარი სცენარი, რადგან თავის დროზე ვითომ დაშლაშიც აქვს წვლილი შეტანილი!

ასე რომ, 2012 წელი ძალიან არაკეთილსაიმედოდ გვიღიმის, ძვირფასო მკითხველო! ჩვენი ყოფაც მალე შესაძლოა, მიშას მდგომარეობას მიუახლოვდეს და რუსებმა ზუსტად ისევე „დაგვაკოზირონ“, როგორც ჩვენი ქორწილის პატარძალი!

ისე, ინგლისში პოლიციელები ქალებს მანიაკებისგან თავისდამცავ ტრეინინგების დროს ასწავლიან: „თუ მოძალადეს ვერ მოერევით, მოეშვით და სიამოვნება მიიღეთო“.

ასე, რომ არჩევანი ჩვენზეა...

**ირინე გოგოსაშვილი**

***P.S.** როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილ სააკაშვილისა და ამერიკის პრეზიდენტის ბარაქ ობამას შეხვედრის რეალური, დეტალური არსის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო, არადა, მომეჩვენა, რომ ბატონი ობამა ოდნავ ნაღვლიანი, სიბრალულით აღსავსე თვალებით იყურებოდა კამერებში. სააკაშვილი კი, როგორც ყველა დროის კაგებეშნიკი, ისევ ბედნიერი, მხიარული და მომავლის იმედებით აღსავსე ჩანდა!*

მოგზაურობა სამშობლოში





# aq kelaptari arasdros qreba

## თეძმის ხეობა



„ესტატე წმინდა“ გალატოზის რელიეფით და ნოსტეს „სამება“

**თეძმის ხეობის ციხე-ტაძრების შემოვლის და შესაბამისი ისტორიული ექსკურსების დროს, ძირითადად, სამი დიდი გვარის თავგადასავალი ცოცხლდება. ესენი არიან: ფავნელები, თორელ-ჯავახიშვილები და სააკაძე-თარხნიშვილები. მართალია, ამ სამი გვარის ფეოდალური სახლის ინტერესები ცალკეულ ეტაპებზე ერთმანეთს კვეთს, მაგრამ ისინი ძირითადად 3 სხვადასხვა ეპოქის ლიდერები არიან.**

ახალქალაქში გზა ორად იყოფა: ერთი ხელმარჯვნივ, მდინარისაკენ ეშვება და კანიონის გაყოლებით რკონისკენ მიემართება, მეორე ახალქალაქზე მიბმულ გარიყულაში შედის და იქიდან, თავის მხრივ, სამად იტოტება ერთაწმინდის, გოსტიბეს და ნოსტეს მიმართულებით. ფაქტობრივად, ეს თეძმის მარჯვენა ნაპირის მამულ-ქვეყანაა, სადაც XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, უმეტესად, სააკაძეები პირველობდნენ.

**გარიყულაში** შევდივართ. ეს სოფელი ვახუშტი ბატონიშვილს ცალკე არა აქვს მონიშნული თავის რუკაზე. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ახალქალაქის სამეფო-სავაჭრო ქალაქის დაარსების შემდეგ იგი ძველი დასახლებიდან მხოლოდ და მხოლოდ გარიყული უბნის როლში აღმოჩნდა. სანაცვლოდ, ოდნავ მოშორებით, აღნიშნულია ცნობილი დაბა **ფავნისი**, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ეს დაბა ცნობილი იმითაა, რომ იგი ფავნელთა გვართანაა დაკავშირებული.

ფავნელთა ფეოდალური სახლი რომ IX საუკუნიდან ყველაზე მეტადაა დაწინაურებული თეძმის ხეობაში, ამას ჩვენამდე მიღწეული ყველაზე ძველი ქართული საბუთი **„ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა მღვიმის მონასტრისადმი“** ადასტურებს. მართალია, ეს წერილობითი ძეგლი XIII საუკუნის ხელნაწერის სახითაა მოღწეული, მაგრამ IX-X საუკუნეშია შექმნილი. ეს თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფავნელები კიდევ უფრო ადრე არაბებთან ბრძოლის დროს დაწინაურებულან. სამეცნიერო ლიტერატურაში არის ძალიან სერიოზული მოსაზრება, რომ ფავნელთა ერთი შტო ფრონე-ლიახვის სანახებში, სოფელ ტბეთის შემოგარენში სახლდება და ტბელ ერისთავ-ერისთავთა უძლიერეს დინასტიას ქმნის IX საუკუნის მიწურულიდან. სწორედ ამ დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელია ის ქავთარ ტბელი, რომელიც X საუკუნის ბოლოს ბაგრატ III-ის ქართლში გამეფებას წინ აღუდგა, მაგრამ დამარცხდა. **იბადება ასეთი ეჭვი: სახელი ქავთარი, რომელიც უთუოდ ქავთა-კავთას უკავშირდება და ტრადიციულია ტბელთა დინასტიაში, თეძმზე მცხოვრები ფავნელების კავთის წმინდა გიორგის ხატისადმი ყმა-კუთვნილების მიმანიშნებელი ხომ არ არის? და კიდევ, ფავნისის ნასოფლარში მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია შემთხვევით კავთის წმინდა გიორგის ხატის ერთ-ერთი საბრძანისი ხომ არ იყო?**

ეს ეკლესია გარიყულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნახევარ კილომეტრში დგას ძველ სასაფლაოზე. იგი ნაგებია ქვიშაქვით, ფლეთილი ქვითა და შირიმით. ფავნისის ტაძარი IX-X საუკუნეების ერთ-ერთი გამორჩეული დარბაზული საყდარია ჩვენში. იგი საკმაოდ მოზრდილი და მაღალია. XIII საუკუნეში მასზე სამხრეთიდან ეკვდერი მიუშენებიათ და ძირითად დარბაზში დღესაც ამ დანგრეული მინაშენიდან შეიძლება მოხვედრა. ტაძრის კარის ფასადური თაღის ცისფერ არქივოლტს ზევით-ქვევით გრეხილი ლილვები დაუყვება, მათ შორის დარჩენილ არეში კი მოზრდილი ასომთავრული გრაფემებით შესრულებული ერთსტრიქონიანი რელიეფური წარწერაა. მისი შინაარსი დღემდე დაუდგენელია. აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის აქეთ-იქით, ორი სხვადასხვანაირი ჯვარია, ზევით, ფრონტონში კი გველს კვერცხი უკავია პირით.

ფავნისის წმინდა გიორგის საყდარი XII საუკუნეში ხელახლა მოუხატავთ, მაგრამ ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთის ქვედა რეგისტრებში IX-X საუკუნის მხატვრობის ფრაგმენტები მაინცაა შემორჩენილი (ფერადი ლაქები და ხელგაშლილი, შარავანდიანი კაცი). სამწუხაროდ, ტაძრის მთელი მხატვრობა გაცრეცილი და მიმქრალია. საყდარს არაერთხელ დაემუქრა განადგურება. ერთხელ მას ჩრდილოეთიდან დამატებითი კედელი მიაშენეს გასამაგრებლად, მეორედ – 1957 წელს შიგნიდან ლითონის ღერძებითაც დაჭიმეს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს – კედლებზე ბზარები გაფართოვდა. რამდენიმე წლის წინათ ძეგლს სერიოზული რესტავრაცია გაუკეთდა და დანგრევას გადარჩა.

მაგრამ ჩვენ ისევ ფავნელებს დავუბრუნდეთ. ზევით ნახსენები „დაწერილის“ თანახმად, მათ შიომღვიმის მონასტრისთვის თეძმის ხეობის ოთხი სოფელი შეუწირავთ: **ცხვერეთი (დღევანდელი ცხავერი), გველდესი (ნოსტედან სამხრეთით, 3 კილომეტრში იყო), კოტმანი და გავაზელნი.** XIII საუკუნეში ეს სოფლები ისევ შიომღვიმის საკუთრებაში ყოფილა. ფავნელთა გვარის თანდათანობით დასუსტებასთან ერთად ისინი ჯერ სამეფო კუთვნილება გამხდარა, მერე კი თორელ-ჯავახიშვილებსა და სააკაძეებს წაუღიათ. ჰოდა, ჩვენც სააკაძეთა ბუდისკენ – ნოსტესკენ მივეშურებით.

ამ პატარა სოფელში მდგარი ორი ეკლესია – XVI-XVII საუკუნეების „სამება“ და „ღვთისმშობელი“ ახალი აღდგენილია, კოშკისთვის კი უფრო ადრე დაუბრუნებიათ პირვანდელი სახე. როგორც წინა წერილიდან ვიცით, ნოსტე რამდენჯერმე ააოხრეს ქართველმა თავადებმა, რომელთა შორის ყველაზე მეტად გიორგი სააკაძის ადრინდელი „მოკიდებული ძმები“ და თანამოაზრენი ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები აქტიურობდნენ. მიზეზი ამ მტრობისა სამეფო აზნაურ სააკაძის არნახული დაწინაურება და სიმდიდრე იყო. აკადემიკოს შ.მესხიას გაანგარიშებით, დიდი მოურავის წლიური შემოსავალი მარტოოდენ ფულის სახით 3-4 ათას მანეთს აღწევდა. მაგრამ ჯავახიშვილთა გადამტერებას, მგონი, სხვა მიზეზიც ჰქონდა.იოლი შესაძლებელია, რომ სააკაძეთა გვარი თრიალეთში სწორედ თორელების (ჯავახიშვილთა ძველი გვარი) ჩამოყვანილი და ერთ დროს მათზე დამოკიდებულიც კი იყო. ამ ვერსიის შედგენა გიორგი სააკაძის გარდაცვალებიდან და ქართლში როსტომის გამეფებიდან უნდა დავიწყოთ. როსტომი, სანამ გიორგის შთამომავლების ერთ ნაწილს (იორამის შტოს) თავადობის ხარისხს მიანიჭებდა, სააკაძეებს ასე უპასუხებს წერილობით: რაც გინდათ, ყველაფერი მომთხოვეთ გარდა თქვენი უძველესი მამულებისაო. რომელი ისეთი ძველი მამულები უნდა იგულისხმებოდეს აქ, რომელთა დაბრუნება როსტომს არ შეეძლო? ატენის ხეობის კიკანათბერი თუ თეძმის სათავეების ფელი? არა, ამათი დაბრუნება როსტომს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, როგორც ჩანს, აქ ისეთ უძველეს მამულებზეა საუბარი, რომლებიც ქართლის ძალიან ძლიერი მეფის სამბრძანებლოში არ შედის და სააკაძეებს დიდი ხნის წინათ უნდა ჰქონოდათ დაკარგული. ის, რომ დალესტნური წარმოშობის სააკაძეებმა სომხეთის გავლით ძალიან დიდი ხნის წინათ მიაღწიეს საქართველოში (იხ. იოანე ბაგრატიონის „აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა“), ისეთივე გამოგონილი ისტორიაა, როგორც თავად-აზნაურთა დიდი უმეტესობის არაქართველობა. რაკი ბაგრატიონები იუდეური წარმომავლობით (დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლობით) იწონებდნენ თავს, ქართველი დიდებულებიც რატომღაც უცხოურობას („საუცხოობას“) იჩემებდნენ. თავადთა შორის ერთ-ერთი გამონაკლისი ამ მხრივ, სხვათა შორის, თორელ-ჯავახიშვილები იყვნენ, რომლებიც თეძმის ხეობაში XII-XIII საუკუნეებში დამკვიდრდნენ. სწორედ მათი მოყვანილი უნდა იყოს სამცხე-ჯავახეთიდან სააკაძეთა გვარი, რომელსაც უპატრონოდ დარჩენილი კლდეკარი ჩააბარეს დასაცავად. საინტერესო და მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ **ქართულ საისტორიო წყაროებში ტოპონიმი „ნოსტე“ ქართლზე გაცილებით ადრე სწორედ სამცხეში გვხვდება. მას, როგორც მდინარეს, ლეონტი მროველი ოძრხესა და ჯავახეთს შორის ათავსებს, როცა ბივრიტიანის საქართველოში შემოსვლაზე საუბრობს. სავარაუდოდ, ეს მდინარე ამჟამინდელი წინუბნის წყალია. იბადება შეკითხვა: ტოპონიმი ნოსტე სააკაძეებმა ხომ არ მოიტანეს თეძამზე სამცხიდან?**

...ნოსტედან ერთაწმინდაში მოსახვედრად გარიყულაში ვბრუნდებით, სადაც ადრე გამოგვრჩა, ახლა კი აუცილებლად უნდა შევიაროთ სააკაძეთა შთამომავალი თარხნიშვილების XIX საუკუნის 30-იან წლებში აგებულ სასახლეში. მას აქაურები მარშალიანთ სახლსაც უწოდებენ (მაშინდელ საქართველოში თავად-აზნაურთა საზოგადოების არჩეულ თავკაცს მარშალსაც არქმევდნენ). ორსართულიან სასახლეს გარედან ევროპული, შიგნიდან კი აშკარა აღმოსავლური იერი ჰქონია. აქ მრავალი ოთახი, სვეტებიანი ლოჯია და ერთიც დიდი, საზეიმო დარბაზია. ეზოში გუმბათიანი აბანოებია შემორჩენილი. თარხნიშვილები გიორგის უმცროსი ვაჟის იორამის მემკვიდრეები არიან. აკად. კორნელი კეკელიძე წერდა: **„დიდმოურავს ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ჰყავდა შემდეგი ძენი: პაატა – სპარსეთში სიკვდილით დასჯილი მამის ღალატისათვის, ავთანდილი (უფროსი შვილი – გ.ქ.) – მამასთან ერთად ოსმალეთში ტრაგიკულად დაღუპული, ზურაბი – მარაბდის გმირი, რომელსაც 1643 წლის ახლო ხანებში როსტომ მეფემ ღალატისათვის თვალები დასთხარა, ივანე – იმავე საქმის გამო კახეთს გადახვეწილი და იორამი – დიდი ერთგული როსტომ მეფისა, რომელსაც თარხნობა უბოძა“. სააკაძეს 3 ქალიშვილიც ჰყოლია, რომელთაგან (ვახტანგ სიდამონიძის გამოკვლევით) ერთი მესხეთის გამაჰმადიანებული ათაბაგის გიორგი ჯაყელის (იგივე ფარად-ფაშას) მეუღლე ყოფილა, მეორე – ოსმალეთის ხონთქარის ვეზირ-ხაზინადარისა, მესამე ვისზე იყო გათხოვილი, უცნობია. გარდა ამისა, რაკი დიდი მოურავის სახლზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა ითქვას, რომ მამამისი სიაოში ქართლის მეფის მუსაჰიბი (მუსაიფი, მრჩეველი) იყო, ბიძამისი ზურაბი – სახლთუხუცესი, დედა თამარი – ბარათაშვილების ქალი, ცოლი მარეხი – ნუგზარ არაგვის ერისთავის ქალიშვილი. ერთი ძმა ქაიხოსრო ცნობილია, მეორის სახელი საბუთებმა არ შემოინახა, თუმცა „დიდმოურავიანის“ მიხედვით უძლიერესი მეომარი ყოფილა. მას სხერტისა და ტაშისკარის ომებში გამოუჩენია თავი, მაგრამ 1614 წელს შაჰ-აბაზის მიერ წარმოებულ ბაღდადის ომში დაღუპულა. გიორგი სააკაძის სამი დიდან არცერთის, მათ შორის ლუარსაბ II-ზე გათხოვილი ქართლის უმშვენიერესი დედოფლის სახელი, ცნობილი არ არის, თუმცა ის კი დადგენილია, რომ დანარჩენი ორი დიდან ერთი ქსნის ერისთავ იესეს უთხოვია, მეორე – თეიმურაზ მუხრან-ბატონს.**

ამ უზარმაზარი ოჯახიდან, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს შეეწირა ყველაზე მეტად მაინც პაატას უმანკოება ანათებს.

... ერთაწმინდას მოვედით – ქართველი ერის წმინდა, საფიცარ ალაგზე.

ერთაწმინდა!

სხვა სახელწოდება ვერ იგუა ენამ, ასე მოტრიალდა, ასე გამოთქვა სიტყვა „ესტატეწმინდა“ – სოფლის ცენტრში მდგარი დიდი საყდრის სახელი. გულმა გადაწყვიტა ასე და ენამ დააგვირისტა.

ეს საყდარი XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ალი-კვალია: თლილი, ოქროსფერი ქვიშაქვის კვადრები, აღმოსავლეთ მკლავის ნიშებიანი ფასადი, ოთხსავე მკლავზე – მაღალი ჯვრები, შეწყვილებული სარკმლები, ნაცნობი სამკაულები და გაფორმება. ერთი ესაა მხოლოდ – აღმოსავლეთ მკლავზე ჩვეულებრივზე მეტი სარკმელია და ტაძრის კედლებს მთელ გაყოლებაზე ფრიზი გასდევს. შიგნით ჩრდილოეთ კედელზე XVII საუკუნის ფრესკებია – წმინდა ესტატეს ცხოვრების ეპიზოდებია. მაგრამ ტაძარი უფრო დიდი ცხოვრების ეპიზოდს გვახსენებს – გიორგის შვილს პაატას თავი მოკვეთეს სამშობლოს სიყვარულისთვის.

სააკაძეთა ამ საძვალე ტაძარშია დავანებული პაატას მოკვეთილი თავი.

აქ, ამ ადგილზე ერთი კელაპტარი რომ ჩაქრება, მეორეს შეაშველებენ ხოლმე.

...გადაღება სწორედ ამ წმინდა ალაგიდან უნდა დავიწყოთ, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, ვიდეოკამერა არ ირთვება. ასეთი რამ არცერთ ეკლესიაში არ დაგვმართნია.

კანდელზე ჩამწვარი პატრუქის კვამლს მზის სხივი დასწვდა და გაასპეტაკა... ღვთისმშობლის ხატთან პატარა, თავსაფრიანი გოგო დგას და ლოცვას ბუტბუტებს... ამინ!

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

**გარიყულა. თარხნიშვილთა სასახლის ვიტრაჟი და აბანო. ფავნისი. „წმინდა გიორგი“ და მისი წარწერიანი არქივოლტი.**







